

ჩეჩნეთი - შეიარაღებულ თავდასხმათა უწყვეტი ჯაჭვი

A5



შემდეგი გაჩერება - კოპენჰაგენი

B2



სიმართლე მხოლოდ ქალებმა იციან

B4

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 20 ივლისი, 2005 წელი. №163 (1023)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### "კეზერაშვილის კანონი" ლაგოდეხის საბაჟოზე მდგომარეობას ამწვავებს

ორი დღის წინ, ლაგოდეხის საბაჟო პუნქტზე ფინანსური პოლიციის უფროსის დავით კეზერაშვილის ჩასვლამ, როგორც ვაჭრები და აზერბაიჯანში გადამსვლელი ადამიანები ამბობენ, დაუწერელი კანონები აამოქმედა.

A2

## ამბები

### "ახალგაზრდა იურისტებმა" საზოგადოებრივ მაუწყებლობას დარღვევები აღმოუჩინეს

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ყურადღებას საქტელერადიომაუწყებლობაში არსებული თანხების მიზნობრივ ხარჯვაზე ამახვილებს და აცხადებს, რომ 2004 წლიდან დღემდე, უწყებაში არამიზნობრივად 510 689 ლარი განკარგეს.

A3

## ეკონომიკა

### ხელისუფლება "გაზპრომთან" თამაშის წესებს ცვლის

"თბილგაზი" დროს უქმად არ კარგავს და შუამავალი კომპანია "გაზექსპორტის" დავალიანებას აგროვებს და აგროვებს. ბუნებრივია, ამ ვითარებაში შუამავალ "გაზექსპორტს" პოზიციების გამყარება არ უჭირს და თუ ქართველი ჩინოვნიკები "კარგად არ მოიქცევიან", "თბილგაზისთვის" გაზის მოწოდების განახევრებით იმუქრება.

A3

## რევიუ

### სულ სხვანაირი მადონა

მადონა ის აღარ არის, რაც ადრე იყო - ეს უკვე ვიცით. უბრალოდ, თვითონ სურს, რომ კიდევ უკეთ გაგვაგებინოს - ბოლო ხანებში თავის ორ შვილთან უფრო მეტ დროს ატარებს, ვიდრე - სცენაზე; და საყვარლების ნაცვლად ხელოვნების ნიმუშებს აგროვებს.

B4

## ამინდი

| | 20/07 | 21 /07 |
|---|---|---|
| თბილისი | 35 | 35 |
| ტყიბული | 31 | 36 |
| სოხუმი | 32 | 34 |
| დმანისი | 28 | 30 |
| გორი | 30 | 32 |
| ონი | 26 | 29 |
| ზუგდიდი | 33 | 37 |
| ახმეტა | 34 | 33 |
| გაგრა | 30 | 32 |
| სამტრედია | 33 | 37 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8201 |
| ევრო | 2.1976 |
| ბირთანქა სტერლ. | 3.1808 |
| რუბლი | 0.0635 |



| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| ეკონომიკა | A 4 |
| უცხოეთი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |



# ზურაბ ნოღაიდელი და აზერბაიჯანული პრაგმატიზმი

*საგაზეთო სტატიაში ციფრებითა და კონკრეტული მონაცემებით ოპერირება ხშირად მიზანშეუწონელია, რადგან გათვითცნობიერებულ მკითხველს არსი უფრო აინტერესებს, ხოლო არსზე ციფრები თითქმის არასდროს მეტყველებენ. განსაკუთრებით, როდესაც სახელმწიფოთაშორის და გეოპოლიტიკურ პრობლემატიკაზე საუბრობ. თანაც საუბარი, მიზეზთა "წყალობით", უფრო ქარაგმებით გიწევს. რას იზამ - ესეც ხომ კანონზომიერებაა.*

მიხეილ ლანჩავა

*ბაქოდან*

განჯაში ყოფნისას, მას შემდეგ, რაც "საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის" სხდომა დამთავრდა და მრავალი "საპროტოკოლო სიტყვა" ითქვა "ორი ხალხისა და ქვეყნის საუკუნოვან მეგობრობაზე", აზერბაიჯანელმა ჟურნალისტმა ქალმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ჰკითხა: "განჯის კარიბჭის დაბრუნებაზე ხომ არ გისაუბრიათ და ამაზე ხომ არ ფიქრობთო." ბუნებრივია, საკადრისი პასუხიც მიიღო.

ევროპაში, მაგალითად, რესპონდენტი პრესკონფერენციაზე ამგვარ კითხვას პირდაპირ და დაუფარავად უწოდებდა "სულელურს". მაგრამ კავკასიაში (კერძოდ განჯაში) ეს, ალბათ, მეტისმეტი იქნებოდა. ამდენად, ზურაბ ნოღაიდელი არა იმდენად პასუხით, რამდენადაც ამ პასუხის ცივი ტონალობით შემოიფარგლა.

ვითარების "განმუხტვა" აზერბაიჯანის მრავალნაცადმა და "მრავალპლენუმგამოვლილმა" ვიცე-პრემიერმა, აბბას აბბასოვმა სცადა: "იმედს არ ვკარგავთო" - იხუმრა, ასე ვთქვათ.

თუმცა იმ საერთო კონტექსტის გათვალისწინებით, რაც სამხრეთ კავკასიაში იქმნება, განსაკუთრებით აზერბაიჯანის სახელმწიფოს არცთუ პროპორციული და "დაბალანსებული" გაძლიერებით, - ამგვარი ხუმრობა სულ სხვა ელფერს იძენს.

საქართველოს პრემიერი, როგორც ჩანს, ზუსტად აფასებს ახალ რეალობებს და სამომავლო პერსპექტივებსაც.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მაღაზიის დალუქვის პოლიტიკური ვერსიები

თეა თედლიაშვილი

*გორიდან*

*ინდივიდუალური საწარმო "ევროპა" საფინანსო პოლიციამ და საგადასახადო ინსპექციამ, ერთობლივი რეიდის შემდეგ, 8 ივლისს დალუქეს. საწარმოს ერთ-ერთი მეწილე ოპოზიციონერი პარლამენტარის ვალერი გელაშვილის ძმაა.*

საფინანსო პოლიციაში აცხადებენ, რომ მაღაზია დიდი რაოდენობით აღურიცხავი საქონლის რეალიზაციას ეწეოდა. დღემდე აღურიცხავი საქონელი ამოღებული არ არის. ფინანსური პოლიციის უფროსი ზურაბ არსოშვილი აცხადებს, რომ მისი სამსახური მაღაზიაში საგადასახადო ინსპექციის თხოვნით შევიდა და, შესაბამისად, არ იცის, ლუქი როდის აიხსნება. საწინააღმდეგოს აცხადებს საგადასახადო ინსპექციის უფროსი თამაზ მეჭიაური. მისი თქმით, "ევროპაში" ისინი საფინანსო პოლიციის თხოვნით შევიდნენ.

საწარმოს მეპატრონეებიც დარწმუნებულები არიან, რომ საგადასახადო ინსპექციას მათთან სადავო არაფერი აქვს. **"მეჭიაურმა მითხრა, რომ, თუ ჩვენი მაღაზია დაიკეტება, სახელმწიფოს ერთ-ერთი საუკეთესო გადამხდელი დაეკარგება. ჩვენ ბიუჯეტის სასარგებლოდ ყოველთვე 5 ათას ლარზე მეტს ვიხდით. ეს არის ბიზნესის ჩახშობა საქართველოში და სხვა არაფერი. სასამართლოს დადგენილების მიხედვით, 21 ივლისამდე არ გაიხსნება საწარმო, უფრო მეტიც, გვითხრეს, რომ შეიძლება დრო კიდევ გააგრძელონ და ლუქი არ ახსნან. რა საჭიროა შემოწმებისთვის ამხელა დრო, დოკუმენტური რევიზია ორი დღეა, დამთავრდა. ვფიქრობთ, ეს იყო სასამართლოს მხრიდან გაწელილი დრო, რათა დიდი რაოდენობით პროდუქტი გაფუჭდეს და რაც შეიძლება დიდი ზარალი მოგვადგეს,"** - ამბობს მაღაზიის ერთ-ერთი მეწილე თეა ცაციაშვილი.

მეორე მეწილე, პარლამენტარ ვალერი გელაშვილის ძმა ზაურ გელაშვილი მიიჩნევს, რომ საწარმოს წინააღმდეგ განხორციელებული ყველა ქმედება ვალერი გელაშვილთან არის დაკავშირებული და პოლიტიკური ზეწოლაა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ეროვნული ბანკი 200-ლარიანი კუპიურის გამოშვებას გეგმავს

### ვინ იქნება გამოსახული ახალ კუპიურაზე?

თამარ ხორბალაძე

*საქართველოს ეროვნული ბანკი 200-ლარიანი კუპიურის გამოშვებას გეგმავს და იწყებს დისკუსიებს იმაზე, თუ ვინ უნდა დაამშვენოს კუპიურა, რომელიც 100-ლარიანს (რომელზეც შოთა რუსთაველია გამოსახული) და 500-ლარიანს (რომელზეც დავით აღმაშენებელს იხილავთ) შორის არის განთავსებული. ეროვნული ბანკი ცდილობს, იყოს მოულოდნელი, დაამსხვრიოს სტერეოტიპები და პირობითი რანგირების პრინციპები, უპასუხოს საზოგადოებრივ მოთხოვნასაც და იყოს ორიგინალურიც. ანუ, ეროვნული ვალუტის დღევანდელი პატრონი ბეწვის ხიდზე გავლას გეგმავს. ამ გზაზე სავალად კი საზოგადოებრივ აზრს იკვლევს. "24 საათისა" და ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ეგიდით, საქართველოს ფულის მუზეუმში ორგანიზებულ "მრგვალ მაგიდაზე" მსჯელობა 200-ლარიანის გამოშვების ირგვლივ გაიმართა. დისკუსიის მონაწილენი გახლდნენ ლადო პაპავა - პარლამენტის საფინანო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ვაჟა სალამაძე - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის დირექტორი, მიხეილ თოქმაზიშვილი - ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი, მარინა ვეკუა - თსუ ჟურნალისტიკის კათედრის გამგე, ნატო გუბელაძე - გაზეთ "PS"-ის გამომცემელი. მეგზურობა, ანუ საკითხის ისტორიაზე შესავლის გაკეთება კი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ ითავა:*



გაგრძელება A4 გვერდზე

# "ამ საქმეს არ მოვეშვებით"

ვერიკო თევზაძე

**"ეს ხელისუფლება არჩევნების წინ ვერ გაბედავდა თავისი ხალხისთვის ეთქვა, რომ მერებს და გამგებლებს პირდაპირი წესით არ აირჩევდა. რომ გაებედა, ძალიან ბევრ ხმას დაკარგავდა,"** - განუცხადა გუშინ ჟურნალისტებს საზოგადოებრივი მოძრაობა "სახალხო ფორუმის" წარმომადგენელმა რევაზ შავიშვილმა.

რეფერენდუმის საინიციატივო ჯგუფი, რომელსაც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხი რეგისტრაციაში არ გაუტარა, ჯერჯერობით ჩამოყალიბების სტადიაში იმყოფება. ჯგუფის წევრებმა დღეს საბოლოოდ უნდა გადაწყვიტონ, ორიდან რომელ გზას აირჩევენ: ცესკო-ს განკარგულებას სასამართლოში გაასაჩივრებენ, თუ სარეფერენდუმო საკითხის ფორმულირებას შეცვლიან და ხელახლა წარადგენენ შემდგომი განხილვისათვის.

საინიციატივო ჯგუფის სახელით მასმედიის წინაშე ამჯერად "სახალხო ფორუმის" წარმომადგენლები - აკაკი ასათიანი, რევაზ შავიშვილი, ირაკლი მელაშვილი და სხვები წარდგნენ.

**"ჩვენ ამ საქმეს არ მოვეშვებით,"** - აცხადებს აკაკი ასათიანი. მისი შეფასებით, **"ცესკო-მ ძალიან ცუდი სტარტი აიღო. უკვე ყველამ შეიძლება იცოდეს, რას უნდა ელოდოს მომდევნო არჩევნებში."**

გაგრძელება A2 გვერდზე

# "თქვენ საქართველოდან ხართ?"

### რეპორტაჟი ჯავახეთიდან

სოფო ბუკია

"ინფორმაციული ვაკუუმის გარღვევა" - ამ პირობითი მისიით, ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული გაზეთის "სამხრეთის კარიბჭის" ინიციატივით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან შვიდი ჟურნალისტი შეგვკრიბეს და ჯავახეთის გზას გაგვიყენეს.

თავიდან ყველაფერი კარგად იყო. ვისხედით მიკროავტობუსში, გორში ნაყიდ ვაშლატამას შევექცეოდით და ბუნების თვალწარმტაცი ხედებით ვტკბებოდით. მაგრამ, გავცდით თუ არა ახალციხეს, მერე აღარაფერი მახსოვს. ბუნდოვნად მახსოვს, როგორ ვიცავდით თავს, როცა ჩვენი მიკროავტობუსი მორიგ ორმოში ვარდებოდა. ირგვლივ მტვრის ბული იდგა...

გაგრძელება B1 გვერდზე



# "ალ ქაიდამ" ერაყის ოპერაციაში მონაწილე ქვეყნებს ულტიმატუმი წაუყენა

საერთაშორისო ტერორისტულმა ორგანიზაცია "ალ ქაიდამ" ულტიმატუმით მიმართა ყველა იმ ევროპულ სახელმწიფოს, რომელთა სამხედრო კონტინგენტი ერაყშია წარმოდგენილი.

ინტერნეტის საშუალებით გავრცელებულ განცხადებაში ტერორისტები ევროპის ქვეყნებისგან ერთი თვის ვადაში ერაყიდან ჯარების გაყვანას ითხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, "ალ ქაიდა" ევროპას ლონდონში 7 ივლისს მომხდარი ტერაქტის მსგავსი ახალი ტერორისტული თავდასხმებით ემუქრება.

განცხადება 2005 წლის 16 ივლისითაა დათარიღებული და "აბუ ხაფს ალ-მასრის ბრიგადის" დაჯგუფების მიერაა ხელმოწერილი. ულტიმატუმის ვადა 15 აგვისტოს იწურება, მანამდე ტერორისტები რაიმე დამატებით ინფორმაციას არ გაავრცელებენ.

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა ჯონ რეიდმა აღნიშნა, რომ ბრიტანეთს შეუძლია, შეამციროს სამხედრო მონაწილეობა ერაყში 12 თვის განმავლობაში. თუმცა, ლონდონში მომხდარი ტერაქტების შემდეგ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა ღიად მიანიშნა, რომ ბრიტანეთის ხელისუფლება დათმობაზე წასვლას არ აპირებს.

იტალიის მთავრობის ხელმძღვანელმა სილვიო ბერლუსკონიმ განაცხადა, რომ მიმდინარე წლის სექტემბერში ერაყიდან სამშობლოში 300 იტალიელი სამხედრო მოსამსახურე დაბრუნდება, რაც ერაყში არსებული იტალიური კონტინგენტის 10 პროცენტს შეადგენს. ეს განცხადება ბერლუსკონიმ ლონდონში განხორციელებული ტერაქტების შემდეგ გააკეთა.

ერაყში სამხედრო მონაწილეობის შემცირებას გეგმავს ასევე პოლონეთიც. ამის შესახებ პოლონეთის ნაციონალური თავდაცვის მინისტრმა ეჟი შმაიდინსკიმ განაცხადა. მისი თქმით, პოლონელი სამხედროები ერაყში მიმდინარე წლის ბოლომდე დარჩებიან.

გარდა ამისა, ერაყიდან საკუთარი სამხედროების გამოყვანა უკრაინამაც დაიწყო. მარტში სამშობლოში უკრაინელ მშვიდობისმყოფელთა პირველი ჯგუფი - 137 სამხედრო ჩავიდა. მაისში სამშობლოში კიდევ 550 უკრაინელი დაბრუნდა.

ერაყში ამჟამად სამშვიდობო მისიით 852 ქართველი სამხედრო მოსამსახურე იმყოფება.

**24 საათი**

## "ახლები" ფოთის მიწების სადარაჯოზე

სოფო მერაბიშვილი
ოთარ მაჭარაშვილი

"ახალი მემარჯვენეები" ფოთის კუთვნილი მიწების ნავსადგურისათვის უსასყიდლოდ გადაცემას აპროტესტებენ. "ახლების" ინფორმაციით, 23 ივნისს, ფოთის მთავრობის მოთხოვნით, ქალაქის საკრებულომ მიიღო დადგენილება შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურისათვის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 430 ჰექტარი არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

"ახლების" ფოთის რეგიონული ორგანიზაციის ლიდერის ირაკლი კაკულიას განცხადებით, **"ამ დადგენილების ძალაში შესვლამ შელახა ფოთის მოსახლეობის ინტერესები. ეს გადაწყვეტილება მიღებულია ზოგიერთი მაღალჩინოსნის ინტერესების დასაცავად."**

მისივე თქმით, არსებობს მიწის გადაცემის სამი ფორმა: პირველი - უფასო, მეორე - შესაბამისი გათვლების საფუძველზე ქალაქისათვის კომპენსაციის გადახდა, და მესამე - ამ მიწებით ქალაქის წილობრივი მონაწილეობით შესვლა შპს-ში. **"ხელისუფლებამ აირჩია ყველაზე ცუდი და დამღუპველი ვარიანტი - უფასო გადაცემის ფორმა. დღეს ამით მატერიალური ზიანი მიიღო ქალაქმა და რეგიონმა, ხვალ კი მიიღებს მთელი ქვეყანა,"** - აცხადებენ "მემარჯვენეები".

"მემარჯვენეები" იწყებენ მოსახლეობაში ხელმოწერების შეგროვებას პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულების გაუქმებისა და ქალაქისათვის პორტის ფინანსური წილის გადაცემის მოთხოვნით.

## განცხადება

### საუნივერსიტეტო ლიგის დაფუძნება

უმაღლესი განათლების სფეროში დაწყებულმა განათლების რეფორმამ თავისი პირველი შედეგი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში გამოიღო. რამდენიმე ასეული ადამიანი ქუჩაში უსახსროდ აღმოჩნდა. გაცილებით მეტს იგივე ელის უახლოეს დღეებში და თვეებში. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, მაგალითად, ყველა თანამშრომელი, ფაქტობრივად, დათხოვნილია, ხოლო მკვეთრად შემცირებულ აკადემიურ შტატებზე გამოცხადებული კონკურსის შედეგებს შეაჯამებს არა საუნივერსიტეტო, არამედ გარედან დაკომპლექტებული კომისია.

ეს არ არის სრული სურათი. სრული სურათის აღსაწერად რამდენიმე ფრაზაა საკმარისი. რეფორმა ტარდება ისე, თითქოს ჩვენ ვართ არა 21-ე საუკუნის საქართველოში, არამედ მე-18 საუკუნეში პეტრე დიდის რუსეთში. ჩვენ უნივერსიტეტელებს მშვენივრად გვესმის რეფორმების აუცილებლობა, მაგრამ პრინციპულად ვართ წინააღმდეგნი ყოველგვარი ძალადობისა და ანონიმურობისა. ჩვენ გვინდა არა ძალდატანებით თავსმოხვეული რეფორმა, არამედ ერთობლივად მომზადებული და აპრობირებული. ეს არის ჩვენი უფლება, საერთაშორისო აქტებითა და საქართველოს კონსტიტუციით გამყარებული. ჩვენ გვაქვს უფლება შრომაზე და ოჯახის რჩენაზე, ჩვენ გვაქვს უფლება ჩვენი პროფესიული გამოცდილების გამოყენებაზე, საუნივერსიტეტო მეცნიერების ბედის განსაზღვრაზე.

ჩვენ, უნივერსიტეტმა, დიდი ხანია მივაღწიეთ განვითარების ისეთ დონეს, რომ თავს უფლება მივცეთ, დავიცვათ ჩვენი შემოქმედებითი თავისუფლება და ჩვენი ინტელექტუალური საკუთრება. ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, გვაქვს უფლება, რათა დღეს მაინც ვიცოდეთ, რა გველის ხვალ. ჩვენ მშვენივრად გვესმის, რომ შრომის ბაზარზე დამქირავებელი ბატონობს. მაგრამ ისიც გვესმის, რომ უნივერსიტეტი, განათლება და მეცნიერება ისეთი ფაქიზი და მნიშვნელოვანი სფეროა, რომელიც ვერ აიტანს ერთი მხრივ დიქტატს და საჭიროებს საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებას. ესეც ჩვენი უფლებაა.

უფლებებს დაცვა სჭირდება ისე, როგორც ღირსებას, დამოუკიდებლობას, თანასწორობას და სამართლიანობას. ამ მიზნით ჩვენ, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისაგან და თანამშრომლებისაგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფი, ვაცხადებთ ადამიანის უფლებათა დაცვის საუნივერსიტეტო ლიგის დაფუძნებას. ლიგას ბევრი ამოცანა აქვს დასახული. მათ შორის უნივერსიტეტში თავისუფალი პროფკავშირების შექმნა. აგრეთვე ომბუდსმენის ინსტიტუტის დაფუძნება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შემოგვიერთდება ყველა, ვისთვისაც სულერთი არ არის უნივერსიტეტისა და განათლების ბედი საქართველოში.

*საინიციატივო ჯგუფი*
*2005 წლის 14 ივლისი.*

## დავა არასამთავრობოებსა და აჭარის განათლების მინისტრს შორის

ჯაბა ანანიძე
*ბათუმიდან*

დაპირისპირება განათლების მინისტრსა და აჭარის არასამთავრობო ორგანიზაცია "ანტიკორუფციულ საბჭოს" შორის სამინისტროში ვაკანსიების შესავსებად ახლახან ჩატარებულმა კონკურსმა გამოიწვია. თავიდან, საკონკურსო კომისიაში შემავალი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ჟურნალისტები აცხადებდნენ, რომ კონკურსი მისაღებ პირობებში ჩატარდა, თუმცა მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ გამარჯვებულ თინათინ რომანაძეს სამსახურში არ ღებულობენ. მიზეზი კი ასეთია - საბუთებში გაპარული შეცდომა, სადაც თინათინს წინა სამსახურიდან წამოსვლის მცდარი თარიღი მექანიკურად თუ შეგნებულად უწერია. სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე კი "ანტიკორუფციული საბჭოს" ლიდერმა ლადო მგალობლიშვილმა აღნიშნული ფაქტი პირად ანგარიშსწორებად მიიჩნია და საბუთებში დაშვებული შეცდომის მექანიკურობის არგუმენტებიც მოიტანა. ვერსიები უფრო შორსაც მიდის, ერთი ვერსია ასლან აბაშიძესაც კი უკავშირდება და მისი ავტორები დაპირისპირებას იმ მოვლენას უკავშირებენ, რომ თინათინ რომანაძე აბაშიძის დროინდელი, განათლების მინისტრის მოადგილის, მაყვალა რომანაძის შვილია. ის, რომ შეცდომა მექანიკურია, ამას წინა სამსახურის კომპეტენტური პირებიც წერილობით ადასტურებენ, მაგრამ აჭარის განათლების მინისტრი პრეტენდენტებს სასამართლოსაკენ მიუთითებს, თან არასასიამოვნო ხმაურის ამტეხი არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობის გადასინჯვასაც მოითხოვს.

ლადო მგალობლიშვილი, სასამართლომდე, თავის სიმართლეში დარწმუნებულ განათლების მინისტრს ტელედებატებში იწვევს, თუმცა უშედეგოდ. განათლების მინისტრი აცხადებს, რომ ლაყბობისთვის არ სცალია, რომ ძალიან დატვირთული გრაფიკი აქვს, ხოლო საქმის მარტივ არსს სასამართლო ისედაც მშვენივრად გაარკვევს.

## ცვლილებები "ფულიან პოსტებზე"

აჭარაში საკადრო ცვლილებები გრძელდება. საბაჟო სამსახურს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. იქ, სადაც წლების განმავლობაში გაურკვეველი მიმართულებით მიდი-მოდიოდა მილიონობით თანხები, სიტუაციას ჯონი ბაბილოძე გააკონტროლებს. იგი ამ სამსახურამდე რეგიონულ ხაზინას ხელმძღვანელობდა და დარწმუნებულია, რომ საბაჟო სამსახური მისთვის ნაცნობი სტრუქტურაა. ახალი ხელმძღვანელი ახალ სამსახურში საკადრო ცვლილებებსაც გეგმავს, თუმცა მანამადე კოლექტივს გაიცნობს და შეისწავლის.

სავარაუდოდ, რეგიონული საბაჟო სამსახურის ყოფილ უფროსს ფრიდონ სურმანიძეს ამ დღეებში ბათუმის პორტის ხელმძღვანელად წარადგენენ.

**24 საათი**

## დ ა ზ უ ს ტ ე ბ ა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2005 წლის 16 ივლისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში, რომელიც შეეხება ვანი-სულორის ს/გზის კმ1 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღია ტენდერის საშუალებით შესყიდვას,

4.1.3. პუნქტში მანქანა-მექანიზმების ჩამონათვალი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|
| 1 | ავტოგრეიდერი სიმძლავრით 79 კვტ [illegible] | 1 |
| 2 | ამწე ტვირთამწეობით 5 ტ | 1 |
| 3 | ავტოთვითმცლელი ტვირთამწეობით 7-10 ტ | 4 |
| 4 | ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 10 ტ | 3 |
| 5 | კომპრესორი მოძრავი | 1 |
| 6 | [illegible] | 1 |
| 7 | პნევმატური სატკეპნი 8-10 ტ | 1 |
| 8 | პნევმატური სატკეპნი 16-20 ტ | 1 |
| 9 | ავტოგუდრონატორი | 1 |
| 10 | ასფალტდამგები | 1 |

*სატენდერო კომისია*

# "ამ საქმეს არ მოვეშვებით"

პირველი გვერდიდან

**"ჩვენ ხელისუფლებას ვეპაექრებით და არა ცესკო-ს,"** - დასძენს ასათიანი.

რეზო შავიშვილი აბსურდულს უწოდებს ცესკო-ს მიერ გამოთქმულ შენიშვნას სარეფერენდუმო საკითხის ბუნდოვანების შესახებ. **"მაჩვენონ თუნდაც ერთი ადამიანი, რომლისთვისაც სარეფერენდუმო კითხვა გაუგებარი და ბუნდოვანი იქნება,"** - დასძენს იგი.

სასამართლოს გზა დროის თვალსაზრისით ბევრად უფრო მომგებიანია, მაგრამ საინიციატივო ჯგუფის წევრებს სასამართლოს ობიექტურობის ბოლომდე არ სჯერათ. **"სასამართლოს ობიექტურობაში დარწმუნებული რომ ვიყო, ამ გზას უყოყმანოდ ავირჩევდი,"** - აცხადებს ასათიანი. ამ მხრივ რეზო შავიშვილის განწყობაც უიმედოა: **"ის, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, ნაკლებ იმედს მიტოვებს, რომ სასამართლოსგან დადებით პასუხს მივიღებთ."**

იურისტებთან კონსულტაციების შემდეგ, უკვე ხვალ, საინიციატივო ჯგუფმა საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*"ჩვენ ხელისუფლებას ვეპაექრებით და არა ცესკო-ს."*

# "კეზერაშვილის კანონი" ლაგოდეხის საბაჟოზე მდგომარეობას ამწვავებს

*ორი დღის წინ ლაგოდეხის საბაჟო პუნქტზე ფინანსური პოლიციის უფროსის დავით კეზერაშვილის ჩასვლამ, როგორც ვაჭრები და აზერბაიჯანში გადამსვლელი ადამიანები ამბობენ, დაუწერელი კანონები აამოქმედა.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

ორი დღის წინათ ლაგოდეხში ჩასულმა ფინანსური პოლიციის უფროსმა დავით კეზერაშვილმა ახალი ბრძანება გასცა. ხუთი კილოგრამი ტვირთის ზევით განბაჟება დაწესდა. აქ საგულისხმო ის გარემოებაა, რომ მებაჟეები მხოლოდ სიტყვიერ ბრძანებას ემორჩილებიან და ასრულებენ, ოფიციალური დოკუმენტი კი "გზაშია".

სწორედ დაგვიანებული დოკუმენტი გახდა ლაგოდეხის საბაჟოზე მორიგი საპროტესტო აქციის მიზეზი. საბაჟო ტვირთს უკვე ახალი ტარიფებით ანბაჟებდა. მოსახლეობა კი ამის შესახებ ინფორმაციას გუშინ მებაჟეების ზეპირი განმარტებით იგებდა.

**"მგონი ტელევიზორი ყველას აქვს, თუ ასეთი სიახლე იყო, რატომ არ გაგვაგებინეს? ან რამე საბუთი მაინც გამოეკრათ საბაჟოზე!"** - აღშფოთებას ვერ მალავდნენ ადამიანები, რომლებიც საქართველოს საზღვრის გადმოკვეთას ცდილობდნენ.

თელაველი მარიამ ჩეკურიშვილი, უკვე რამდენიმე თვეა, აზერბაიჯანიდან გადმოტანილი სამრეწველო საქონლით ვაჭრობს და ოჯახს ამით არჩენს. მისთვის ორმოცდაათი კილოგრამიდან ტვირთის განბაჟება შეღავათს წარმოადგენდა, ამჯერად კი განბაჟების ხუთკილოგრამიანი ზღვარის დაწესებით, როგორც ქალბატონი მარიამი ამბობს, მისი ოჯახი საარსებო წყაროს გარეშე რჩება. **"ჯერ იყო და სამსახურებიდან გაგვათავისუფლეს, ბიუჯეტისთვის ზედმეტი ხარჯი ხართო. ახლა კიდევ, როცა ბიზნესს მოვკიდე ხელი და წელებზე ფეხს ვიდგამ, მთავრობამ თავისი ყულაბის გადასარჩენად ისევ ჩვენ დაგვჩაგრა. თუ ერის ამოწყვეტა უნდათ, ბარემ ერთიანად ამოგვჟლიტონ!"** - ამბობს თელაველი ვაჭარი და მას მხარს თინა ოზმეხაშვილი უბამს. მისი თქმით, საბაჟო პუნქტებზე კოლოსალური გადასახდის დაწესება ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება: **"თუ ეს ბრძანება ძალაში შევიდა, დარწმუნებული ვარ, რომ კახეთში კი არა, მთელ საქართველოში ყველაფერი გაძვირდება."**

კანონის თანახმად, განბაჟების ტარიფებს საბაჟო დეპარტამენტი ადგენს, თუმცა ლაგოდეხის საბაჟოზე სიახლეს არ წარმოადგენს, როცა ყველაზე მეტი უფლება სწორედ ფინანსურ პოლიციას აქვს. "კეზერაშვილის კანონის" შესახებ კი გუშინ კომენტარს მთელი დღის განმავლობაში არც ფინანსური პოლიცია და არც საბაჟო გამშვები პუნქტის ხელმძღვანელობა არ აკეთებდა.

# დღე მეცხრე

### ერთიანი ეროვნული გამოცდების დღიური

გუშინ დასრულდა გამოცდა უცხო ენებში და ამით გამოცდები დაასრულეს იმ აბიტურიენტებმა, რომლებმაც რეგისტრაციისას ის ფაკულტეტები მიუთითეს, რომლებზე ჩასარიცხად მხოლოდ სამი გამოცდის ჩაბარება იყო აუცილებელი. 21 ივლისს მათემატიკის გამოცდას 11 ათასამდე აბიტურიენტი ჩააბარებს.

გუშინ მუშაობას აგრძელებდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის და უნარების ტესტების გამსწორებლები და შემმოწმებლები (ადამიანები და სკანერი). გუშინ საღამოსვე, ტესტების ნიმუშები უცხოურ ენებში საიტზე განთავსდა (naec.ge). დღეს მუშაობას უცხოური ენების ტესტების გამსწორებელთა ჯგუფი შეუდგება.

როგორც გამოცდიდან გამოსული აბიტურიენტები ამბობდნენ, მიუხედავად ღელვისა, რომ ორი საათი არ იქნებოდა საკმარისი დრო, დიდმა ნაწილმა მუშაობა დროზე ადრეც დაამთავრა. რაც შეეხება პასუხს კითხვაზე, იყო თუ რა საგამოცდო ტესტში თვისობრივად განსხვავებული შეკითხვა, აბიტურიენტები უარყოფითად პასუხობდნენ.

გუშინ მედიაცენტრში გამართულ ბრიფინგზე საერთაშორისო დამკვირვებლებმა ეროვნულ გამოცდებზე დასწრების შთაბეჭდილებების შესახებ ისაუბრეს.

სტივენ ბაკერმა, მსოფლიო ბანკის ექსპერტმა, რომელიც სამი წელია, გამოცდების ცენტრთან თანამშრომლობს, ბევრი ქათინაური უთხრა მათ და აღნიშნა, რომ მომხდარმა მოლოდინს გადააჭარბა. მან მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ამ პროცესში მონაწილეობდა - თანამშრომლებს, სახელმწიფო სტრუქტურებს, აბიტურიენტებსა და მშობლებს. ეს პროცესი სახელმწიფო და საზოგადოებრივი თანამშრომლობის შესანიშნავი ნიმუშიაო, - აღნიშნა მან.

უკრაინის განათლების "IT" ჯგუფის ხელმძღვანელმა ტიმოფეი პილნიკმა კი ხაზი გაუსვა, რომ ეს არის ზუსტად შესრულებული საუკეთესო დაგეგმარების სამუშაო, არის ღიაობის თვალსაჩინო ნიმუში და ცენტრისა და სამინისტროს თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითი. მან გამოკვეთა საზოგადოების დადებითი დამოკიდებულება ამ პროცესის მიმართ და ისურვა, რომ უკრაინაში ასეთი შედეგი ჰქონდეთ, თუმცა ეჭვი გამოთქვა, რომ "ჩვენთან თანამშრომლობა სახელმწიფო სტრუქტურებთან ჯერჯერობით არ გამოდის. ჩვენ ახლა აქ, როგორც დამკვირვებლები, ისე ვართ, მაგრამ ბევრ რამეს ვისწავლით და იქნებ გამოვიყენოთ," - თქვა მან.

დღეს გამოცდა არ არის.

**აბიტურიენტებო, ყურადღება მიაქციეთ**: თუ რეგისტრაციის დროს 5 შესაძლებლობიდან თუნდაც ერთი ფაკულტეტი მიუთითეთ, რომელზე ჩასარიცხად აუცილებელია მათემატიკის ჩაბარება, უნდა გამოცხადდეთ მათემატიკის გამოცდაზე და შეეცადოთ, რომ გადალახოთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 15 ქულა, რათა მონაწილეობა მიიღოთ სახელმწიფო გრანტის მოსაპოვებელ კონკურსში. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა 3 აუცილებელ საგანში მოპოვებული ქულებით ჩაირიცხოთ თქვენივე ჩამონათვალის იმ ფაკულტეტზე, რომელზე მოსახვედრად სამი გამოცდის ჩაბარება იყო საკმარისი, მაგრამ სახელმწიფო გრანტს ვერ მიიღებთ.

ვინაიდან გუშინ, რიგით მეთექვსმეტე სესიაზე, დაგვიანების რვა შემთხვევა მაინც დაფიქსირდა, ჩვენ კიდევ ერთხელ გთხოვთ და გაფრთხილებთ, არ დააგვიანოთ გამოცდაზე. დაე, მათემატიკის გამოცდა ის უპრეცედენტო შემთხვევა იყოს, როცა საქართველოს 14 ცენტრში არც ერთი აბიტურიენტი არ დააგვიანებს.

**24 საათი**




## მოკლედ

### დიდი ხანძარი ოზურგეთის ცენტრში

გუშინ დილით, დაახლოებით 10 საათისთვის, ოზურგეთის ცენტრში, ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე სამსართულიანი შენობის ერთ-ერთ ფლიგელს ცეცხლი გაუჩნდა. ხანძარმა იმდენად მოულოდნელად იფეთქა, რომ სწრაფად მოსულმა მეხანძრეებმაც ვერ უზრუნველყვეს მისი ლოკალიზება და ცეცხლი შენობის მთელ მესამე სართულზე გავრცელდა. ოზურგეთის მეხანძრეებს მალე შემოუერთდნენ დასახმარებლად გამოძახებული ფოთელი, ქობულეთელი, ჩოხატაურელი, ლანჩხუთელი კოლეგები, მაგრამ მათი ერთობლივი ძალისხმევით მხოლოდ ის მოხერხდა, რომ სტიქიამ მეორე და პირველ სართულებზე ვერ ჩააღწია, თუმცა ზარალი და ზიანი მაინც დიდია - სრულიად დაიწვა "ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის", ახალგაზრდული რესურს-ცენტრის, ფონდ "ჰორიზონტისა" და ურბანული ინსტიტუტის ადგილობრივი განყოფილებების, მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოების, საქართველოში მცხოვრებ უკრაინელთა ასოციაციის, ავღანელთა კავშირის, არასამთავრობო ორგანიზაციების: "გურიის მთების" და "იმედის მეგზურის", სავაჭრო-სამრეწველო პალატის, საკრედიტო კავშირის, კერძო აუდიტორული ფირმის ოფისები და სამუშაო კაბინეტები. ხანძარმა შთანთქა 30-ზე მეტი კომპიუტერი, პრინტერი, სკანერი, სხვა ტექნიკური მოწყობილებები, ინვენტარი, დოკუმენტაცია.

პირველ და მეორე სართულებზე ჩაღვრილმა დიდძალმა წყალმა მნიშვნელოვნად დააზიანა აქ განლაგებული გაზეთების რედაქციების, ნოტარიატის, სტატისტიკის რაიონული განყოფილების, მცენარეთა დაცვის სამსახურის, რაიონის სამხედრო განყოფილების დოკუმენტაცია.

თვითმხილველთა თქმით, ხანძარი გამოიწვია ელექტროენერგიის უცაბედმა მომატებამ და მოკლე ჩართვამ. აღნიშნული შენობა ერთ-ერთი ყველაზე ძველი გახლდათ ქალაქის ტერიტორიაზე. წინასწარი გათვლებით, ზარალი რამდენიმე ასეულ ათას ლარს შეადგენს, მაგრამ აუნაზღაურებელი დანაკლისია ის, რომ განადგურდა წლების მაძილზე დაგროვილი კომპიუტერული მონაცემთა ბაზა, აღარ არსებობს ახალგაზრდების კომპიუტერული სწავლების, ინტერნეტით მომსახურების შესანიშნავი ცენტრი.

**თამაზ ხარაიშვილი**
**ოზურგეთიდან**

### სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულად ზაზა გოროზია დაინიშნა

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულად თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ზაზა გოროზია დაინიშნა.

როგორც თავად გოროზიამ განაცხადა, მისი დანიშვნის შესახებ ბრძანებულებას პრეზიდენტმა ხელი უკვე მოაწერა.

გოროზიას თქმით, იგი კანცელარიაში დაიბარეს და მისთვის მოულოდნელად ფაქტის წინაშე დააყენეს. გოროზია ახალ თანამდებობაზე მოვალეობის შესრულებას ამ კვირაში შეუდგება.

ზაზა გოროზია წარმოშობით მარტვილის რაიონიდანაა და, როგორც თავად აცხადებს, მისთვის ეს რეგიონი უცხო არ არის. ამასთან, მიაჩნია, რომ ამხელა რეგიონის გუბერნატორობა საპასუხისმგებლო საქმეა.

რაც შეეხება სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის ყოფილ სახელმწიფო რწმუნებულს კახა არდიას, ახალ თანამდებობაზე მას, სავარაუდოდ, დღეს წარადგენენ.

სამსახურს არდია თბილისში გააგრძელებს და როგორც თავად აცხადებს, იმ სფეროში დაკავდება, რომელიც მისი მოწოდებაა.

ყოფილმა რწმუნებულმა თავისი ახალი თანამდებობა არ დაასახელა.

**ინტერპრესნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** 26 ივლისს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესთან. იუშენკოს ვიზიტის გამო, ჰოლანდიაში ერთკვირიან შვებულებას წყვეტს საქართველოს პრეზიდენტი. მიხეილ სააკაშვილი სამშობლოში 24 ივლისს დაბრუნდება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უკრაინა მხარს უჭერს საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2004 წლის 21 სექტემბერს გაერო-სა და 2005 წლის 26 იანვარს ევროსაბჭოში ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შესახებ წარმოდგენილ გეგმას. "საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მზადყოფნა, ცხინვალის რეგიონს ფართო ავტონომიის უფლება მისცეს, მოახდინოს რეგიონში მცხოვრებთათვის მიყენებული ზარალის კონპენსაცია, უზრუნველყოს საპენსიო დავალიანების დაფარვა, მცირე და საშუალო ბიზნესში ხელშეწყობა, "რესტიტუციის შესახებ" კანონის მიღება - ხელს უწყობს კონფლიქტის მხარეებს შორის ურთიერთგაგების მიღწევას," - ნათქვამია უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. თავის მხრივ, უკრაინა მზად არის ხელი შეუწყოს იმ წინადადებების რეალიზებას, რომელიც მიმართულია სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირებისკენ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უპირობოდ აღიარების საფუძველზე. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა ნიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# "ახალგაზრდა იურისტებმა" საზოგადოებრივ მაუწყებლობას დარღვევები აღმოუჩინეს

თამარ დვალი

*გუშინ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ექსპერტებმა საზოგადოებას საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭოს მონიტორინგის ანგარიში გააცნეს. ექსპერტების აზრით, საქტელერადიომაუწყებლობის საზოგადოებრივ მაუწყებლობად გარდაქმნის პერიოდში უმთავრეს ამოცანად სამი საკითხის განხორციელება იყო დასახული - საქტელერადიომაუწყებლობის მართვის სრულყოფა, საკადრო ოპტიმიზაცია და ინსტიტუციურ-ფუნქციონალური რეფორმირება, რაც კანონდარღვევით განხორციელდა. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ყურადღებას საქტელერადიომაუწყებლობაში არსებული თანხების მიზნობრივ ხარჯვაზე ამახვილებს და აცხადებს, რომ 2004 წლიდან დღემდე, უწყებაში არამიზნობრივად 510 689 ლარი განკარგეს.*

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქტელერადიომაუწყებლობაში არსებულ დარღვევებს 2003 წლიდან სწავლობს. მათ გასულ წელს, შესაბამისი დოკუმენტაციის მოპოვების შემდეგ, უწყების ხელმძღვანელის ზაზა შენგელიას გადადგომის საკითხიც დააყენეს, თუმცა უშედეგოდ. არასამთავრობო სექტორის ინფორმაციით, საქტელერადიომაუწყებლობაში მიმდინარე რეფორმის პერიოდში რეალურად არაფერი განხორციელებულა.

**"უწყებაში მხოლოდ თანამშრომელთა თვითნებურად დათხოვნა განხორციელდა და ახალი კადრების აყვანის დროსაც კანონის სრული იგნორირება მოხდა. არსებობს ფინანსური კანონდარღვევებიც, რაც შესყიდვების კანონმდებლობის დარღვევით გამოიხატება. სხდომის აქტებს ზაზა შენგელია აწერს ხელს, რისი უფლებაც მხოლოდ კომისიის თავმჯდომარეს ჰქონდა. პრინციპში, საერთოდ უნდა გაბათილდეს ეს საკონკურსო კომისიის შედეგები, რადგან არ შეიძლება კომისიის თავმჯდომარე იყოს სხვა და აქტს ხელს სხვა აწერდეს. სერიოზული დარღვევაა, როდესაც რადიოს საკონკურსო კომისიის დებულება დამტკიცდა და კომისიის თავმჯდომარეს ორი ხმის უფლება ჰქონდა. ასეთი ანომალიები საერთოდ არ უნდა ხდებოდეს,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრმა თამარ კორძაიამ.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარემ ანა დოლიძემ განაცხადა, საქტელერადიომაუწყებლობის შემოწმებისას, საქართველოს კონტროლის პალატამ უწყებაში არსებული დარღვევების გათვალისწინებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი ვერ დაინახა და აბსოლუტურად ზედაპირული დასკვნა დაწერა. (კონტროლის პალატამ საქტელერადიომაუწყებლობის შემოწმება მიმდინარე წლის მარტში დაასრულა). დოლიძის თქმით, "საიამ" საქტელერადიომაუწყებლობაში არსებულ დარღვევებზე ფინანსურ პოლიციასაც აცნობა, თუმცა ამას ჯერჯერობით სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია. არასამთავრობო ორგანიზაციის საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფი საქტელერადიომაუწყებლობის ყოფილი ხელმძღვანელის ზაზა შენგელიას პასუხისმგებლობის საკითხის დასმას მოითხოვს. არასამთავრობო ორგანიზაცია დღეიდან ორკვირიან აქციას იწყებს, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის გამკაცრებას ისახავს მიზნად. აქციის ფარგლებში მორიგ მრგვალ მაგიდაზე, 21 ივლისს, საჯარო ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემები გახმაურდება.

საზოგადოებრივი ტელევიზიის ახალი ხელმძღვანელის არჩევნებთან დაკავშირებით პრეტენზიები გააჩნიათ "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლებს.

**"ახლახან დასრულდა საბუთების მიღება და უნდა გამოვლინდეს ადამიანი, რომელიც საზოგადოებრივ არხს უხელმძღვანელებს. ჩვენ გვინდა, რომ ახალი ხელმძღვანელი იყოს დამოუკიდებელი და არ ასრულებდეს ხელისუფლების დაკვეთას. იმ კანდიდატებიდან, რომლებიც არიან წარდგენილი, ნამდვილად მოიპოვებიან ისეთები, რომლებიც ძირეულად გარდაქმნიან პირველ არხს. ვთვლი, რომ პირველი არხი საზოგადოებრივ ტელევიზიად ჯერ არ ჩამოყალიბებულა, მას მხოლოდ სახელი შეეცვალა. საუბარია იმაზე, თუ რომელ კანდიდატს უჭერს მხარს ხელისუფლება. ამასთან დაკავშირებით ჩვენც ვფლობთ გარკვეულ ინფორმაციას. როგორც ჩანს, 16 კანდიდატიდან ხელისუფლებისთვის მისაღები კანდიდატი ქალბატონი დოდო შონავა აღმოჩნდა. თუკი ეს ხმები გამართლდება, ვთვლი, რომ ეს საზოგადოების დაცინვა იქნება,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელმა თეა თუთბერიძემ.

# ზურაბ ნოღაიდელი და აზერბაიჯანული პრაგმატიზმი

პირველი გვერდიდან

ამდენად, მისი ვიზიტების გეოგრაფია ჯერჯერობით საქართველოს აუცილებელი პრიორიტეტით - უპირველესად მეზობელ სახელმწიფოებთან "მაკროეკონომიკური" ურთიერთმოქმედების აწყობით შემოიფარგლება, რაც სრულებითაც არ გულისხმობს სხვა პრიორიტეტებისა და ევროატლანტიკური ვექტორის უგულებელყოფას.

სამხრეთ კავკასიაში მიმდინარეობს ურთულესი თამაში, ერთდროულად რამდენიმე გლობალური მოთამაშის მონაწილეობით, რომლის დროსაც საქართველოს ახალგაზრდა ხელისუფლებას, მათ შორის პრემიერ ნოღაიდელს "ბეწვის ხიდზე" უწევს და კვლავაც მოუწევს გასვლა.

და ეს იმ დროს, როდესაც "თათქარიძიზმის" სინდრომით შეპყრობილი ქართული პოლიტიკური ელიტა ჭერში ბუზების თვლას უნაცვლებს "საერთოევროპული იდეის" მომავალზე სნობურ მსჯელობას.

ბუნებრივია, მათ ძალიან გაუკვირდებათ თუ ვიტყვი, რომ გასული ორი დღის განმავლობაში ზურაბ ნოღაიდელი გამაოგნებლად სწრაფად მშენებარე ბაქოს დათვალიერებით და "მაშარაფიანი ნა ვერტელეს" დაგემოვნებით კი არ იყო დაკავებული, არამედ (ზოგისთვის სასაცილოდ მაღალფარდოვნად ჟღერს) გააფთრებით იბრძოდა იმისთვის, რათა მომავალი ორი-სამი შემოდგომა-ზამთრის განმავლობაში თბილისელებს და არა მხოლოდ თბილისელებს სახლებში "თბილსისხლიანი ხერხემლიანებისათვის" შესაფერისი ტემპერატურა ჰქონდეთ და სიცივით არ ამოწყდნენ.

საოცარია, ჩვენი საზოგადოება ათას სისულელეზე მსჯელობს და ვერ ამჩნევს (უფრო ზუსტად, ვერ აცნობიერებს), რომ სულ მალე საშინელი განსაცდელი "მგელივით მოგვიხდება".

საქართველოს პრეზიდენტმა კი დაუფარავად გაგვაფრთხილა, რომ როგორც ჩანს, რუსეთი ბუნებრივი აირის საფასურს გააძვირებს. ხოლო "ირან-სომხეთის" გაზსადენის დასრულებასთან ერთად, მოსკოვმა შეიძლება გაზი საერთოდაც შეგვიწყვიტოს (რისი სრული იურიდიული უფლება აქვს მრავალმილიონიანი დავალიანების გათვალისწინებით), რაკი მისი სტრატეგიული მოკავშირე უგაზოდ მაინც აღარ დარჩება.

ამრიგად, ჩვენი "უკანასკნელი იმედი" აზერბაიჯანია. მათ ეს შესანიშნავად იციან და სრულებითაც ნუ გაიკვირვებთ, თუკი განჯის კარიბჭე "ნახევრად ხუმრობით" ახსენდებათ.

ჰეიდარ ალიევის უმთავრესი მემკვიდრეობა, რაც მან მშობლიურ აზერბაიჯანს დაუტოვა, ილჰამი და მისი "გადასარევი მეუღლე" კი არ არის, არამედ ცივი პრაგმატიზმის ჩვევა, რაც მან აზერბაიჯანულ ელიტას ჩაუნერგა.



*საქართველოს პრემიერი, როგორც ჩანს, ზუსტად აფასებს ახალ რეალობებს და სამომავლო პერსპექტივებსაც.*

ეს ძალიან სერიოზული არგუმენტი და "ინსტრუმენტია", რასაც მხოლოდ ასეთივე ზუსტი და პრაგმატული გათვლა შეიძლება დავუპირისპიროთ.

პრემიერ ნოღაიდელის სახით კი პრაგმატულმა მეზობლებმა სწორედ ის პარტნიორი მიიღეს, რომელიც "პრესინგს მიმართავს", იმავე მეთოდიკას იყენებს და ამრიგად მათთვის არც თუ ხელსაყრელი და "მომგებიანია".

ბევრად ერჩივნათ, შევარდნაძის დროინდელ "პირლია" პარტნიორებთან ჰქონოდათ საქმე, საქართველოს "გეოპოლიტიკური კოზირები" ჩალის ფასად რომ გაყიდეს და მათხოვრული "სატრანზიტო ტარიფის" ამარა დაგვტოვეს მომავალი 60 წლის განმავლობაში.

ზურაბ ნოღაიდელმა იმას მაინც მიაღწია (ესეც კი ძალიან ძნელი იყო ობიექტურად), რომ "შაჰდენიზის" პროექტიდან საქართველოს მოგება იმავე მათხოვრულ ზღვარს აღემატებოდეს და ქვეყანამ გარანტირებული "კვოტა" მიიღოს. თანაც იმ ოდენობისა, რაც სახელმწიფოს არა უბრალოდ არსებობას, არამედ განვითარებასაც უზრუნველყოფს, თორემ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ერთხელ თქვა კიდეც - "აზერბაიჯანული გაზის ის ოდენობა, რაც აქამდე შეთანხმებულია, მხოლოდ იმას უზრუნველყოფს, ბინებში ერთი ოთახი განათებულ-გამთბარი გვქონდეს, ვისხდეთ იმ ოთახში და ერთმანეთს ვუყუროთო".

პრემიერმა აზერბაიჯანის პრეზიდენტთან და პრემიერ-მინისტრ რასი ზადესთან (ეს უკანასკნელი შევარდნაძის დრონდელ პრემიერებთან შეხვედრას საერთოდ აღარ კადრულობდა) "ბრძოლით" მიაღწია, რომ საქართველოსათვის დამატებითი აირის გარანტირებული მოწოდების საკითხი "ეჯენდაში" მყარად ჩაისვა. ადრე ამასაც კი არ ეთანხმებოდნენ. ან თუ ეთანხმებოდნენ, ვითომ შემთხვევით იმასაც კითხულობდნენ, "აზერბაიჯანელებს საზღვრის გადაკვეთისას პრობლემები რატომ ექმნებათ იქ, სადაც საზღვარი არასდროს ყოფილა და უმაღლესებში გამოცდები ქართულად რატომ უნდა ჩააბარონო". თანაც, ამგვარ კითხვებს იქ ჟურნალისტები როდი სვამენ!

არავითარი "მუხთლობა" ან "აგრესია" აზერბაიჯანის მხრიდან აქ არ არის! ეს გახლავთ ნორმალური, ბუნებრივი, სავსებით ჯანსაღი პრაგმატიზმი ეროვნული ინტერესების დაცვისას, რომელსაც, რაკი ამის საზოგადო ჩვევა არ გაგვაჩნია, კონკრეტული, "ცივსისხლიანი, ჭკვიანი პრაგმატიკოსები" უნდა დავუპირისპიროთ. აი, ისეთები, როგორიც ორშაბათს და სამშაბათს თვითონაც ულიმოდა ცივად თავაზიან მასპინძლებს.

და კიდევ ერთი, - ვერანაირი პრაგმატიზმი და პიროვნული ნიჭი (პრეზიდენტისა თუ პრემიერის) ვერ გვიშველის, სანამ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან ინსტიტუტებს ელემენტარულად გონებაჩლუნგი ხალხი ხელმძღვანელობს.

საქართველოსათვის, დღევანდელ (ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე) სამკვდრო-სასიცოცხლო გეოპოლიტიკურ ვითარებაში, ბალანსის დაცვა მართლაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რაც ძალიან ძნელია, როცა "ყველასთან კონფლიქტის" რეჟიმში გვიწევს ცხოვრება.

ამ რეჟიმს კი, შეფარულად, ისინი გვახვევენ თავზე, ვინც 1989 წელს საქართველოს "სახელი გაუთქვა" მკვლელთა ეთნოკონფესიური ნიშნის შესაბამისად "დახარისხებით", ხოლო 2000 წელს "მსოფლიო მნიშვნელობის" დიდი ზეიმი მოგვიწყო, რათა კულტურულ-კონფესიური "მეტოქეებისათვის" ერთი წლით მაინც "დაგვესწრო", რითაც ძალაუნებურად, 37 წლის შემდგომი წმინდა მოვლენაც ლამის საერთაშორისო ანეკდოტად აქცია.

რაღა გასაკვირია, თუკი დაახლოებით იგივე ხალხი "რკინიგზის ამოქმედებასთან დაკავშირებით" სეპარატისთა არგუმენტებს ამყარებს, რომელთაც საქართველოზე ბევრად ნაკლებად სჭირდებათ ყბადაღებული რკინიგზის აღდგენა.

სხვათა შორის, ეს კითხვა (რკინიგზასთან დაკავშირებით) ბაქოშიც ხშირად ისმის - ალბათ გასაგებია, რა კონტექსტში.

სიახლე!
მაგთიკომის ახალი მომსახურება - "ბალი"

- "ბალი" იყენებს მაგთიკომის ქსელს და, ამდენად, კავშირის მაღალი ხარისხი და საუკეთესო დაფარვა გარანტირებულია.
- "ბალის" ინდექსია: 898
- არსებობს ორი განსხვავებული გადახდის ბარათი - ბალი-ბარათი და თეთრი ბალი-ბარათი. ბალი-ბარათის გააქტიურებისას ანგარიშზე გერიცხებათ წუთები ან ერთეულები, თეთრი ბალი-ბარათით კი თანხა.
- ბალი-ბარათიც და თეთრი ბალი-ბარათიც ღირს 3 ლარი.

საუკეთესო პირობები და საუკეთესო ფასები

- ჩვენ არ ვამრგვალებთ! საუბრის აღრიცხვა 1 წამიანი სიზუსტით;
- პირველად საქართველოში აირჩიეთ "საყვარელი ნომერი" და ილაპარაკეთ უფრო მეტი;
- შეღავათიანი ტარიფი ქსელის შიდა ზარებზე;
- MMS-ები ყველაზე იაფად, SMS-ები ნახევარ ფასში;
- გარანტირებული შემომავალი ზარი ბალი-ბარათის გააქტიურებიდან 30 დღის განმავლობაში;
- არავითარი სააბონენტო.

მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ უფასო ნომრებზე:
17 11 11 _ ქალაქის ფიქსირებული ქსელიდან.
123 - "ბალიდან"

ბალი სულ სხვაა!..



# მაღაზიის დალუქვის პოლიტიკური ვერსიები

პირველი გვერდიდან

**"აქ ისეთი არაფერი აღმოუჩენიათ, რომ დაელუქათ. სალაროს ჩეკზე ბეჭდები არ არისო, ამაზე მოგვედავნენ. ეს დარღვევაც რომ ყოფილიყო, 200-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს და არა დალუქვას, მაგრამ ზემოდან უბრძანეს, ჩვენს ქვეყანაში ხომ კანონი არ არის. ობიექტი უნდა ჩაეძირათ და ჩაძირეს. ჩვენ მივმართეთ ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას, სასამართლოს, სახალხო დამცველს და შედეგებს ველოდებით, მაგრამ დიდი იმედი არ მაქვს,"** - ამბობს ზაურ გელაშვილი.

როგორც იგი აცხადებს, მაღაზიის დალუქვას წინ უძღოდა ერთი საყურადღებო ფაქტი - ვალერი გელაშვილმა "ნაციონალურ მოძრაობას" გორში იმ ოფისის დატოვება მოსთხოვა, რომელიც რამდენიმე თვის წინ სრულიად უანგაროდ დაუთმო. **"ვალერიმ დაურეკა ჩემს მეგობარს დათო ცაციშვილს, რომ "ნაციონალებს" ოფისი დაეცალათ. ადამიანი გვერდში უდგას და მის წინააღმდეგ ასეთ რალაცეებს აკეთებენ. მეორე დღეს შემოვიდნენ ჩვენთან. შემდეგ ვალერისთან რეკავდნენ და ემუქრებოდნენ, რაც აუსრულეს კიდეც. ეს ყველაფერი მის მიერ ბოლო დროს გაკეთებულ განცხადებებს უკავშირდება,"** - მიიჩნევს ვალერი გელაშვილის ძმა.

**"რაც შეეხება დალუქვას, შემოწმებისთვის ეს მიზანშეწონილი არ იყო. საკმარისი იყო ჯარიმის დაკისრება, თუმცა დალუქვა კანონის შესაბამისი პროცედურების დაცვით მოხდა,"** - აცხადებს თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი გიორგი გოცირიძე.

"ევროპის" ადვოკატის ელზა პავლიაშვილისთვის გაურკვეველია, რა დარღვევები აღმოაჩინა საგადასახადო ინსპექციამ საწარმოში.

**"არ შეიძლებოდა, საწარმო დალუქულიყო, როგორც მათ მიუთითეს, ინვენტარიზაციის გამო. ეს საგადასახადო კოდექსში მითითებული არ არის. 21 ივლისს წარმოგვიდგენენ აქტებს და ვნახავთ, რა დარღვევები აღმოგვიჩინეს, დღემდე ჯერ არაფერი არ აღმოუჩენიათ. ვაპირებთ სარჩელის შეტანას ზიანის ანაზღაურებისთვის, ოღონდ, მას შემდეგ, რაც საწარმოს ლუქი აეხსნება. მე, როგორც ადვოკატს, მგონია, რომ მიზანმიმართულად მიმდინარეობს მუშაობა ბიზნესის ჩახშობისთვის,"** - აცხადებს ადვოკატი.

# შს სამინისტროს ცხელ ხაზზე 100-ზე მეტი ზარი შევიდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელ ხაზზე, 10 მაისს თავისუფლების მოედანზე ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს პრეზიდენტების გამოსვლის დროს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, ეჭვმიტანილის იდენტიფიკაციის თაობაზე 100-ზე მეტი ზარი შევიდა. ეს ინფორმაცია გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე გავრცელდა.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, ამ დროისთვის ყველა ინფორმაციის გადამოწმება მიმდინარეობს. ცხელი ხაზი სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსნის კაბინეტშია გახსნილი. ინფორმაციის მიმწოდებელთა ანონიმურობა დაცულია. შეგახსენებთ, რომ შსს იმ მოქალაქეს და ან მოქალაქეთა ჯგუფს, რომლებიც გამოძიებას ძებნილის იდენტიფიკაციაში დაეხმარება, ჯილდოს სახით 150 ათას ლარს ჰპირდება.

შსს 10 მაისს თავისუფლების მოედანზე აშშ-სა და საქართველოს პრეზიდენტების გამოსვლის დროს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, ერთ-ერთი პიროვნების იდენტიფიკაციას ცდილობს და მის ფოტოს შსს-ს ვებ-გვერდზე აქვეყნებს.

როგორც შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის განცადებით, ფოტოზე გამოსახული პიროვნება სწორედ ის ეჭვმიტანილია, რომლის დადგენასაც საქართველოს შს სამინისტრო და ამერიკის ფედერალური ბიურო გამოძიების მიმდინარეობის პერიოდში ცდილობენ და რომელმაც ორი ქვეყნის პრეზიდენტების გამოსვლის დროს ტრიბუნის მიმართულებით ხელყუმბარა ისროლა. სამართალდამცველთა მონაცემებით, ეჭვმიტანილი 25-35 წლამდე ასაკის, 175-180 სმ სიმაღლის შავგვრემანი მამაკაცია.

**24 საათი**

# გია გეწაძე შს სამინისტროდანაც წავიდა

შს მინისტრის მოადგილემ გია გეწაძემ თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე განცხადება დაწერა. თუმცა, შს სამინისტროს პრესსამსახურში ამ ინფორმაციას ჯერჯერობით არ ადასტურებენ. გავრცელებული ინფორმაციით, გეწაძის გადადგომის მიზეზად კერძო სექტორში მისი გადასვლა სახელდება, საიდანაც ის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ მოვიდა ხელისუფლებაში. 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად გია გეწაძე საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატი გახდა, ცოტა ხანში კი იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის პოსტი დაიკავა. იუსტიციის სამინისტროდან იგი ჯერ - უშიშროების, შემდეგ შს სამინისტროში გადაიყვანეს, მოგვიანებით კი ის იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებული გახდა. პრესაში გამოქვეყნებული სკანდალური მასალების შემდეგ გეწაძე კვლავ შს სამინისტროში, მინისტრის მოადგილის პოსტზე დააბრუნეს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

# ბათუმის N3 საპყრობილის პატიმრებს სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდათ

ბათუმის N3 საპყრობილეში მყოფ პატიმრებს გუშინ საქართველოს იუსტიციის სამედიცინო დეპარტამენტმა სამედიცინო შემოწმება ჩაუტარა..

ამ საპყრობილეში სულ 424 პატიმარია. მათი შემოწმება შიდსზე და თითის ანაბეჭდზე მოხდა.

სამედიცინო შემოწმება ნებაყოფლობითი იყო, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, პატიმრები გუშინ აქტიურობდნენ. ერთი საათის განმავლობაში სისხლის ანალიზი 20-მა პატიმარმა ჩააბარა, ხოლო თითის ანაბეჭდი - 40-მა.

საპყრობილეში სამედიცინო შემოწმება გეგმიურია და იგი წელიწადში ერთხელ ტარდება. ანალიზები თბილისში გადაიგზავნება და პასუხები 10 დღეში გახდება ცნობილი.

**ინტერპრესნიუსი**

შპს "საქაერონავიგაცია" აცხადებს კონკურსს

საჰაერო მართვის მეთვალყურეთა მომზადება

ზოგადი პროფესიული განათლების მიღების მსურველებს შპს "საქაერონავიგაცია" სთავაზობს მართვის მეთვალყურეების მოსამზადებელ კურსებს. მსურველთა შერჩევა იწარმოებს ბრიტანეთის საბჭოს დახმარებით.

სწავლება დაიწყება მიმდინარე წლის სექტემბერში. შპს "საქასტაკის" საერთაშორისო სასწავლო ცენტრში, მისამართზე თბილისი, აეროპორტი 0158. სწავლებას წარმართვენ ბრიტანელი ინსტრუქტორები ICAO-ს მიერ აკრედიტირებული პროგრამით. სწავლება იწარმოებს ინგლისურ ენაზე. კურსდამთავრებულების მიერ შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემდგომ მოხდება მათი დასაქმება შპს "საქაერონავიგაციაში" (ასევე ორი კურსდამთავრებულის დასაქმება განხორციელდება საზღვარგარეთის სააერნაოსნო სამსახურებში).

- ასაკი 19-იდან 25 წლამდე;

აუცილებელია ინგლისური ენის კარგი ცოდნა (წერა, საუბარი), რაც შემოწმდება ტესტირებით;

- ინტერესი ავიაციის სფეროსადმი;

ტექნიკური საგნების (მათემატიკის) ცოდნა;

- დამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობის მდგომარეობა.

მსურველებს გთხოვთ, მიმართოთ ბრიტანეთის საბჭოს (რუსთაველის გამზირი N43, 17.00 საათამდე, ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა. ტელ: 250407; 988014; 923402; 935723) შესავსები ფორმებისათვის, რომლებიც უნდა დაუბრუნოთ ბრიტანეთის საბჭოს 29 ივლისამდე.

განცხადების შერჩევის შემდეგ, ინგლისურის ტესტი ჩატარდება "შერატონ მეტეხი პალასში" 2005 წლის 8 აგვისტოს. შესარჩევი ტურის მეორე ეტაპზე (გასაუბრებაზე, რომელიც ჩატარდება უშუალოდ ინგლისელების მიერ) დაიშვებიან პირველ ტურში გასული მონაწილეები, 2005 12 აგვისტოს.

## ხელისუფლება "გაზპრომთან" თამაშის წესებს ცვლის

### რუსული ენერგოგიგანტი საქართველოს გაზის ბაზრისკენ გზას იმოკლებს

*საქართველოს მთავრობა და "გაზპრომი" ოქტომბერში ახალ ხელშეკრულებას გააფორმებენ. "გაზპრომის" შვილობილი კომპანია "გაზექსპორტის" წარმომადგენლის საქართველოში, დავით მორჩილაძის განმარტებით, ხელშეკრულების მომზადების მიზნით ერთობლივი ჯგუფები უკვე იქმნება. საქართველოს მხრიდან ხელშეკრულების მომზადებაზე, მთავრობის დავალებით, ენერგეტიკის სამინისტრო იმუშავებს. სავარაუდოდ, ახალი ხელშეკრულება საქართველოს გაზის სექტორის პრივატიზაციის პროცესში "გაზპრომის" მონაწილეობის დეტალებსაც "დაარეგულირებს". მარტივად რომ ვთქვათ, "გაზპრომი" ქართული გაზის აქტივების ხელში ჩასაგდებად გზას წინასწარ, საქართველოს ხელისუფლების დახმარებით იკვლევს. მისთვის საქმის გასაიოლებლად კი, "თბილგაზი" დროს უქმად არ კარგავს და შუამავალი კომპანია "გაზექსპორტის" დავალიანებას აგროვებს და აგროვებს. ბუნებრივია, ამ ვითარებაში შუამავალ "გაზექსპორტს" პოზიციების გამყარება არ უჭირს და თუ ქართველი ჩინოვნიკები "კარგად არ მოიქცევიან", "თბილგაზისთვის" გაზის მოწოდების განახევრებით იმუქრება.*

მაია ურუშაძე

"გაზპრომთან" შევარდნაძის დროს გაფორმებულ თანამშრომლობის მემორანდუმს, ე.წ. "განზრახულობათა ოქმს" ხელისუფლება მალე ოფიციალურ ხელშეკრულებად აქცევს. თუმცა, დღეს ამ ხელშეკრულების გაფორმების ერთ-ერთი მომხრე, "გაზპრომის" შვილობილი "გაზექსპორტის" წარმომადგენელი საქართველოში დავით მორჩილაძე დარწმუნებულია, რომ "აღნიშნული ხელშეკრულება მთავრობას "გაზპრომთან" პოლიტიკისაგან თავისუფალი, საქმიანი ურთიერთობის დამყარების და ხანგრძლივვადიანი კონტრაქტების გაფორმების საშუალებას მისცემს." მისივე თქმით, საქართველოს მთავრობას და რუსულ კომპანიას შორის ხელშეკრულება 2003 წელსაც გაფორმდა, თუმცა ახალი ხელშეკრულება წინაზე ბევრად უფრო გამჭვირვალე იქნება.

მორჩილაძის ინფორმაციით, ახალი ხელშეკრულება მხარეთა ურთიერთობების ყველა დეტალს გაითვალისწინებს, მათ შორის, "გაზპრომის" მონაწილეობას საქართველოში პრივატიზაციის პროცესში. "გაზპრომი" მზადაა, დაინტერესების შემთხვევაში, სხვა კომპანიებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს პრივატიზაციის პროცესში და ამაში ცუდი არაფერია," - მიიჩნევს მორჩილაძე.

"გაზპრომთან" უკვე შეთანხმებულია, რომ ხელშეკრულებას ხელი ოქტომბერში, თბილისში, საქართველო-რუსეთის ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობო კომისიის სხდომაზე უნდა მოეწეროს.

საინტერესოა, რომ ეს "სიახლე" "გაზექსპორტის" წარმომადგენელმა, "თბილგაზის" ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა დავით მორჩილაძემ "გაზპრომის" მხრიდან თბილისისთვის გაზის შეწყვეტის მორიგი მუქარის პარალელურად გააჟღერა. საქმე ის გახლავთ, რომ გუშინ დილიდან ვრცელდებოდა ინფორმაცია "გაზპრომის" მხრიდან "თბილგაზისთვის" გაზის მოწოდების შესაძლო განახევრების თაობაზე. მიზეზი ძველი და, ამდენად, ბანალურია: ტრადიციულად, "თბილგაზმა" შუამავალი "გაზექსპორტის" მიმართ ორნახევარ მილიონ დოლარზე მეტი დავალიანება დააგროვა.

"კონტრაქტის მიხედვით, ქართული კომპანია ვალდებულია, წინა თვეში მოხმარებული აირის საფასური მომდევნო თვის 15 რიცხვამდე გადაიხადოს," - აცხადებს მორჩილაზე და იქვე მიიჩნევს, რომ "თბილგაზი", არსებული სადავო საკითხების მოუგვარებლობის შემთხვევაში, გაზის მოწოდების განახევრების გარდა, ბევრად მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე აღმოჩნდება. "2003-2004 წლებში დაგროვილი დავალიანების, 5,77 მლნ დოლარის გადაუხდელობის შემთხვევაში, შესაძლოა "გაზექსპორტთან" გაფორმებული ხელშეკრულება ჩაიშალოს. ენერგომატარებლებზე მსოფლიო ფასების ზრდის ტენდენციის გათვალისწინებით, "თბილგაზი" დაინტერესებული უნდა იყოს, რომ "გაზექსპორტთან" არსებული ხელშეკრულება არ გაუქმდეს, ვინაიდან არსებული ხელშეკრულებით, ქართული კომპანია რუსულ გაზს შეღავათიანი ტარიფით (1000 კუბური მეტრი - 60 აშშ დოლარი) და გადახდის ხელსაყრელი პირობებით იღებს," - აცხადებს "თბილგაზის" ყოფილი დირექტორი.

სხვათა შორის, მორჩილაძის ინფორმაციით, "თბილგაზის" ხელმძღვანელობა 2,68 მილიონი დოლარის ოდენობის დავალიანების გასტუმრების კონკრეტულ ვადას ჯერჯერობით ვერ ასახელებს. მორჩილაძე ამას "თბილგაზის" უდირექტოროდ დარჩენას აბრალებს - მორჩილაძის წამოსვლის შემდეგ, "თბილგაზში" დირექტორის თანამდებობა დღემდე ვაკანტურია.

მორჩილაძის განცხადებებმა "თბილგაზის" ოფიციალური მმართველი "ახალი მენეჯმენტი" გაალიზიანა. "მორჩილაძეს თუ რაიმე ჰქონდა სათქმელი, პრესკონფერენცია "გაზექსპორტის" წარმომადგენლობაში უნდა გაემართა," - უკმაყოფილო იყო "ახალი მენეჯმენტის" ხელმძღვანელი ნოდარ გობიანიძე. საქმე იქამდე მივიდა, რომ მედია "თბილგაზის" მენეჯმენტში განხეთქილებაზე ალაპარაკდა, თუმცა ეს ინფორმაცია გობიანიძემ სასწრაფოდ უარყო: "კომპანიის მენეჯმენტში დაპირისპირება არ არის და თუ რამდენიმე პიროვნებას "თბილგაზის" წინსვლა ხელს არ აძლევს, ეს კომპანიის მენეჯმენტის პრობლემა არ არის."

მოკლედ, ვითარება არცთუ სახარბიელოა: "თბილგაზის" დავალიანება" საკმაოდ სოლიდურია. გუშინ "თბილგაზში" "გაზექსპორტიდან" შეტყობინება მოვიდა, სადაც აღნიშნულია, რომ 20 ივლისიდან თბილისის გაზმომარაგება განახევრდება. "თბილგაზში" კი ახალი დირექტორის არჩევაზე ზრუნვას ახლა იწყებენ და სავარაუდო კანდიდატურად გიორგი შაშვიაშვილს განიხილავენ.

ჯერჯერობით, გაურკვეველია გაზის სხვა ქვეყნებიდან მიღების შესაძლებლობებიც. ამ დღეებში აზერბაიჯანთან ურთიერთთანამშრომლობის ოქმი გაფორმდა, სადაც გაზსადენიდან ბუნებრივი აირის დამატებითი მოცულობის მიღების საკითხთან ერთად, აზერბაიჯანიდან საქართველოში ბუნებრივი აირის შემოტანის საკითხიც არის გათვალისწინებული. თუმცა, ჯერჯერობით (ოქტომბრამდე) შეუთანხმებელია, მიიღებს თუ არა საქართველო შაჰდენიზის მილსადენიდან გაზის დამატებით მოცულობას და თუ მიიღებს - რამდენს. ასე რომ, ჯერჯერობით, საქართველო ენერგეტიკულად ისევ რუსულ ენერგოგიგანტზე დამოკიდებული რჩება.

დაბოლოს: საერთაშორისო დონორები საქართველოს მთავრობას გაზის სექტორის მოსავლელად მილიონებს ჩუქნიან. "მილენიუმის" პროგრამიდან მაგისტრალური გაზსადენების რეაბილიტაციისთვის მთავრობა დღეს 50 მილიონ დოლარს მაინც ელოდება, "საქართველოს გაზის კორპორაციას" კი, ავარიების გამოვლენის პროცესის გასაიოლებლად, ევროკომისიამ ორი ძვირადღირებული მანქანა გადასცა, რომელთაგან ერთ-ერთ მანქანაში დამონტაჟებული ლაბორატორია გაზის გაჟონვას უმოკლეს დროში ადგენს, მეორე კი, გაზსადენის გაუმართაობის შემთხვევაში, სწრაფი რეაგირებისთვის გამოიყენება. ანუ, საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებს დღეს დონორები უყურადღებოდ არ ტოვებენ. თუმცა, როგორც ჩანს, დახმარებათა მოცულობა ხელისუფლებას ეცოტავება და, ალბათ, ამიტომ, ისევ ტრადიციული წიაღისკენ - "გაზპრომისკენ" - დაჟინებით იწევს.

## საბანკო არხებით ფულის ლეგალიზებისთვის ფიზიკურ პირებს 10 დღე რჩებათ

*ბანკების მეშვეობით არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციისთვის, ფიზიკურ პირებს 10 დღის ვადა რჩებათ. გამაფრთხილებელი განცხადებები გუშინ საქართველოს ეროვნულ ბანკში ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მფლობელების მისამართითაც ისმოდა. საქართველოს ეროვნული ბანკი ვალუტის გადამცვლელი არალიცენზირებული პუნქტების მფლობელებს მუშაობის ლეგალურად წარმართვისა და შესაბამისი საქმიანობის ლიცენზიის აღებისთვის ერთთვიან ვადას აძლევს.*

დიანა ჩაჩუა

31 ივლისს იწურება სამთვიანი პერიოდი, როდესაც დაფარული ქონების დეკლარირება-ლეგალიზაციას დაქვემდებარებულ პირებს შეუძლიათ, საქართველოს კომერციულ ბანკებში ვადიან ან შემნახველ ანაბრებზე ეროვნული ან უცხოური ვალუტით ნაღდი ფული შეიტანონ ან საზღვარგარეთიდან გადმორიცხონ.

**"თუკი პიროვნება კანონით განსაზღვრული სამი თვის ვადაში ანაბრებზე თანხას შეიტანს, მომავალში მას ვერავინ მოსთხოვს განხორციელებული ინვესტიციებისა და შენაძენების წყაროს დასახელებას,"** - განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ. მისი თქმით, ლეგალიზების პროცესის კონფიდენციალობის გარანტი საქართველოს ეროვნული ბანკი იქნება.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკის ინფორმაციით, მხოლოდ მიმდინარე წლის მაის-ივნისში, მაშინ, როცა ფიზიკურ პირებს ბანკების მეშვეობით ქონების ლეგალიზაციის შესაძლებლობა ჰქონდათ, მთლიანი დეპოზიტების მოცულობა 47 მილიონი ლარით გაიზარდა.

31 ივლისის შემდეგ, ფიზიკურ პირებს არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულების და ქონების ლეგალიზაციისათვის მხოლოდ ერთი გზა რჩებათ - წარადგინონ დეკლარაციები საგადასახადო სამსახურებში და გადაიხადონ ლეგალიზებული ქონების ერთი პროცენტი.

გუშინვე, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მფლობელებს ეროვნულმა ბანკმა მოთხოვნები წაუყენა. ეროვნული ბანკი ერთი თვის ვადაში ვალუტის გადამცვლელი არალიცენზირებული პუნქტების მფლობელებს მუშაობის ლეგალურად წარმართვისა და შესაბამისი საქმიანობის ლიცენზიის აღებისკენ მოუწოდებს.

ერთი თვეში საქართველოს ეროვნული ბანკი ვალუტის გადამცვლელი არალიცენზირებული პუნქტების სიას და აღმოჩენილ დარღვევებზე ინფორმაციას ფინანსურ პოლიციას გადასცემს. უკანონო სამეწარმეო საქმიანობა კი, სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ბრალეულ ქმედებათა რიგს განეკუთვნება და, შესაბამისად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

## ეროვნული ბანკი 200-ლარიანი კუპიურის გამოშვებას გეგმავს

პირველი გვერდიდან



**რომან გოცირიძე:** სერიოზულ რეფორმას საჭიროებს ქაღალდის ფული, როგორც დიზაინური თვალსაზრისით, ასევე - წმინდა საბანკო-საფინანსო ფუნქციიდან გამომდინარე. როცა ჩვენი ფული გამოვიდა, 100-ლარიანსა და 500-ლარიანს შორის ძალიან დიდი წყვეტა იყო. ჩვენ დღეს გვინდა, ევროსტანდარტზე გადავიდეთ. ანუ გვქონდეს ისეთი ფულის ნიშნები, როგორიც არის ევროსტანდარტში. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ დღევანდელი 200 ლარი იგივეა, რაც 100 ლარი 1995 წელს. ამასთან, საქართველოში ლარი დაგროვების საშუალებად გადაიქცა. სამი თვის განმავლობაში, დეპოზიტების რაოდენობამ ლარებში 28 მილიონით იმატა. გარდა ამისა, ხალხმა სახლში დაგროვებაც, დოლარების ნაცვლად, ლარებში დაიწყო. ამნაირი არასაბანკო დაგროვების, ასევე - ფულის გადატანა-გადმოტანის საშუალებად იქცა 100 ლარი, რომელიც დაახლოებით 50 დოლარის ეკვივალენტურია. ჩვენ გვაქვს 500-ლარიანიც, მაგრამ აქ წარმოიშვა ერთი პრობლემა - ფული დაიბეჭდა 1995 წელს. მას შემდეგ ასლგადამღები მანქანების შესაძლებლობები იმდენად წინ წავიდა, რომ დღეს 1995 წელს დაბეჭდილი 500-ლარიანის გაყალბება ელემენტარულია. დღეს ჩვენი 2-ლარიანი, რომელიც ბოლო წლებში დაიბეჭდა, უფრო დაცულია, ვიდრე 500-ლარიანი. ამიტომ, რეალურად 500-ლარიანი მიმოქცევაში ვერ გამოვა და, სავარაუდოდ, ნუმიზმატური საკუთრება გახდება. ამიტომ, ჯერ ჩვენ ვბეჭდავთ 500-ლარიანებს, რომლის დიზაინს იგივე დიზაინერები - ნოდარ და ბაჩა მალაზონიები გააკეთებენ, დარჩება იგივე კონცეფცია, დავით აღმაშენებელი, გაუმჯობესდება დიზაინი და დაცვის ტექნოლოგიები. ჩვენ უკვე მივეცით შეკვეთა და სულ მალე ესკიზი მზად იქნება. შემდეგ გამოვაცხადებთ კონკურსს და ერთ-ერთი ფირმა დაბეჭდავს მას.

რაც შეეხება 200-ლარიანის დაბეჭდვის აუცილებლობას - იგი მოიტანა ცხოვრებამ. ბიუჯეტის ზრდასთან ერთად ეს აუცილებლობაც აშკარად დადგა. ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, ეს საქართველოს ევროსტანდარტებისკენ სწრაფვის დადასტურებაა.

რაც შეეხება იმას, თუ ვინ უნდა იყოს გამოსახული მასზე? რა მინუსები აქვს, ჩემი აზრით, დღემდე არსებულ მიდგომებს - ჩვენი ფული - ლარი, ჩემი აზრით, საქართველოს ასახავს, როგორც წარსულისადმი ნოსტალგიის მქონე სახელმწიფოს, რომელსაც ყველაფერი კარგი შეუქმნია წარსულში, შუა საუკუნეებში, თითქოსდა დღევანდელობა არ გვქონდეს. ჩვენს ფულზე არიან მეფეები - გორგასალი, ოღონდ ძეგლი, თამარ მეფე და დავით აღმაშენებელი. მათ გარდა, ჩვენს ფულზე გამოსახულია, ძირითადად, ხელოვნების სფერო. ეს ტრადიცია აკნინებს ქვეყნის ისტორიას, რომელსაც მატერიალური და სულიერი ცხოვრების გაცილებით მეტი წარმატება ჰქონია. ქართული ფული არ არის მორალურად სწორ პრინციპზე აგებული - თუ თქვენ დააკვირდებით, ფულში ჩანს იერარქიულობა - საწყალი ფიროსმანი ერთლარიანზე, მერე - ფალიაშვილი, მერე - აკაკი, მერე - ილია, მერე - თამარი, შემდეგ - რუსთაველი, შემდეგ - აღმაშენებელი. სხვა ქვეყნების გამოცდილებით კი, ჩვენ ვხედავთ, რომ ყველაზე დიდი პიროვნებები არის ყველაზე ცირკულარულ, ანუ - ხმა-

ლარიანით არსებული კონცეფცია დავარღვეთ და ფული გავხადოთ უფრო ეთიკური, რადგან შოთა რუსთაველზე დიდი პოეტი არ არსებობს, ხოლო საზოგადო მოღვაწე, ჩემი აზრით, ილიაზე დიდი ვერ იქნება.

თავის დროზე შექმნილმა სამთავრობო კომისიამ, რომელმაც დღევანდელი ფულის სახე განსაზღვრა, მთავრობას ასეთი რეკომენდაცია მისცა - მომავალში, თუკი ფული დაიბეჭდებოდა, ყოფილიყო არჩეული შემდეგი სამი პიროვნებიდან - ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე და დავით გურამიშვილი. ანუ, ის კომისია ისევ პოეტური ინტეგრალების ხაზით წავიდა. ჩვენ ეს წრე გავაფართოვეთ. გარდა ამისა, ძალიან კარგი ინიციატივით შემოვიდა ლადო პაპავა - დუპლექსის თეორიით.

უნდა გითხრათ, რომ წინა შეხვედრაზე ყველამ ერთს დაუჭირა მხარი, თუმცა მიშა ჯიბუტმა ისიც განაცხადა, რომ, მაგალითად, შოტლანდიაში ფულზე კრიკეტში თუ გოლფში მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ჰყავთ გამოსახული. მან თქვა: რატომ გარდაცვლილები და არა ჩვენი თანამედროვეები? რატომ არ გამოვსახოთ, მაგალითად, ნონა გაფრინდაშვილი ქართულ ფულზე? ასე რომ, ასეთი მოსაზრებებიც არის.

ჩვენ ვატარებთ სატელეფონო გამოკითხვებს, რომლის პირველად შედეგებს დღეს გაგაცნობთ:

ნიკო მუსხელიშვილი - ერთი სატელეფონო ხმა, ილია ვეკუა - ერთი ხმა, თუმცა წყვილში რომ ყოფილიყო ეს ორი უდიდესი მათემატიკოსი, ჯერ კიდევ არავინ იცის, რა შედეგი იქნებოდა; გალაკტიონი - 46, დავით გურამიშვილი - 11, ვაჟა ფშაველა - 71, ნიკო ნიკოლაძე - 57, დიმიტრი ყიფიანი - 27, ექვთიმე თაყაიშვილი - 53, დავით სარაჯიშვილი - 11, ძმები ზუბალაშვილები - 2, და სხვა - 6. ამ სხვაში შედის - ვახტანგ გორგასალი - 3, ერეკლე II - 2, და პლატონ ჟორდანია - ერთი, ანუ ვიღაცამ თქვა, რომ მე უნდა ვიყო ფულზეო. ჯერჯერობით, პირველზე გავიდა ვაჟა, მეორეზე -ნიკოლაძე, ძალიან სენსაციურად, რადგან, მართალი გითხრათ, მე ვიხრები ნიკო ნიკოლაძისკენ, მესამე - დავით გურამიშვილი. წინა დისკუსიაში უკლებლივ ყველამ დაასახელა ნიკო ნიკოლაძე, რადგან ფულთან, ეკონომიკასთან შეხებაში მყოფი საზოგადო მოღვაწეა. ასეთია შედეგები, რომლებიც დღემდე გვაქვს, თუმცა, განსხვავებულ აზრსაც დიდი სიამოვნებით მოვისმენთ.

**ლადო პაპავა:** როცა ბატონი რომანის სიტყვით ეს საკმაოდ კარგად იყო წარმოდგენილი. რაც შეეხება ჩემს იდეას, ბატონი რომანის პოზიცია არის ასეთი - ძალიან კარგი, რომ ვიყურებით უკან, თუმცა, მოდით, გავიხედოთ წინ. ვთვლი, რომ მეცნიერებაზე წინ არაფერი იყურება. მეცნიერებაზე თანამედროვე არაფერია. ნება მიბოძეთ ვთქვა, რომ ჩვენი დიდი მეწარმეები და მოღვაწეები ჩვენი წარსულია. კარგად გამიგეთ - ჩემთვის ძალიან ძნელია რომელიმე პიროვნებაზე გამოვთქვა კრიტიკული შენიშვნა, თუმცა, თუ არის კონცეფცია, რომ ჩვენ რაღაც ორიგინალური უნდა ვთქვათ, მაშინ, იყოს 200-ლარიან კუპიურაზე ორი პორტრეტი. ასეთი პრაქტიკა უცხოეთში გვხვდება. ისე კი არ არის, რომ ყველა კუპიურაზე ორი პორტრეტია - არის, ძირითადად, ერთპორტრეტიანები, თუმცა ერთი კუპიურა არის გამორჩეული და ორპორტრეტიანი. შეგიძლიათ ნახოთ ფრანგული ფრანკი, გერმანული მარკა და ასე შემდეგ.

მე ვთვლი, რომ ლარზე უნდა იყოს ორი ცნობილი მათემატიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი და ილია ვეკუა. რატომ ეს ორი მათემატიკოსი? ჯერ ერთი, მათემატიკა უკვდავი მეცნიერებაა, თანაც, ნიკოლოზ მუსხელიშვილი და ილია ვეკუა, პრაქტიკულად, ერთ დროს მოღვაწეობდნენ. მეცნიერებაში თუ ვინმემ გაუთქვა საქართველოს სახელი, მე აქაც გამიჭირდება რანგირება, თუმცა ყველა დამეთანხმება, რომ ესენი იყვნენ ყველაზე მეტად ცნობადები, აღქმადები და მსოფლიოს ბევრ სახელმძღვანელოში, რომელიც ამ სფეროს ეხება, მათი სახელები არის უკვდავყოფილი. თანაც, ამის გაფორმებაც შეიძლება მხატვრულად - ინტეგრალებით და ასე შემდეგ. თუ საუბარია დღემდე არსებული სტერეოტიპების მსხვრევაზე, მოდით, ამ ბანკნოტის ხელში მოხვედრით ქართველებმა გაიხსენონ, რომ, მწერლობის გარდა, მეცნიერებაც გვაქვს. თან სიმბოლურია - ერთი აღმოსავლეთ საქართველოდანაა, მეორე - დასავლეთ საქართველოდან. ესეც მნიშვნელოვანია. ამ რანგის მეცნიერების მოძებნა საქართველოში საკმაოდ ძნელია. ამავე დროს, ბატონო რომან, თქვენი საუბრის დროს დღეს სხვა იდეაც გამოჩნდა: თუ ნონა გაფრინდაშვილის კანდიდატურა შეიძლება განვიხილოთ, იყოს მაია ჩიბურდანიძეც, ანუ ორი თანამედროვე, ორი დედოფალი. სხვათა შორის, ამას ერთი ნიუანსიც აქვს: 1995 წლიდან, როცა ლარი შემოვიდა საქა-

ალ, 200-ლარიანი კუპიურა ორ ასიანს მოიცავს, ესეც არგუმენტია, არა? თუმცა, კარგად გამიგეთ - ჩემთვის, როგორც მეცნიერი კაცისთვის, მეცნიერების გამოსახვა ქართულ ეროვნულ ვალუტაზე ძალიან მნიშვნელოვანია.

**ვაჟა სალამაძე:** მე სანამ აქ მოვიდოდი, ბატონი რომანის კონცეფციას არ ვიცნობდი და მოვედი საკმაოდ ჩამოყალიბებული პოზიციით - თუ იქნება 200-ლარიანი კუპიურა, ალბათ, უნდა იყოს პიროვნება, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან იდგა. ეს იყო ფარნავაზი. მართალია, ეს არ ეწერება მომავლისკენ მაყურებელ კონცეფციაში, თუმცა მე მაინც ვფიქრობ, რომ ადამიანი, რომელმაც საქართველოს სახელმწიფოებრიობას და ანბანს ჩაუყარა საფუძველი, ალბათ, არის იმის ღირსი, რომ იყოს გამოსახული სიმბოლოზე, რომელიც სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ატრიბუტია. თუმცა, თუ ამ საკითხს მოვხსნით და ლაპარაკია იმაზე, რომ სტერეოტიპები უნდა დაირღვეს, მე, სიმართლე გითხრათ, ძალიან მომწონს ბატონი ლადოს ცოტა ავანგარდისტული, ანუ ძველი კონცეფციის მართლაც დამრღვევი იდეა - ორი ქალბატონის პორტრეტის ფულზე გამოსახვის შესახებ. შემოდის ორი კომპონენტი, ასევე, ორი ქალბატონი და ასევე ის, რომ ეს ქალბატონები ჩვენი თანამედროვეები არიან. ასევე საინტერესოა მეცნიერების ტანდემიც.

**მიხეილ თოქმაზიშვილი:** ეს საკითხი საკმაოდ რთულია. რამდენ ქართველსაც არ უნდა დაეკითხოთ, ყველას თავისი განსხვავებული აზრი ექნება და ეს საკმაოდ კარგად გამოჩნდა დღესაც. ვინ უნდა დაიხატოს ლარზე - ხელოვანი, მეცნიერი თუ პოლიტიკოსი? - ასე ვსვამთ კითხვას. მე ცოტა სხვანაირად შევხედავ ამ საკითხს - რადგან ეს ორი ასიანია, იქნებ, ისეთი ადამიანი უნდა გამოვსახოთ, რომელიც პოლიტიკოსიც არის და ხელოვანიც. ასეთი ადამიანი, ჩემის აზრით, არის ექვთიმე თაყაიშვილი. ის ხელოვნებასთან იყო დაკავშირებული, მან საქართველოს სიმდიდრე გადაარჩინა და იყო პოლიტიკოსი. თუ ექვთიმე თაყაიშვილი იქნება 200-ლარიანზე, მას რომ დახედავს საქართველოს მცხოვრები, ქართულ ლარს ისევე გაუფრთხილდება, როგორც ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოს საგანძურს გაუფრთხილდა.

**მარინა ვეკუა:** მე დღეს ცოტა უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რადგან ილია ვეკუას შვილიშვილი გახლავართ. მართალი გითხრათ, გუშინწინ, როცა დისკუსიაში მონაწილეების მისაღებად ეს მოპატიჟება მივიღე, გადავხედე ქართულ ფულს, სხვასაც შევადარე და გამიჩნდა განცდა, რომ ამ ჩამონათვალს მეცნიერები ნამდვილად აკლდა. თუმცა, მე ხმასაც არ ამოვიღებდი, დღეს აქ ეს საკითხი რომ არ დასმულიყო. რაც შეხება ბატონი ლადოს იდეას - მე შეგახსენებთ, რომ მუსხელიშვილიც და ვეკუაც, გარდა იმისა, რომ იყვნენ დიდი მეცნიერები, დიდი საზოგადო მოღვაწეებიც იყვნენ. მე ამის თაობაზე ბევრს ვერ ვისაუბრებ, თუმცა ვიტყვი იმასაც, რომ ორი დედოფლის იდეაც საკმაოდ საინტერესოა.

**თამარ ხორბალაძე:** ერთი პატარა კომენტარი მინდა გავაკეთო ნიკო ნიკოლაძესთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ეჭვშეუვალია, რომ ნიკო ნიკოლაძე უდავოდ დიდი მოღვაწე იყო, თუმცა მისი კანდიდატურა აშკარად ვერ ჩაითვლება დღემდე არსებული მიდგომის კარდინალურ ცვლილებად. ამასთან, იმ მოვლენებიდან გამომდინარე, რაც მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ხდებოდა, ანუ ილია ჭავჭავაძესთან ცნობილი ისტორიული დაპირისპირების ფონზე, შესაძლოა, ქართულ საზოგადოებაში 200-ლარიანზე ნიკო ნიკოლაძის პორტრეტის გამოსახვა სწორად არ იქნეს აღქმული. გვინდა თუ არა, ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტერეოტიპები საკმაოდ ძლიერია. ნიკო ნიკოლაძეზე არჩევანის შეჩერების შემთხვევაში ეროვნული ბანკი ამ მიმართულებით გამოთქმული კომენტარებისთვის მზად უნდა იყოს.

**ლადო პაპავა:** ნიკო ნიკოლაძის ფიგურა მართლაც ფენომენალური მოვლენაა საქართველოს ისტორიაში, თუმცა ნიკო ნოკოლაძის პორტრეტი 200-ლარიანზე შესაძლოა მართლაც მოემსახუროს ამ სტერეოტიპებს მაშინ, როცა ილია ჭავჭავაძე 20-ლარიანზეა გამოსახული. ამან, შესაძლოა, მართლაც კიდევ უფრო გაამტკიცოს საქართველოში დამკვიდრებული სტერეოტიპები.

**მიხეილ თოქმაზაშვილი:** თუ ჩავთვლით, რომ ადამიანების მოღვაწეობის ხარისხი ფულზე დაწერილი ნომინალით იზომება, ეს ყველაფერს ხაზს გადაუსვამს. იმედი გვაქვს, რომ 200-ლარიანი უფრო ნაკლები ადამიანის ხელში მოხვდება, ვიდრე 20 და 10-ლარიანი...

### გამოკითხვის შედეგები დღევანდელი მდგომარეობით:

ეროვნული ბანკი 200 ლარის ნომინალის ბანკნოტის დიზაინის შესამუშავებლად გამოკითხვას ატარებს. 200 ლარის ნომინალის ბანკნოტის დიზაინის შესამუშავებლად საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო სოციოლოგიურ გამოკითხვას ატარებს. გამოკითხვა მიმდინარეობს როგორც სატელეფონო, ისე ანკეტირების ფორმით. მთავარი შეკითხვაა - რომელი საზოგადო მოღვაწის პორტრეტი უნდა გამოისახოს 200 ლარის ნომინალის ბანკნოტზე. 2005 წლის 19 ივლისის 18 საათისათვის გამოკითხულია 1071 რესპონდენტი (861 სატელეფონო, ხოლო 210 ანკეტირების ფორმით). შედეგად, ნიკო ნიკოლაძეს ხმა მისცა 201-მა, ექვთიმე თაყაიშვილს - 193-მა, ვაჟა-ფშაველას - 175-მა, გალაკტიონ ტაბიძეს - 147-მა, დიმიტრი ყიფიანს - 102-მა, ერეკლე მეორეს - 70-მა, ნიკო მუსხელიშვილს - 31-მა, დავით სარაჯიშვილს - 40-მა, დავით გურამიშვილს - 36-მა, ძმებ ზუბალაშვილებს - 28-მ, ილია ვეკუას - 14-მა, ვახტანგ გორგასალს - 12-მა, გიორგი სააკაძეს - 11-მა, გიორგი ბრწყინვალეს - 8-მ, ხოლო სხვა საზოგადო მოღვაწეს - სამმა პიროვნებამ. სოციოლოგიური გამოკითხვა გრძელდება. ხმის მიცემა შესაძლებელია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.nbg.gov.ge






### მოკლედ

#### აქცია BP-ს ოფისის წინ

გუშინ, ოცდაათამდე სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლებმა BP-ს ოფისის წინ, შვიდი თვის კუთვნილი ანაზღაურების მოთხოვნით, საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილეები BP-ს და მისი კონტრაქტორი "სპი-კაპაგ/პეტროფაგის" წინააღმდეგ სარჩელის სასამართლოში შეტანით იმუქრებიან. როგორც აქციის მონაწილე სამშენებლო კომპანია "გეოტეკის" გენერალურმა დირექტორმა ვლადიმერ გურგენიძემ აღნიშნა, მილსადენისა და გაზსადნის ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე მომუშავე 1 500-დე მუშა BP-ს კონტრაქტორს, კომპანია "სპი-კაპაგ/პეტროფაგს", 6,7 მილიონ აშშ დოლარს ედავება. მისი ინფორმაციით, ქართული სამშენებლო კომპანიებისთვის ამ თანხის გადახდას "პეტროფაგს" 2004 წლის აგვისტოში "გეოტეკთან" გაფორმებული ერთობლივი ოქმი აკისრებს.

თუმცა, როგორც BP-ს წარმომადგენელმა რუსუდან მეძმარიაშვილმა განაცხადა, კომპანიას აქციის მონაწილეების მიმართ არანაირი ვალდებულება არ გააჩნია. მისი თქმით, დავა კომპანია "გეოტეკს" და BP-ს კონტრაქტორ კომპანია "სპი პეტროფაგს" შორის მიმდინარეობს. კომპანია "გეოტეკი" "პეტროფაგის" ქვეკონტრაქტორია, ამიტომ ამ დავაში "ბრითიშ პეტროლიუმი" არაფერ შუაშია. **24 საათი**

#### სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ახალი თავმჯდომარე ჰყავს

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ახალი თავმჯდომარე ჰყავს. თბილისის ვიცე-პრემიერად გიორგი მელაძის დანიშვნის შემდეგ გამოთავისუფლებული პოსტი საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, სულიკო (სოსო) ვარსიმაშვილმა დაიკავა. სოსო ვარსიმაშვილი 28 წლისაა, იგი განათლებით იურისტია. ბოლო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ადმინისტრაციული და შიდა აუდიტის განყოფილების გამგედ, მანამდე კი, თავმჯდომარის თანაშემწედ მუშაობდა. სააგენტოში მუშაობამდე ვარსიმაშვილი სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურში საქმიანობდა. აქვს კერძო იურიდიულ ფირმაში მუშაობის გამოცდილება. **24 საათი**

# ჩეჩნეთი - შეიარაღებულ თავდასხმათა უწყვეტი ჯაჭვი

ნანა ნასყიდაშვილი

*ჩეჩნეთის რესპუბლიკაში პოლიციის თანამშრომლებზე თავდასხმები ხშირად ხორციელდება. გუშინაც რამდენიმე მსგავსი ინციდენტი მოხდა. სოფელ ზნამენსკოეში მომხდარი აფეთქების შედეგად დაღუპულია 14 და დაჭრილია 20-მდე ადამიანი. ტერაქტს მცირეწლოვანი ბავშვის სიცოცხლეც შეეწირა, რომელიც სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ველოსიპედით სეირნობდა. ჩეჩნეთის პრორუსული პრეზიდენტი ალუ ალხანოვი მომხდარით "აღშფოთებულია", ხოლო პირველი ვიცე-პრემიერი რამზან კადიროვი დამნაშავეთა უმკაცრესად დასჯას ითხოვს.*

გუშინ ჩეჩნეთში უცნობმა პირებმა "უაზ"-ის ტიპის პოლიციის ავტომანქანას ცეცხლი მაშინ გაუხსნეს, როდესაც ის სოფელ ზნამენსკოეში შევიდა და ნომერ პირველი სკოლის მიმართულებით მოძრაობდა. ბოროტმოქმედთა თავდასხმის შედეგად ერთი სამართალდამცავი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ინციდენტი ამით არ ამოწურულა - შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავთა ჯგუფის მისვლის შედეგ დაცხრილული ავტომობილი აფეთქდა. დაშავებულთა შორის, პოლიციის თანამშრომელთა გარდა, რიგითი მოქალაქეებიც არიან. ბოლო ცნობების თანახმად, დაღუპული 14 და დაჭრილია 20 ადამიანი. ტერაქტის შედეგად დაიღუპა მცირეწლოვანი ბავშვიც, რომელიც სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ველოსიპედით სეირნობდა. შემთხვევის ადგილზე ხუთი სასწრაფო დახმარების მანქანა და ის ექიმები მუშაობდნენ, რომელთაც საბრძოლო ვითარებაში დახმარების აღმოჩენის სპეციალური მომზადება აქვთ გავლილი. დაშავებულები გროზნოში და მეზობელი ქალაქების საავადმყოფოებში განათავსეს.

ინციდენტის ადგილი რესპუბლიკის პრეზიდენტმა ალუ ალხანოვმა და პრემიერ-მინისტრმა სერგეი აბრამოვმა მოინახულეს. ალუ ალხანოვმა მის ხელთ არსებული ცნობების თანახმად, განაცხადა, რომ ტერაქტი, შესაძლოა, შამილ ბასაევის რომელიმე შეიარაღებული დაჯგუფების მოწყობილია. თუმცა, ჯერ არც ერთი დამნაშავე დაკავებული არ არის. სავარაუდოდ, ტერორისტებმა სამართალდამცავებს "ვაზ-2199" ტიპის ავტომანქანიდან გაუხსნეს ცეცხლი. აღნიშნულ ავტომობილზე ძებნა გამოცხადდა.



*გუშინდელი თავდასხმის შედეგად 14 ადამიანი გარდაიცვალა.*

**"თავდამსხმელები აუცილებლად უნდა ვიპოვოთ. ისინი ყველაზე მკაცრი კანონით უნდა გავასამართლოთ და თუ ასეთი კანონები არ მოგვეპოვება, ჩვენ ისინი უნდა მივილოთ,"** - აღნიშნა ქვეყნის პირველმა ვიცე-პრემიერმა რამზან კადიროვმა.

ჩეჩნეთის ტერიტორიაზე დაძაბულობა სამშაბათს მთელი დღის განმავლობაში იგრძნობოდა. ჯერ კიდევ დილით გროზნოში ტერორისტებმა დროებითი დისლოკაციის ადგილისკენ მიმავალ სამხედრო მანქანასა და მასში მყოფ სამხედროებზე მიიტანეს იერიში. აფეთქების შედეგად, რომლის სიმძლავრეც 400 გრამი ტროტილის აფეთქების ტოლფასი იყო, არავინ დაშავდა. გუშინ დილითვე უცნობმა პირებმა ავტომატის ტიპის იარაღიდან კიდევ ერთ სამართალდამცავთა ჯგუფს გაუხსნეს ცეცხლი. თავდასხმის შედეგად მძიმედ დაჭრილი პოლიციის უფროსი სერჟანტი სერგეი ბერდნიკოვი ხანყულის საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც მას საჭირო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. ამჟამად სამართალდამცავის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ჩეჩნეთის რესპუბლიკაში პოლიციის თანამშრომლებზე თავდასხმებს ხშირად ახორციელებენ. ერთ-ერთი ასეთი ინციდენტი 9 ივნისს მოხდა. მაშინ პოლიციის შვიდი თანამშრომელი გარდაიცვალა, ხოლო 2003 წელს დანაღმული სატვირთო მანქანის აფეთქების შედეგად 52-მდე ადამიანი დაიღუპა.

## უკრაინელი ჯარისკაცები დნესტრისპირეთში მშვიდობის შენარჩუნებისთვის იბრძოლებენ

უკრაინა დნესტრისპირეთში სამშვიდობო ძალების შეყვანის შესაძლებლობას განიხილავს. როგორც დამოუკიდებელი ანალიტიკური სააგენტო "გლავრედი" იტყობინება, ამის შესახებ უკრაინის საგანგებო დავალებათა ელჩმა დმიტრი ტკაჩმა განაცხადა. "ამჟამად მიმდინარეობს ვარიანტების შემუშავება, რათა უკრაინელი სამხედროები იქ შევიდნენ," - აღნიშნა უკრაინელმა დიპლომატმა.

ტკაჩის თქმით, რეგიონში უკრაინელი სამხედროების გამოჩენის პარალელურად, შესაბამისად, შემცირდება რუსი მშვიდობისმყოფელების რიცხვი. დიპლომატი აცხადებს, რომ რუსი სამშვიდობოების დნესტრისპირეთში ყოფნა, ძირითადად, სამხედრო საწყობების დაცვით არის განპირობებული. ამ პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ ვარიანტად მოძველებული იარაღისა და საბრძოლო მასალების განადგურების საკითხიც განიხილება. უკრაინელთა თქმით, ამ წინადადებაზე თანახმაა სეპარატისტული რეგიონის პრეზიდენტი იგორ სმირნოვი. აღსანიშნავია, რომ დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე ინახება 1932-34 წწ. წარმოებული იარაღიც კი.

დნესტრისპირეთის ხელისუფლება აცხადებს იმასაც, რომ შესაძლოა, არ დაუშვას საკუთარი ტერიტორიიდან იარაღის გატანა, ვიდრე საბოლოოდ არ იქნება რეგიონის სტატუსის შესახებ მიღწეული შეთანხმება.

ბოლო ხანებში დნესტრისპირეთის კონფლიქტის დარეგულირებაში უკრაინა აქტიურად არის ჩართული. კონფლიქტის დარეგულირების ერთ-ერთი გეგმა უკრაინის პრეზიდენტის იუშენკოს სახელითაც არის ცნობილი. სამშვიდობო პროცესში ჩართულნი არიან, აგრეთვე, ევროკავშირი და აშშ. გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ ისინი გადასცემენ დნესტრისპირეთს მინი-ქარხანას, რომლითაც შესაძლებელი იქნება საბრძოლო მასალების იმგვარად განადგურება, რომ გარემოს ზიანი არ მიადგეს.

უნდა ითქვას, რომ უკრაინას სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, უკრაინელი "ცისფერი ჩაფხუტები" და სამხედრო დამკვირვებლები იმყოფებიან ერაყში, ლიბერიაში, კონგოში, ეთიოპიაში, ერითრეაში, კოსოვოში, სიერა-ლეონესა და ლიბანში, გაერო-ს მანდატით მოქმედ მისიებში.

ოფიციალური მონაცემებით, დღეს დნესტრისპირეთში, დაახლოებით, 500 რუსი სამხედრო მოსამსახურე იმყოფება. გასულ კვირას დნესტრისპირეთის ხელისუფლებამ მოსკოვს თხოვნით მიმართა, ხუთჯერ (!) გაეზარდა სამხედრო კონტინგენტი.

**24 საათი**

## იუკატანი - სტიქიური უბედურების ზონა

კარიბის ზღვის აუზზე სტიქიის შეტევა გრძელდება. რამდენიმე დღის წინ გამოჩენილ ქარიშხალ "დენისს" ამჯერად უკვე "ემილი" მოჰყვა, რომელმაც ელექტროენერგიის გარეშე დატოვა იუკატანის ნახევარკუნძულის მოსახლეობა და იქ მყოფი ტურისტები.

მექსიკის სხვა რაიონებთან შედარებით, ყველაზე მეტად საკურორტო ქალაქი პლაია დელ კარმენი დაზარალდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკურორტო ზონაში "ემილის" გამოჩენამდე მაშველებმა ათი ათასობით ტურისტისა და ადგილობრივი მცხოვრებლების ევაკუირება მოასწრეს.

ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციით, დიდია ქარიშხლის მიერ მიყენებული მატერიალური ზარალი. ძლიერმა ქარმა სახურავები გადახადა შენობა-ნაგებობებს და ხეებითა და ელექტროგადამცემი ბოძებით ჩახერგა ქუჩები. გავრცელებული ინფორმაციით, სტიქიის შეტევას ამჯერად მსხვერპლი არ მოჰყოლია.

"ემილიმ", რომლის სიმძლავრეც საათში 215 კმ-ია, იუკატანზე იამაიკიდან გადაინაცვლა. იგი მეორე ქარიშხალია, რომელიც მიმდინარე წელს მექსიკას თავს დაატყდა.

მეტეოროლოგიური სამსახურის პროგნოზით, ქარიშხლის სიმძლავრე ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით გადანაცვლებისას კიდევ უფრო გაიზრდება. მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით, ამ რაიონებიდან მოსახლეობა უკვე ევაკუირებულია.

დროებით დახურულია კანკუნის საერთაშორისო აეროპორტი.

### მოკლედ

#### "პატრიოტის" ტიპის სარაკეტო კომპლექსს იაპონიაშიც დაამზადებენ

იაპონიის თავადაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ოფიციალურ ტოკიოსა და ვაშინგტონს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, "პატრიოტის" ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო სარაკეტო თავდაცვითი კომპლექსის დამზადება ლიცენზიით იაპონიის ქარხნებშიც მოხდება.

ამომავალი მზის ქვეყნის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელის იოსინორი ონოს თქმით, მიმდინარე წელს ვაშინგტონის სანქციით ხელი მოეწერება ამერიკულ კორპორაცია "ლოქჰიდ-მარტინ"-სა და იაპონურ საწარმოს "მიცუბიში ჰევი ინდასტრიზ"-ს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რის შემდეგაც დაიწყება ზემოაღნიშნული იარაღის წარმოება. რაც შეეხება მზა იარაღის გადაცემას არმიისათვის, ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ 2008 წლიდან, მანამდე კი ოფიციალური ტოკიო "პატრიოტის" ტიპის სარაკეტო კომპლექსის რამდენიმე ნიმუშს აშშ-საგან შეიძენს.

**იტარ-ტასი**

#### ინდოეთი და აშშ თანამშრომლობისათვის მზად არიან

აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის მანმოჰან სინგჰის შეხვედრის შემდეგ ხელი მოეწერა ერთობლივ დეკლარაციას, სადაც ნათქვამია, რომ ეს ორი ქვეყანა ითანამშრომლებს ბირთვული იარაღის სფეროში. შეთანხმების მიზანი ეკოლოგიურად სუფთა და იაფი ენერგიის წარმოებაა.

**"ინდოეთი პასუხისმგებლობის მქონე სახელმწიფოა, რომელიც განვითარებულ ბირთვულ ტექნოლოგიებს ფლობს. ამდენად, იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს იგივე უპირატესობებით, რითიც სხვა ქვეყნები სარგებლობენ,"** - აღნიშნულია დეკლარაციაში.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უახლოეს მომავალში მიმართავს კონგრესს წინადადებით, შეიტანონ ცვლილება აშშ-ს კანონმდებლობაში, რომელიც შესაძლებელს გახდის, ინდოეთისათვის სამშვიდობო მიზნებით, ბირთვული ენერგეტიკის განვითარებისთვის სათანადო ტექნოლოგიების მიწოდებას.

**იტარ-ტასი**

#### ერაყში კვლავ აფეთქებების ხმა ისმის

13 ერაყელი დაიღუპა ქალაქ ბააქუბის მახლობლად მიკროავტობუსზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად.

ინციდენტი გუშინ დილით მოხდა, როცა მიკროავტობუსს მუშები ბაღდადიდან 55 კილომეტრში მდებარე ამერიკულ სამხედრო ბაზაზე გადაჰყავდა.

პოლიციის ინფორმაციით, ბოევიკებმა ორი ავტომანქანით გზა გადაუჭრეს მიკროავტობუსს და ცეცხლი გაუხსნეს. სროლის შედეგად დაიღუპა ცხრა მგზავრი და მძღოლი. ამის შემდეგ მიკროავტობუსი მსუბუქ ავტომანქანას შეეჯახა, რამაც მასში მყოფი სამი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

გუშინვე აფეთქება მოხდა ბაღდადიდან ჩრდილოეთით 250 კილომეტრში მდებარე ქალაქ კირკუკშიც. ტერაქტის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა და ოთხი დაიჭრა.

აფეთქება "ქურთისტანის პატრიოტული კავშირის" შენობის მახლობლად გაისმა. ასაფეთქებელი მოწყობილობა იმ დროს ამოქმედდა, როცა იქ პოლიციის ავტომანქანამ გაიარა.

ეგვიპტის სააგენტო "მენას" ცნობით, ერაყში ეგვიპტის ელჩის იჰაბ აშ-შერიფის მკვლელები არიან დაკავებულნი. ამის შესახებ ერაყის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბაიან ჯაბერმა ეგვიპტელ კოლეგასთან ჰაბიბ ალ-ადლისთან სტამბოლში შეხვედრისას განაცხადა. თურქეთის დედაქალაქში ერაყის მეზობელი ქვეყნების შინაგან საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელთა თათბირი ტარდება. ერაყის შს მინისტრის თქმით, მკვლელები დანაშაულისთვის კანონის წინაშე აგებენ პასუხს.

**ინტერპრესნიუსი**

#### კიევის ყოფილ გუბერნატორს ბელარუსში ეძებენ

კიევის ოლქის ექს-გუბერნატორი ანატოლი ზასუხა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ უკრაინიდან ბელარუსში გაიქცა.

როგორც გუშინ უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა იური ლუცენკომ ჟურნალისტებს აცნობა, მისი მონაცემებით, ზასუხამ ბელარუსის საზღვარი ვოლინის ოლქში გადაკვეთა. ლუცენკო ვარაუდობს, რომ კიევის ოლქის ყოფილი გუბერნატორი უკრაინის მთავრობას "აყალიბებს".

შინაგან საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ზასუხა უკრაინის გენერალურ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმის აღძვრიდან უკვე 15 წუთის შემდეგ გაიქცა. "აშკარაა, რომ ის ამის თაობაზე ინფორმირებული იყო," - მიაჩნია ლუცენკოს.

მან, ასევე, განაცხადა, რომ სამართალდამცველები "მთელი ოჯახის საქმიანობის შემოწმებას" აპირებენ.

კიევის ოლქის ადმინისტრაციის ყოფილ მეთაურზე ანატოლი ზასუხაზე საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული. მას სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებაში და რამდენიმე მილიონი გრივნის ოდენობით სახელმწიფოსთვის ზარალის მიყენებაში ედება ბრალი.

**ინტერპრესნიუსი**



# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, ისანი - სამგორის რაიონში, ვაზისუბნის მე-4 მ/რ II კვარტლის შიდა კვარტალური წრიული გზის და მე-4 მ/რ I და II კვარტლების შემაერთებელი გზის კაპიტალური შეკეთებითი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: მოსაწყობია გზის საფუძვლის ქვედა და ზედა ფენები, ასფალტო - ბეტონის საფარი (15 000 მ2,), ბორდიურები და სანიაღვრე სისტემა.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2005 წლის 31 სექტემბერი.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 4 აგვისტოს 12 საათიდან 5 აგვისტოს 17საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

- ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

5.2 **ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

4.2 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

- ინფორმაციას სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ;

ინფორმაციას ტენდერში მონაწილის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

- ლიცენზიას სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ.

***5***. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

***6.*** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 8 აგვისტოს 12 საათიდან 9 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

***7.*** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გიგა ნემსიწვერიძე -სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39 და ნუგზარ კალაძე-სატენდერო კომისის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

***სატენდერო კომისია***

# განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1.გარდაბნის რაიონის გამგეობა მდებარე: ქ. გარდაბანი, დ. აღმაშნებლის ქ.N73, ინდ. 1300 აცხადებს ღია ტენდერს გარდაბნის რაიონის სოფ ნორიოს შიდა ცენტრალური გზის შეკეთების შესახებ და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2.მიწოდების სავალდებულო ვადაა 2005 წელი.

3.დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ განცხადების გამოქვეყნებიდან 5 კალენდარული დღის შემდეგ 15 სამუშაო დღის ვადაში 9 საათიდან 17 საათამდე, მისამართზე: ქ.გარდაბანი, აღმაშენებლის ქ.N73, ინდ. 1300. სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადა, რომელიც შესრულებული უნდა იქნას ქართულ ენაზე, განისაზღვრება საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგების დაგზავნიდან არა უმეტეს 15 კალენდარული დღისა.

4 საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან და საგადასახადო ინსპექციიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი გაკოტრების საქმის წარმოება, სანაცია, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ბ) ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომელიც მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

ბ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებლივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3 ფიზიკური და იურდიული პირებისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან საფინანსო მდგომარეობის შესახებ:

ბ) ინფორმაცია ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ:

გ) მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს მიერ გაცემული სერთიფიკატის ასლი.

5. განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, რომელიც უნდა იყოს ქართულ ენაზე, თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ. კლასიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა.

6. იურდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკასიო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 500 ლარის ოდენობით (ანგ.303030001. სახალხო ბანკის გარდაბნის საოპერაციო სამმართველოს, კოდი 220101401) ზემო მითითებული ვადების შესაბამისად შეეძლებათ მისამართზე; ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ.N73, 9-დან 17 საათამდე.

**8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ:**
**გარდაბნის რაიონული გამგეობის**
**სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ტელეფონი: 5-24-46**

# განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან მიიღო სესხი პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და აპირებს ამ სესხის ნაწილით დააფინანსოს ***აჭარის ავტონომიური***

| რაიონი | ობიექტი | ფართი (მ²) |
|---|---|---|
| ქედა | სოფ. ზვარეს პჯდ მშენებლობა | 89,0 |
| ქედა | სოფ. წონიარისის პჯდ მშენებლობა | 89,0 |
| ქედა | სოფ. მერისის პჯდ რეაბილიტაცია | 96,6 |
| ქედა | სოფ. ცხმორისის პჯდ რეაბილიტაცია | 109,1 |
| ქედა | სოფ. მახუნცეთის პჯდ რეაბილიტაცია | 174,0 |
| ქედა | სოფ. პირველი მაისის პჯდ მშენებლობა | 89,0 |
| ქედა | სოფ. დანდალოს პჯდ რეაბილიტაცია | 91,3 |

***რესპუბლიკის ქედის რაიონის 7 სოფლის*** (იხ. ცხრილი) ***პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების (პჯდ) სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.***

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, ამ განცხადებით იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციას ცხრილში განთავსებული პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების კონკურსში (ტენდერში) მონაწილეობისათვის.

სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი სახის ლიცენზია:

საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობანაგებობების მშენებლობა;

- საინჟინრო სისტემებისა და კომუნიკაციების მშენებლობა.

და უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა აწარმოონ სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ერთდროულად ყველა ზევით ჩამოთვლილ ობიექტზე.

საკონკურსო დოკუმენტების პაკეტი კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ ***2005 წლის 20 ივლისიდან, 10-დან 18 საათამდე*** (შაბათ-კვირის გარდა), შემდეგ მისამართზე:

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი
ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.
საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი
ტელეფონი/ფაქსი: (995 32) 33-18-39, 33-19-39, 33-19-34

კონკურსის მონაწილემ უნდა გადაიხადოს *100 (ასი)* ლარი საკონკურსო დოკუმენტების პაკეტის მისაღებად. აღნიშნული თანხა კონკურსანტმა უნდა გადაიხადოს ბანკში, რომლის რეკვიზიტებია:
ბანკი: სს "ბანკი რესპუბლიკა" - ცენტრალური ფილიალი, ჭავჭავაძის გამზ. N11
ბანკის კოდი: 220101757
ანგარიშის ნომერი: 23408000189
ანგარიშის მფლობელი: საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი
აღნიშნული თანხა კონკურსანტს არ დაუბრუნდება.

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნული მისამართზე.

საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 60 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია ***9 000*** (ცხრა ათასი) ლარის ოდენობით, სატენდერო პაკეტში თანდართული ფორმის შესაბამისად. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ***2005 წლის 18 აგვისტოს 12 საათამდე*** შემდეგ მისამართზე:

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი
ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.
საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი
ტელეფონი/ფაქსი: (995 32) 33-18-39, 33-19-39, 33-19-34

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს ***12:00*** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.

# განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან მიიღო სესხი პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და აპირებს ამ სესხის ნაწილით დააფინანსოს ***აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შუახევის რაიონის 6 სოფლის*** (იხ. ცხრილი) ***პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების (პჯდ) სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.***

| რაიონი | ობიექტი | ფართი (მ²) |
|---|---|---|
| შუახევი | სოფ. ღლეანის პჯდ მშენებლობა | 89,0 |
| შუახევი | სოფ. ბარათაულის პჯდ რეაბილიტაცია | 108,0 |
| შუახევი | სოფ. ქვაბის პჯდ მშენებლობა | 127,7 |
| შუახევი | სოფ. წყალსაყარის პჯდ მშენებლობა | 89,0 |
| შუახევი | სოფ. შუბანის პჯდ მშენებლობა | 89,0 |
| შუახევი | სოფ. ოლადაურის პჯდ მშენებლობა | 89,0 |

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, ამ განცხადებით იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციას ცხრილში განთავსებული პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების კონკურსში (ტენდერში) მონაწილეობისათვის.

სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი სახის ლიცენზია:

საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობანაგებობების მშენებლობა;

- საინჟინრო სისტემებისა და კომუნიკაციების მშენებლობა.

და უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა აწარმოონ სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ერთდროულად ყველა ზევით ჩამოთვლილ ობიექტზე.

საკონკურსო დოკუმენტების პაკეტი კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ ***2005 წლის 20 ივლისიდან, 10-დან 18 საათამდე*** (შაბათ-კვირის გარდა), შემდეგ მისამართზე:

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი
ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.
საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი
ტელეფონი/ფაქსი: (995 32) 33-18-39, 33-19-39, 33-19-34

კონკურსის მონაწილემ უნდა გადაიხადოს *100 (ასი)* ლარი საკონკურსო დოკუმენტების პაკეტის მისაღებად. აღნიშნული თანხა კონკურსანტმა უნდა გადაიხადოს ბანკში, რომლის რეკვიზიტებია:
ბანკი: სს "ბანკი რესპუბლიკა" - ცენტრალური ფილიალი, ჭავჭავაძის გამზ. N11
ბანკის კოდი: 220101757
ანგარიშის ნომერი: 23408000189
ანგარიშის მფლობელი: საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

აღნიშნული თანხა კონკურსანტს არ დაუბრუნდება.

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნული მისამართზე.

საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 60 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია ***10 000*** (ათი ათასი) ლარის ოდენობით, სატენდერო პაკეტში თანდართული ფორმის შესაბამისად. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ***2005 წლის 18 აგვისტოს 14 საათამდე*** შემდეგ მისამართზე:

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი
ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.
საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი
ტელეფონი/ფაქსი: (995 32) 33-18-39, 33-19-39, 33-19-34

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს ***14:00*** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.

GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND — GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ონის რაიონის სოფელ ცხმორთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია,**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

**სოფელ ცხმორის სათემო კავშირთან "ბორჯანა"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ბორჯანა"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ონის რაიონი,**
**სოფელ ცხმორის, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი ჯუღური მაისურაძე, სათემო კავშირი "ბორჯანა"-ს თავმჯდომარე**

2005 წლის 20 ივლისიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 900** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ონის რაიონი,**
**სოფელ ცხმორის, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი ჯუღური მაისურაძე, სათემო კავშირი "ბორჯანა"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 18 აგვისტო 12 საათამდე**.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND — GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ონის რაიონის სოფელ ფარახეთის საკრებულოს შიდა გზების რეაბილიტაცია,**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

**სოფელ ფარახეთის სათემო კავშირთან "ოდელია"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ოდელია"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ონის რაიონი,**
**სოფელი ფარახეთი, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი მიხეილ ტოგონიძე, სათემო კავშირი "ოდელია"-ს თავმჯდომარე**

2005 წლის 20 ივლისიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 600** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ონის რაიონი,**
**სოფელი ფარახეთი, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი მიხეილ ტოგონიძე, სათემო კავშირი "ოდელია"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 18 აგვისტო 16 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **16:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND — GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ამბროლაურის რაიონის სოფელ ველევის საკრებულოს შიდა გზების რეაბილიტაცია,**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

**სოფელ ველევის სათემო კავშირთან "ველეველი"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ველეველი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ამბროლაურის რაიონი,**
**სოფელი ველევი, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი შალვა გორგიაშვილი, სათემო კავშირი "ველეველი"-ს თავმჯდომარე**

2005 წლის 21 ივლისიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 400** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ამბროლაურის რაიონი,**
**სოფელი ველევი, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი შალვა გორგიაშვილი, სათემო კავშირი "ველეველი"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 19 აგვისტო 12 საათამდე**.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND — GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **თერჯოლის რაიონის სოფ. ეწერის საშ. სკოლის შენობის რემონტი.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

**სოფელ ეწერის სათემო კავშირთან "ეწერი"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **სათემო კავშირი "ეწერი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, თერჯოლის რაიონი,**
**სოფელი ეწერი, სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი თემურ აბესაძე, სათემო კავშირი "ეწერი"-ს თავმჯდომარე**

2005 წლის **21 ივლისიდან** 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 500** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, თერჯოლის რაიონი,**
**სოფელი ეწერი, სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი თემურ აბესაძე, სათემო კავშირი "ეწერი"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 19 აგვისტო 16 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **16:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND — GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **წყალტუბოს რაიონის სოფ. საყულიას საშ. სკოლის შენობის რემონტი.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

**სოფელ საყულიას სათემო კავშირთან "რიონი"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **სათემო კავშირი "რიონი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, წყალტუბოს რაიონი,**
**სოფელი საყულია, სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი აკაკი გოგონაძე, სათემო კავშირი "რიონი"-ს თავმჯდომარე**

2005 წლის **21 ივლისიდან** 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 300** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, წყალტუბოს რაიონი**
**სოფელი საყულია, სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი აკაკი გოგონაძე, სათემო კავშირი "რიონი"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 20 აგვისტო 12 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND — GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **საჩხერის რაიონის სოფ. კორბოულის თემის ცენტრის შენობის რემონტი.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

**სოფელ კორბოულის სათემო კავშირთან "იმედი"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **სათემო კავშირი "იმედი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, საჩხერის რაიონი,**
**სოფელი კორბოული, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი ემზარი მაჭარაშვილი, სათემო კავშირი "იმედი"-ს თავმჯდომარე**

2005 წლის **20 ივლისიდან** 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 500** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, საჩხერის რაიონი,**
**სოფელი კორბოული, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი ემზარი მაჭარაშვილი, სათემო კავშირი "იმედი"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 18 აგვისტო 15 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

რკინიგზის საავადმყოფოს

## სამედიცინო კოლეჯი

აცხადებს მიღებას:

1. მედდის; 2. ბებია ქალის; 3. ფარმაცია; 4. სტომატოლოგია;
სპეციალობებზე
მიიღებიან მოსწავლეები 9 და 11 კლასის განათლებით.
აღსანიშნავია:

**სწავლა მიმდინარეობს დღის საათებში**
**10.00 სთ-დან 15.00 სთ-მდე.**

გაიცემა **სახელმწიფო დიპლომი.**

მისამართი: დიღმის მასივი,
რკინიგზის ცენტრალური საავადმყოფო. ტელ: 899 512524

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოში მოღვაწე გაეროს სააგენტოთა ჯგუფი აცხადებს ღია ტენდერს რეკლამის განთავსებაზე, ბილბორდების, ლაით ბოქსების და პლაკატების დაბეჭდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს სათანადო გამოცდილების მქონე ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას. სატენდერო განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 2005 წ. 12 აგვისტო.

დამატებითი ინფორმაცია ტენდერის პირობების შესახებ იხილეთ შემდეგ მისამართზე:

http://www.ungeorgia.ge/files/upload/Tenders/tender05.geo.doc .

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოში მოღვაწე გაეროს სააგენტოთა ჯგუფი აცხადებს პლაკატების კონკურსს. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირსა და ორგანიზაციას. ნამუშევრებისა და განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 2005 წ. 12 აგვისტო.

დამატებითი ინფორმაცია კონკურსის პირობების შესახებ იხილეთ შემდეგ მისამართზე:

http://www.ungeorgia.ge/files/upload/Announcements/poster.geo.doc .

## TV პროგრამა

### 20 ივლისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** რეინჯერები **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "პრინცესა ცერცვის მარცვალზე" (გ) **15.25** სერიალი "ენტერპრაიზი" **16.30** სერიალი "ოცნების კოშკები" **17.25** რეინჯერები **18.30** პატრული **19.00** დოკ. ფილმი **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** სერიალი "სასოწარკვეთილი დიასახლისები" **23.00** სერიალი "უცნობი" **00.00** მხ. ფილმი "შიში და თრთოლვა" (გ) (სილვი ტესტიუ) **02.20** პატრული

### 1

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ხუმრობის გარეშე" **11.00** სერიალი "ანასტასია" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "ტენტენის თავგადასავლი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "ქალი მეგობარი" **15.00** "მთავარი" სომხურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "რაციო"- პ. ბურჭულაძე **16.30** დოკ. ფილმი "შავი ოქროს ეპოპეა" **17.30** დოკ. სერიალი "სკოლის შემდეგ" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** "ვაკანსია" **19.00** სერიალი "ქალი მეგობარი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ზაბილინა" **21.00** სერიალი "ანასტასია" **22.00** დოკ. ფილმი "წინაპრები" **23.00** "ახალი პროექტი" **23.30** სერიალი "ლინდა და პოლიციელი" **00.30** მხ. ფილმი "ნულოვანი მილი" (12) **02.10** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** მხ. ფილმი "სინანულის დღე" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** "მზერა" **12.30** ტელეჟურნალი "მოდა" **13.05** სერიალი "დიელი და პასკო" **14.15** კრიმ. სერიალი "სთშ" **15.00** სერიალი "ტაქსის მძღოლი" **16.05** სერიალი "დიუნის შვილები" **17.00, 19.00, 20.00** "მზერა" **17.20** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **18.05** მულტფილმი "ოდისევსი" 1-ლი ნ. **18.30** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.05** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "კარაბინერები" **21.45** კრიმ. სერიალი "სთშ" **23.00** მხ. ფილმი "აჯობე ეშმაკს" (გ) (ჯეფრი ბოგარტი) **00.00** მხ. ფილმი "საბავშვო ექსპრესი" (15) (ნიკ მორანი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ცხელი ზაფხული" **19.50** "ზაბილინა" **20.00** მულტსერიალი "მარსუპილამი" **20.30** დოკ. სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **20.55** დოკ. ფილმი "კათედრალური ტაძრები" **21.45** კინოსეანსი "ინდოჩინეთის თოვლი"

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "ბუნების სადარაჯოზე" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** ანიმაც. ფილმი "მარკოსა და ჯინას თავგადასავლები" **08.40** იმედის დილა **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ეჰ მეგობრებო" **12.40, 16.25, 01.05** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "არაბელა მეკობრის ქალიშვილი" (კ. პუსკარი) **14.40** ვაკაჭი-ნიუსი **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 00.55** ქრონიკა **15.20** დოკ. სერიალი "სტილის ამქრები" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.10** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.25** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ეჰ მეგობრებო" **22.55** "უცნობი საქართველო" **23.25** მხ. ფილმი "სამუშაო" (15) (დ. ჰანა) **01.40** იმედის მელოდიები

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** "სპორტი" **10.35** კომედია "სოფლის დათვები" **12.30** სათავგად. ფილმი "სამოთხის იქითა მხარეს" **14.30** "ახალი ამბები" **15.00** თრილერი "სნაიპერი-2" **16.50** მულტსერიალი **17.30** "ახალი ამბები" **17.50** მუსიკა **18.30** "ნოვოსტი" **19.00** "ლაშქარი" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **20.30** "ახალი ამბები" **21.00** მუსიკა **21.30** "მოგზაური" **22.00** დოკუმენტური ფილმი **23.00** კომედია "საქმროს მეგობრები" **00.30** საინფ. დაიჯესტი **00.50** თრილერი "შეთქმულება"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Сериал **"КГБ В СМОКИНГЕ". 10.20** Сериал **"ЕВЛАМПИЯ РОМАНОВА. СЛЕДСТВИЕ ВЕДЕТ ДИЛЕТАНТ". 11.30** Дисней-клуб: "Русалочка". **12.20** Олег Анофриев в комедии **"КОТ В МЕШКЕ". 13.50** Сериал **"ОДИССЕЯ". 15.20** Сериал **"ЗАКОН ДЖУНГЛЕЙ". 15.40** Сериал **"СЫЩИКИ". 16.50** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 18.10** Вне закона. "Крапленая карта". **18.40** "Пять вечеров". **19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00** Время. **21.30** Сериал **"КГБ В СМОКИНГЕ". 22.30** Джин Хэкмен в прикл. фильме **"ГРАБЕЖ". 00.30** Фэй Грант в триллере **"ПРЕДЗНАМЕНОВАНИЕ: ПРОБУЖДЕНИЕ".** Дамиен Торн давно мертв, но его страшное пророчество возрождается в крошечной девочке по имени Дилия. Новорожденную малышку удочеряет прекрасная семейная пара - конгрессмен Джин Йорк и его молода жена Карен. Когда Карен становится известно, что ее ребенок родился при загадочных обстоятельствах, она нанимает частного детектива, чтобы найти настоящих родителей Дилии. Вскоре вокруг ребенка начинают происходить страшные и загадочные события... **02.20** Моника Кина в триллере **"ПРЕСТУПЛЕНИЕ И НАКАЗАНИЕ В ПРЕДМЕСТЬЕ**. **04.00** Миша Бартон в драме **"КОЛЬЦО БЕЛОГО СВЕТА".** Судьба нанесла Вики Остин жестокий и неожиданный удар: в течении лета ее дедушка умирал от лейкемии. Пятнадцатилетней девочке трудно было смириться с неизбежным. Казалось, Смерть подстерегает всех вокруг. Пережить нахлынувшее горе и выйти из депрессии Вики помогли ее друзья - стая дельфинов, поведение которых она изучала...

### НТВ

**профилактика 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** Сегодня. **10.15** Особо опасен! **10.50** Сериал **"ТОЛЬКО ТЫ..." 11.55** Сериал **"ЖИЗНЬ - ПОЛЕ ДЛЯ ОХОТЫ". 13.30** Нонна Мордюкова в фильме **"РОДНЯ".** Мария Васильевна приехала из деревни в город, в гости к дочери и зятю. У молодых не все ладится. Они собираются разводиться, а внучка растет, не получая родительского внимания. В городе живет и бывший муж Марии Васильевны. Он спился, опустился. Мария Васильевна не приняла городского, суматошного образа жизни, равнодушия и разобщенности людей. Она попыталась бороться с этим, полагаясь на собственный опыт, с деревенской прямотой... **15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Шоу Степаненко. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ЖИЗНЬ - ПОЛЕ ДЛЯ ОХОТЫ". 20.45** Сериал **"ТОЛЬКО ТЫ...". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 00.15** Сериал **"ЛИНИЯ ЗАЩИТЫ". 01.20** Сериал **"КЛИЕНТ ВСЕГДА МЕРТВ-II". 02.35** Бильярд. **03.10** Сериал **"10 - 8". 04.10** Марк Хармон в сериале **"МОРСКАЯ ПОЛИЦИЯ: СПЕЦОТДЕЛ". 05.05** Сериал **"НЕИЗВЕСТНАЯ ВОЙНА".**

# საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია აცხადებს ღია ტენდერს **სამეურნეო საქონელის** შესყიდვისათვის და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 4 აგვისტოს 11 საათიდან 5 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ინგოროყვას ქ.N7, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საფინანსო სამსახური.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:

*იურიდიული პირისათვის:*

1. განცხადება ტენდერში მონაწილეობის თაობაზე, მონაწილის იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები;
2. ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
3. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
4. ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;
5. ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ;

*ფიზიკური პირისათვის:*

1. განცხადება ტენდერში მონაწილეობის თაობაზე, მონაწილის იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები;
2. ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
3. ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;
4. ცნობები სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
5. ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ;

უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზევით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი ალმოჩნდება.

საკვალიფიკაციო მონაცემების შერჩევა მოხდება 2005 წლის 8 აგვისტოს 15 საათზე წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. სატენდერო კომისიის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს შერჩევის შედეგი ეცნობებათ წერილობით.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგად დამტკიცებულ პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (რეკვიზიტები: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქართველოს ეროვნული ბანკი, ა/ა 000141408, კოდი 220101107) შეეძლებათ არა უგვიანეს 2004 წლის 15 აგვისტოს 15 საათისა შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ინგოროყვას ქ.N7, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საფინანსო სამსახური.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან შორენა მამუკაშვილი, მისამართზე ქ.თბილისი, ინგოროყვას ქ.N7, ტელეფონი 93-85-45, 99-89-77.

***სატენდერო კომისია***

# განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. შ.პ.ს. "ფოთის საზღვაო ნავსადგური" ( ქ.ფოთი 4401, დ.აღმაშენებლის ქ.N52 ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48, საბანკო რეკვიზიტები: "გაერთიანებული ქართული ბანკი"-ს ფოთის N23 ფილიალი, ა/ა N623607, ბ/კ N220101606 "თი-ბი-სი" ბანკის ფოთის ფილიალი ა/ა 609103, ბ/კ 220101934) აცხადებს ღია კონკურსს ახალი ელ.კაბელების, სადენების და "რეიჰელის" ქუროების შეძენაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1.1 მოსაწოდებელი საქონლის დასახელება და რაოდენობა:

1. სადენი (ალუმინის) АПВ 1Х16 - 2000 გრძ.მეტრი;
2. კაბელი დაბალი ძაბვის (ალუმინის) АВВГ-0,6-1,0 3Х35+1Х16 - 1000 გრძ.მეტრი;
3. კაბელი დაბალი ძაბვის (ალუმინის) АВВГ-1 3Х120+1Х70(95) - 4000 გრძ.მეტრი;
4. კაბელი დაბალი ძაბვის (სპილენძის) ВВГ-1 3Х120+1Х35(70) - 1000 გრძ.მეტრი;
5. კაბელი მაღალი ძაბვის (ალუმინის) АСБ-10 3Х120 - 3000 გრძ.მეტრი;
6. კაბელი რბილი КГ 1Х25 - 500 გრძ.მეტრი;
7. კაბელი რბილი КГ 1Х35 - 500 გრძ.მეტრი;
8. სადენი (სპილენძის) ППВ 2Х4 - 2000 გრძ.მეტრი;
9. სადენი (სპილენძის) ВВГ-1 4Х6 - 1000 გრძ.მეტრი;
10. სადენი (სპილენძის) ПВ-3 1Х10 - 1500 გრძ.მეტრი;
11. რეიჰელის ქურო (120-150) - 40 ცალი.

1.2 საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადა: 2005 წლის 20 აგვისტოდან 2006 წლის 01 იანვრამდე

2. მოსაწოდებელი საქონლის სავალდებულო ადგილი - საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურში".

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები: (ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა" - მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტაციული შენობის პირველი სართული, ნავსადგურის კანცელარია, 2005 წლის 25 ივლისი 11 საათამდე.

4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;

4.1 იურდიული პირებისათვის;

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ბ. ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა

გ. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია.

ბ. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

გ ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

4.3 იურდიული და ფიზიკური პირებისათვის

ა. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლი თან დაურთეთ), რეგისტრაციის ადგილი, საბანკო რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი. (მიუთითეთ საკონტაქტო პირები ტელეფონი-ფაქსი).

ბ. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან - გააჩნია თუ არა კონკურსში მონაწილეს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი. (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები)

გ. პრეტენდენტმა ასევე უნდა წარმოადგინოს მოსაწოდებელი საქონლის წარმოშობის (თურქეთული წარმოების პროდუქცია არ განიხილება), ხარისხის და შესაბამისობის სერტიფიკატი.

5. კონკურსში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა, ყველა ცნობა ჩამოთვლილი მე-4 პუნქტში უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის შესაბამისი უწყებებიდან;

6. იურდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი ალმოჩნდება.

7. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებს, 500(ხუთასი) ლარის ოდენობით საკონკურსო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლის ქ.N52, შ.პ.ს. "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48. 2005 წლის 27 ივლისის 10 საათიდან 29 ივლისის 17 საათამდე

საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ ენაზე (ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა" - მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი).

წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადაა: 2005 წლის 09 აგვისტოს 1700 საათი, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს კანცელარია ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52.

8. კონკურსში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

9. კონკურსში გამოიყენება საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია - საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 3%-ის ოდენობით.

10. საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადას.

11. კონკურსში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

12 ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ბოლომდე.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მანანა დანელია და ლალი კეშელავა შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელ: 8 (293) 7-01-48;

# განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს კონკურს ნავსადგურის შიდა საავტომობილო გზების სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვაზე (უბანი N2 II-საწარმოო რაიონის მისასვლელი გზა)

**ძირითადი ჩასატარებელი სამუშაოების სახეობა:**

- **ასაწყობი რკ/ბეტონის ფილების დემონტაჟი - 28მ3;**
- **III კატეგორიის გრუნტის მოჭრა ბულდოზერით - 180მ3;**
- **გრუნტის ტრანსპორტირება 10კმ-ზე - 342ტ;**
- **დემონტირებული რკ/ბეტონის ფილების ტრანსპორტირება - 638ტ;**
- **ღორღის საფუძვლის მოწყობა - 1800მ2;**
- **მონოლითური რკ/ბეტონის საფარის მოწყობა სისქით 20სმ ბეტონი მ-300 - 1800მ2;**
- **გზის გვერდების გამაგრება ქვიშა ხრეშოვანი ნარევით - 37მ3;**
- **201 ქარხნის რკონიგზის ხაზების აწევა - 50მ;**
- **რკინიგზის გადასასვლელის მოწყობა რკ/ბეტონის ფილებით - 3,84მ3;**
- **მიწის კუვეიტის მოწყობა - 30მ3.**

სამუშაოთა წარმოების სასურველი ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2,5 თვე.

1. დაინტერესებულმა იურიდიულმა პირებმა (ქართველმა "მომწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მომწოდებელმა" - ინგლისურ ან რუსულ ენაზე), თავისი ქვეყნის კანონით დადგენილი შესაბამისი უწყებებიდან უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები 2005 წლის 8 აგვისტოს 1800 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, საზღვაო ნავსადგურის ადმინისტაციული შენობის I სართული შესყიდვების განყოფილება.

**2.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**3.1.** საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისათვის:

- ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმე;
- ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი იყო თუ არა მსჯავრდადებული;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან - გააჩნია თუ არა კონკურსში მონაწილეს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი. (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები);

3.2. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლი თან დაურთეთ), რეგისტრაციის ადგილი, რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი;

3.3. უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაო:

| N | სამუშაოს დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულებული სამუშაოს ტიპი | დასრულების თარიღი |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | | | | | |
| 2. | | | | | |
| . | | | | | |
| . | | | | | |

3.4. სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო ინსტრუმენტების, მოწყობილობა და მექანიზმების ჩამონათვალი:

| N | დასახელება | აღწერილობა, მოდელი ტიპი, მარკა და ასა.კ. | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი) | საკუთარი, იჯარით აღებით |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | | | | | |
| 2. | | | | | |
| . | | | | | |
| . | | | | | |

3.5. კონკურსში მონაწილე ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება:

| N | თანამდებობა | გვარი, სახელი, მამის სახელი, გამოცდილება. | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება |
|---|---|---|---|---|
| 1. | | | | |
| 2. | | | | |
| 3. | | | | |
| . | | | | |
| . | | | | |

4. კონკურსში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა 3.1. პუნქტში ჩამოთვლილი ყველა ცნობა უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის კანონით დადგენილი შესაბამისი უწყებებიდან;

5. იურდიული პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

6. საკვალიფიკაციო მონაცემების ჩაბარების შემდეგ საკონკურო კომისია განიხილავს საკვალიფიკაციო მონაცემებს და დამტკიცებულ პრეტენდენტებს 2005 წლის 12 აგვისტომდე აცნობებს სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

7. კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებს საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტის მიღება შეუძლიათ 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით საკონკურსო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტრაციული შენობის I სართულზე შესყიდვების განყოფილებაში, (ტელ/ფაქსი: + (995393) 7-01-48) 2005 წლის 12 აგვისტოდან 2005 წლის 16 აგვისტომდე, (საკონკურსო მოსაკრებლის ანგარიში - ა/N623607, ბანკის/კოდი: N220101606, საინდიფიკაციო/კოდი: N2150809999), გაერთიანებული ქართული ბანკის N23-ე ფილიალი.

8. საკონკურსო წინადადება ქართველმა "მომწოდებელმა" წარმოადგინოს - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მომწოდებელმა" - ინგლისურ ან რუსულ ენაზე. საკონკურსო წინადადების დოკუმენტების დედანი უნდა იყოს წარმოდგენილი დალუქულ კონვერტებში.

9. საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადაა: 2005 წლის 25 აგვისტო, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტრაციული შენობის I სართული, შესყიდვების განყოფილება, ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52.

10. საკონკურსო წინადადებების განხილვის შედეგების საფუძველზე საკონკურსო კომისია 2005 წლის 1 სექტემბრამდე გამოავლენს კონკურსში გამარჯვებულს.

11. კონკურსში გამოიყენება საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია - საკონკურსო წინადადების მთლიანი ღირებულების არანაკლებ 3%-ის ოდენობით.

12. საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვა- და 30 დღით უნდა აღემატებოდეს საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადას.

13. კონკურსში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელ-შეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, დასადები ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

14.ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების მოქმედების ვადის ბოლომდე.

15.კონკურსში გამარჯვებულის გამოსავლენად უპირატესობა მიენიჭება შემ-დეგ კრიტერიუმებს: სამუშაოების დაწყების ვადებს, შესასრულებელი სამუშაოების ხანგძლივობას, ანგარიშსწორების პირობებს და სამუშაოების ღირებულებას.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება საკონტაქტო პირი - შესყიდვების განყოფილების სპეციალისტი ბესარიონ ჯოჯუა (ელ-ფოსტა **besojojua@yahoo.com,** ტელ/ფაქსი: +(995393) 7-01-48 ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, ან რეკონსტრუქცია-განვითარების განყოფილების უფროსი თემურ თოფურია (ელ-ფოსტა **ikelbakiani@poti-port.com,** ტელ/ფაქსი: + (995393) 7-01-18 ტელ: +(995393) ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი N1, სამშენებლო კომპლექსის ადმინისტრაციული შენობა.



შემდეგი გაჩერება - კოპენჰაგენი

B2



"ჩემთვის მუსიკა მხოლოდ ორ კატეგორიად იყოფა"

B3



სულ სხვანაირი მადონა

B4

# "თქვენ საქართველოდან ხართ?"

## რეპორტაჟი ჯავახეთიდან

A1 გვერდიდან

ახალქალაქში საღამოს ჩავედით. პირველი, რაც გავაკეთე - აფთიაქში შევირბინე, თავის ტკივილის წამალი უნდა მეყიდა. ვერც ერთი ჩემთვის კარგად ნაცნობი წამალი ვერ აღმოვაჩინე. ანალგინიც კი რაღაც უცნაურ ქაღალდში იყო შეფუთული. აფთიაქარ ქალბატონს იმდენი კითხვა დავუსვი, რომ იგი უმალ მიხვდა, რაშიც იყო საქმე.

"თქვენ საქართველოდან ხართ?" - მკითხა ამ ქალბატონმა რუსულად... ეს კითხვა პირველი და მთავარი აღმოჩენა იყო, რომელიც მე ჯავახეთში გავაკეთე...

ჯავახეთს საქართველოს დედაქალაქიდან მხოლოდ ორი ასეული კილომეტრი აშორებს, მაგრამ ეს მანძილი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ აქ თავი სულ სხვა განზომილებაში იგრძნოთ.

■ ■ ■

პრობლემები ამ რეგიონში თითქმის იგივეა, რაც დანარჩენ საქართველოში. სიტუაციას მხოლოდ ჯავახეთის მკაცრი ბუნება ართულებს. აქ ოქტომბრიდან მაისამდე ზამთარია. ზამთრის თვეებში ტემპერატურა 30 გრადუსამდე ეცემა. გლეხს არჩევანი არა აქვს - აქაური მიწა მხოლოდ კარტოფილს ახარებს.

**"ჯავახეთი ქართული ციმბირია,"** - ხუმრობენ აქ. მკაცრ ზამთარს ჯავახეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი წივით ებრძვის. შეშა ძალიან ძვირია. ზამთარში რომ გათბე, 500 დოლარის შეშა გჭირდება.

ახალქალაქში შედარებით უკეთესად ცხოვრობენ, ძირითადად, რუსეთიდან გამოგზავნილი ფულის ხარჯზე. ახალქალაქიდან ბევრი წავიდა რუსეთში სამუშაოდ. სომხეთში სამუშაოდ თითქმის არ მიდიან, როგორც თავად ამბობენ, სამსახურის შოვნა არც მათ ისტორიულ სამშობლოშია ადვილი.

პროდუქტებზე ფასები ძალიან ძვირია. პური ერთ ლარამდე ღირს.

იგივე უმუშევრობა, იგივე უფულობა, რაც საქართველოს სხვა რეგიონებში. თუმცა, ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემად აქ უგზოობას თვლიან.

მანძილი, რომელსაც თბილისიდან ნინოწმინდამდე სამ საათში დაფარავ, უგზოობის გამო შვიდი საათი იწელება.

როგორც აქაურები ამბობენ, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ამ რეგიონში ბევრი არაფერი შეცვლილა. თუმცა, აქ არც ძველი ხელისუფლებისგან ახსოვთ წყალობა. შევარდნაძის სახელს აქ ერთადერთი რამ უკავშირდება: "მან ახალქალაქიდან ნინოწმინდაში მიმავალი გზა გააკეთა. კარგი გზაა," - ამბობენ ახალქალაქელები. სამცხე-ჯავახეთის ახალი გუბერნატორი გოგა ხაჩიძე სხვაგვარად ფიქრობს და აცხადებს, რომ ახალი ხელისუფლებისთვის აღნიშნული რეგიონი პრიორიტეტულია.

როგორც ხაჩიძე აღნიშნავს, "მილენიუმის პროგრამის" ფარგლებში, ახალციხიდან ახალქალაქამდე გზის გასაყვანად 120 მილიონი ამერიკული დოლარი გამოიყო. გზებს ახალქალაქშიც აკეთებენ. ქალაქის ცენტრალური გზების შესაკეთებლად მილიონ ორასი ათასი დოლარია გათვალისწინებული. ხელისუფლება ტრადიციას არ ღალატობს და ფასადების შეკეთებას ახალქალაქშიც აპირებს.

მიუხედავად იმისა, რომ ჯავახეთის მოსახლეობა ნაკლებად პოლიტიზირებულია და პრეზიდენტის გამოსვლებსა და განცხადებებს არცთუ ისე ხშირად უგდებს ყურს, სააკაშვილის ერთ-ერთი ბოლო ბრიფინგის შესახებ აქ თითქმის ყველამ იცის.

პრეზიდენტი ახალქალაქისა და ნინოწმინდის მოსახლეობას შეჰპირდა, რომ 20-ათასიანი ქართული არმიისთვის კარტოფილსა და რძის პროდუქტებს სწორედ მათგან შეისყიდის.

ახალქალაქისა და ნინოწმინდის გამგებლები ამ გადაწყვეტილებას "რეგიონისთვის უმნიშვნელოვანესს" უწოდებენ. **"რა თქმა უნდა, პრეზიდენტის ეს ინიციატივა ძალიან დაეხმარება რაიონს. ჩვენ გარანტირებული ბაზარი გვექნება,"** - ამბობს ახალქალაქის გამგებელი არტურ ერემიანი და აცხადებს, რომ "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ხელისუფლება უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ჯავახეთს. **"ჩვენთვის დიდი პატივია, რომ ჩვენი ჯარი უნდა გამოვკვებოთ,"** - ამბობს ნინოწმინდის გამგებელი მელს ბდოიანი.

ახალქალაქის მერი ნაირ ირიციანი ხელისუფლების მსგავს გააქტიურებას რამდენიმე თვის წინ ახალქალაქში გამართულ მიტინგებს მიაწერს, სადაც მოსახლეობა რუსული ბაზების საქართველოდან გასვლის წინააღმდეგ გამოდიოდა.

**"მიტინგებმა მართლა გამოაცოცხლა ჩვენი რეგიონი. ახლა გაახსენდათ ჯავახეთი. მიტინგები რომ არ გაგვემართა, არც გზის შესაკეთებელ ფულს მოგვცემდნენ და არც კარტოფილს იყიდდნენ ჩვენგან,"** - აცხადებს ირიციანი. ახალქალაქელები პრეზიდენტის აღნიშნულ ინიციატივას თავშეკავებით შეხვდნენ. **"კარგი ამბავია, მაგრამ მე ასეთი წესი მაქვს - ხელისუფლების არ მჯერა, ვიდრე გაკეთებულ საქმეს არ ვნახავ,"** - ამბობს 62 წლის არმენ ჩინახჩიანი.

### რუსული ბაზა - უსაფრთხოების გარანტი

როგორც ზოგიერთები ამბობენ, კარტოფილთან ერთად, ახალქალაქის კიდევ ერთი სიმდიდრე რუსული ბაზაა. ახალქალაქში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზის შესასვლელთან დღესაც კიდია პლაკატი ასეთი წარწერით: "დაეპატრონე ამ მიწას უშიშრად, რუსული არმია შენ დაგიცავს."

თუ საქართველოსა და რუსეთის შორის მიღწეულ შეთანხმებას გავითვალისწინებთ, უკანასკნელი რუსი ჯარისკაცი საქართველოს ტერიტორიას მალე დატოვებს და როგორც ჯავახეთში მოქმედი ზოგიერთი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრები აცხადებენ, მცირე ეკონომიკურ კეთილდღეობასთან ერთად ჯავახეთის მოსახლეობა მშვიდ ძილსაც დაკარგავს. **"თუ რუსულ ბაზას ქართული ჯარით ჩაანაცვლებენ, არ არის გამორიცხული, რომ ადგილობრივ მოსახლეობასა და ქართულ არმიას შორის კონფლიქტი დაიწყოს,"** - აცხადებს ახალქალაქის მერი ნაირ ირიციანი.

იგი საბჭოთა პერიოდს იხსენებს, როცა საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სამხედრო კათედრებს ახალქალაქში სტუდენტები ჩამოჰყავდათ ე.წ. "სბორებზე". **"მაშინ მუდმივი კონფლიქტი იყო ჩამოსულ ქართველებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. დღეს ქართული ჯარი ისეთი დისციპლინირებული არ არის, რომ ამგვარი კონფლიქტები არ მოხდეს,"** - აცხადებს ირიციანი.

ამ მოსაზრებას იზიარებს ჯავახეთის სპორტულ-კულტურული ახალგაზრდული კავშირის წარმომადგენელი ვააგ ჩახალიანიც. აღნიშნულ კავშირს ჯავახეთში ადგილობრივ "კმარასაც" უწოდებენ. სწორედ მათ მიერ იყო ორგანიზებული რუსული ბაზის გაყვანის წინააღმდეგ მიმართული მიტინგებიც.

ჩახალიანის თქმით, რუსული ბაზა ახალქალაქის მოსახლეობისთვის სიმშვიდის გარანტი უფრო იყო, ვიდრე ეკონომიკური კეთილდღეობის. **"ჩვენ თურქეთის გვეშინია. რუსული ბაზები რომ გავლენ, თურქეთთან პირისპირ აღმოვჩნდებით,"** - აცხადებს ჩახალიანი. მისი აზრით, ქართული ჯარი რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებას ვერ შეძლებს. არგუმენტად ისიც არ გამოდგა, რომ თურქეთი ნატო-ს წევრი ქვეყანაა, რომელიც სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრას ნაკლებად დაუშვებს.

ახალქალაქის მერის თქმით, ახალქალაქიდან რუსული ბაზების გასვლით, რაიონი 300 ათას დოლარს დაკარგავს. **"რუსულ ბაზაზე და ამ ბაზის ინფრასტრუქტურაზე მომუშავეთა საშუალო ხელფასი 200 დოლარია. იქ დაახლოებით 1500 ახალქალაქელია დასაქმებული, თქვენ თვითონ გამოითვალეთ, რამდენს კარგავს რაიონი,"** - აცხადებს ირიციანი.

მისი თქმით, პრეზიდენტის განცხადება იმის თაობაზე, რომ რუსულ ბაზაზე მომუშავე ყველა ახალქალაქელი ქართულ ჯარში დასაქმდება, არასერიოზულია. **"თითქმის ყველა, ვინც იქ მუშაობდა, რუსეთის მოქალაქე იყო. ისინი ბაზებთან ერთად წავლენ. პრეზიდენტმა, ალბათ, არ იცოდა ეს, როცა აღნიშნული განცხადება გააკეთა,"** - ამბობს ახალქალაქის მერი, რომლის სამუშაო კაბინეტში პრეზიდენტ სააკაშვილის ფოტო ჰკიდია.

კონკრეტულად რამდენი ახალქალაქელია დასაქმებული რუსეთის სამხედრო ბაზაზე, არავინ იცის. თუმცა, ახალქალაქში აცხადებენ, რომ რუსულ ბაზაზე მომუშავე ადგილობრივთა რიცხვი ბოლო დროს საგრძნობლად შემცირდა.

### ენა ჩვენი...

ჯავახეთის მოსახლეობის 96 პროცენტი ეთნიკური სომეხია. ქართული ენა აქ არავინ იცის. რუსულს არცთუ ისე კარგად ფლობენ, მაგრამ ქართველისთვის ეს მაინც ერთადერთი საკომუნიკაციო ენაა ჯავახეთში. ისინი ცხოვრობენ, მუშაობენ, მოღვაწეობენ საქართველოში ისე, რომ ქართული არ იციან. და, რაც მთავარია, ქართული მათ არცთუ ისე სჭირდებათ. სახელმწიფომ არ შექმნა ამ რეგიონში ისეთი პირობები, ისეთი გარემო, რომ აქ ქართული ენის შესწავლა აუცილებელი იყოს.

ახალქალაქის მერი ნაირ ირიციანი ამტკიცებს, რომ რეგიონში სამსახურის შოვნა ქართული ენის ცოდნის გარეშე გართულებულია. ეს მოსაზრება ფაქტებით არ დასტურდება. უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოებში მომუშავეთა უმრავლესობამ ქართული არ იცის, მაგრამ ამის გამო თანამდებობაზე დანიშვნისას განსაკუთრებული დაბრკოლება არ ჰქონიათ და ახალქალაქისა და ნინოწმინდის გამგეობასა თუ მერიაში მომუშავეთა დიდი უმრავლესობა სომხები არიან, რომელთაც ქართული არ იციან.

ნათია კაჭკაჭიშვილი ახალციხეში ცხოვრობს და ახალქალაქის რაიონის სოფელ ყაურმაში ქართულ ენას ასწავლის. როგორც თავად ამბობს, დღეისათვის არსებული პროგრამით სომხურ სკოლებში ქართული ენის სწავლა "წყლის ნაყვაა".

**"როცა არაქართველ ბავშვს მეექვსე კლასში სერიებს და მწკრივებს ასწავლი, ის, ცხადია, ვერაფერს გაიგებს,"** - ამბობს იგი. მისი თქმით, სომხურ სკოლებში დღეს ქართულს საბჭოეთის დროს შექმნილი სახელმძღვანელოებით ასწავლიან.

განათლების სამინისტროს "სამოქალაქო ინტეგრაციის" პროექტის ფარგლებში შემუშავებული აქვს პროგრამა "ქართული ენის შესწავლის პრობლემები არაქართულ სკოლებში", რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონ 870 ათასი ლარია გამოყოფილი. ჯერჯერობით, ამ პროგრამის სიკეთე რეგიონს არ ეტყობა.

ძველი თაობის ხალხისთვის ენის შესწავლა რთულია, მაგრამ ქართული ენა ამ რეგიონში ახალგაზრდა თაობასაც კარგავს. უმაღლეს განათლებას აქაურები, ძირითადად, სომხეთში ღებულობენ. ამ რეგიონის ბავშვები ერთიანი ეროვნული გამოცდების მიღმა დარჩნენ, ისევ და ისევ ენის გამო. სავარაუდოდ, არც მომავალ წელს შეიცვლება ვითარება. **"ის, რომ ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ და ქართული არ ვიცით - ნონსენსია, მაგრამ, სამწუხაროდ, რეალობაა,"** - ამბობს ნინოწმინდის გამგებელი. სამცხე-ჯავახეთიდან ოთხასმა ახალგაზრდამ (ამ რეგიონიდან ყველაზე მეტი ბავშვი შეირჩა) საპრეზიდენტო პროგრამა "პატრიოტის" ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაისვენა. ახალქალაქში ამბობენ, რომ ქართველებთან გატარებული ორი კვირის განმავლობაში სომეხმა ახალგაზრდებმა უფრო მეტი ქართული სიტყვა ისწავლეს, ვიდრე სკოლაში ათწლიანი სწავლის შედეგად.

ჯავახეთში ქართულ ენას მოწინააღმდეგები ჰყავს. არიან ისეთებიც, ვინც ქართული ენის შესწავლაში ქართველებთან ასიმილაციის საფრთხეს ხედავენ.

**"მე პრინციპულად არ ვისწავლი ქართულს, რადგან ჩვენ ქართულის სწავლას იმიტომ გვაიძულებენ, რომ ქართველებთან ჩვენი ასიმილაცია მოხდეს. ეს მიზანმიმართული პოლიტიკაა. სპეციალურად ქმნიან ბარიერს ქართული ენის სახით და სახელმწიფო თანამდებობებზე სომხებს არ ნიშნავენ,"** - ამბობს მოძრაობა "ჯავახკის" ერთ-ერთი ლიდერი ნორიკ კარაპეტიანი. **"ჩვენ გვინდა იგივე უფლებები გვქონდეს, რაც ქართველებს, და, ამავე დროს, შევინარჩუნოთ სომხური ენა, ტრადიციები და ა.შ."** - აცხადებს კარაპეტიანი.

"ვირქის" ლიდერის დავით რსტაკიანის აზრით, დღევანდელმა ხელისუფლებამ ვერ შეცვალა დამოკიდებულება ეთნიკური სომხების მიმართ და დღესაც გამსახურდიას დროინდელი პოლიტიკა - "საქართველო ქართველებისთვის" - გრძელდება.

"ვირქის" და "ჯავახკის" ლიდერთა თქმით, საქართველოს ხელისუფლების მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგია ისიც, რომ ჯავახეთში სომხური მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი წლიდან წლამდე დაბლა იწევს. **"ადგილობრივი მოსახლეობა ვერ უძლებს მძიმე სოციალურ პირობებს და რეგიონიდან გადის, მათ ნაცვლად, სახელმწიფოს ქართველები ჩამოჰყავს აჭარიდან. დემოგრაფიული ცვლა რევოლუციური მეთოდებით ხდება და არა ევოლუციურით,"** - აცხადებს რსტაკიანი. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ეთნიკური უმცირესობების უფლებების სრულად დასაცავად საქართველოში მეორე სახელმწიფო ენად სომხური ენა უნდა გამოცხადდეს. **"ჩვენი ინტეგრაცია ქართულ სახელმწიფოზეა დამოკიდებული,"** - აცხადებენ ისინი. მათი აზრით, საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ რეფორმირებას სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხების აზრის გაუთვალისწინებლად გეგმავს.

ჯავახეთის სპორტულ-კულტურული ახალგაზრდული კავშირის წარმომადგენელი ვააგ ჩახალიანი აცხადებს, რომ **"ჯავახეთში ხალხს თბილისის პროქართული პოლიტიკა"** აღიზიანებს. **"ჩვენ პროსახელმწიფოებრივი პოლიტიკის მომხრე ვართ,"** - აცხადებს იგი. ჩახალიანის თქმით, შესაძლოა, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას სურდეს რეგიონში ვითარების გამოსწორება, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება თბილისს ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფებს. **"როცა ჩვენთან ნოღაიდელი იყო ჩამოსული, უნდა შევხვედროდით და რეგიონის პრობლემებზე უნდა გვესაუბრა, მაგრამ გუბერნატორმა გვითხრა, რესტორანში უნდა დავსხდეთ და ერთ საათში მოდითო. რომ მივედით, უკვე წასულები დაგვხვდნენ,"** - ამბობს ჩახალიანი. მისი თქმით, ის, რაც დღეს რეგიონში კეთდება, მთლიანად გაზაფხულის მიტინგების დამსახურებაა. **"ჩვენ მომავალშიც ვგეგმავთ რაღაც-რაღაცებს, მაგრამ ჯერ არ ვიტყვით. გავაკეთებთ იმას, რაც ხალხს უნდა,"** - ამბობს ახალგაზრდული კავშირის ლიდერი.

### შალვა ნათელაშვილს ჯავახეთში არ იცნობენ

ჯავახეთში პოლიტიკისთვის არ სცალიათ. აქ მოსახლეობამ მხოლოდ პრეზიდენტის სახელი იცის. ოპოზიციური პარტიები ამ რეგიონში არ აქტიურობენ. ახალქალაქის ცენტრში გამოკითხული ექვსი ადამიანიდან არც ერთმა არ იცოდა, რომელი ოპოზიციური პარტიები მოღვაწეობენ საქართველოში. **"საარჩევნოდ ყველას გავიგებთ,"** - პასუხობენ ისინი. აქ მხოლოდ ერთ ოპოზიციონერს იცნობენ - იგორ გიორგაძეს. გიორგაძის პარტიის ოფისები ახალქალაქსა და ნინოწმინდაში ძველი დროიდან შემორჩა.

აქ ადგილობრივი პარტიები აქტიურობენ - "ვირქი", "ჯავახკი" და "ერთიანი ჯავახკი". ამ პარტიებისა და მოძრაობების წევრები აცხადებენ, რომ ისინი ხალხის ნებას გამოხატავენ. ქართულ ოპოზიციურ პარტიებთან ისინი არ თანამშრომლობენ. როგორც თავად ამბობენ, სომხეთის პოლიტიკური სპექტრთან მათ "ჩვეულებრივი ურთიერთობა" აქვთ. **"ჩვენ საკუთარ პრობლემები ოჯახიდან არ გაგვაქვს,"** - აცხადებენ ისინი. ფინანსირებაზე საუბარს ისინი თავს არიდებენ. **"ჩვენ ფინანსები არ გვჭირდება,"** - ამბობს "ვირქის" ლიდერი.

ახალქალაქში ადგილობრივი ტელევიზია ატვ-12 მოქმედებს, რომელიც სომხურ ენაზე მაუწყებლობს და საღამოს შვიდ საათზე ახალქალაქის მოსახლეობას რეგიონსა და ცენტრში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს ამცნობს. ქართულ არხებს აქ "იჭერს", მაგრამ ენის არცოდნის გამო, მათ არავინ უყურებს.

### აჭარლები

ნინოწმინდის რაიონის სოფელ სპასოვკაში, სადაც ადრე რუსი დუხობორები ცხოვრობდნენ, დღეს ხულოს რაიონის სტიქიით დაზარალებული სოფლებიდან ჩამოსახლებული მოსახლეობა ცხოვრობს. როგორც "ვირქის" და "ჯავახკის" წარმომადგენლები აცხადებენ, საქართველოს ხელისუფლება ჩამოსახლებულ ქართველებს განსაკუთრებულად კარგ პირობებში ამყოფებს. ნინოწმინდის გამგებელი ამ მოსაზრებას კატეგორიულად უარყოფს: **"რა სისულელეა, ისინი ისევე ცხოვრობენ, როგორც ჩვენ,"** - ამბობს იგი. შეიძლება თუ არა "განსაკუთრებულად კარგ პირობად" მიწითა და ჩალით გადახურული მიწური ჩაითვალოს, სადაც ემზარ ვანაძის ოჯახი ხუთი წელია ცხოვრობს, ძნელი სათქმელია. აჭარლების ჩამოსახლება ჯავახეთში არ უხარიათ. ადგილობრივი მოსახლეობა თვლის, რომ ეთნიკური სომხების მიგრაციის პირობებში საქართველოს ხელისუფლება ხელოვნურად ზრდის რეგიონში ეთნიკური ქართველების რიცხვს, რითიც, მათი აზრით, კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობების უფლებები ირღვევა.

■ ■ ■

როცა ჯავახეთიდან თბილისში ვბრუნდებოდით, აფთიაქარი ქალის შეკითხვა გამახსენდა. მაშინ ამ კითხვამ მე ძალიან გამაბრაზა, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ იმ ქალბატონს არაფერი შეშლია. ის, უბრალოდ, ასე გრძნობს... და სხვანაირად ვერც იგრძნობს. რაც მთავარია, ჯავახეთში სამდღიანი მოგზაურობის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ამგვარი კითხვის არსებობა ყველაზე ნაკლებად სწორედ ამ ქალბატონის ბრალია.



პრეზიდენტის რწმუნებულმა გოგა ხაჩიძემ სამცხე-ჯავახეთში ყველა სოფელი იცის.





ინფოთეკა

## ავსტრალიელი ველომრბოლი ავარიამ იმსხვერპლა

გერმანიაში შეკრებაზე მყოფ ავსტრალიელ ქალ ველომრბოლთა ნაკრების წევრი ემი ჯილეტი ვარჯიშისას დაიღუპა, ხოლო მისმა ხუთმა თანაგუნდელმა სერიოზული ტრავმა მიიღო. მათგან ერთ-ერთი კრიტიკულ მდგომარეობაშია. ნაკრების ექვსივე წევრს ორშაბათს ლაიფციგიდან 80 კილომეტრის მოშორებით მანქანა დაეჯახა.

## მიხაელს წარმატების ეეჭვება

"ფერარის" მრბოლს მიხაელ შუმახერს საკვირაო "გერმანიის დიდ პრიზზე" წარმატების ეეჭვება და ვითარებასაც რეალურად აფასებს: "არ ვმალავთ, რომ გარკვეული სირთულეების წინაშე ვდგავართ. ამჟამად მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ვფიქრობთ. მიუხედავად ამისა, საკუთარი თავი არ ჩამოგვიწერია, მაშინაც კი, თუ ვაღიარებთ, რომ სიტუაცია აშკარად გაგვიუარესდა, ვიდრე გამოგვიკეთდა".

## ანჩელოტი შევჩენკოზე ბრაზობს, შევჩენკო - ანჩელოტიზე

ამბობენ, მილანის "მილანის" უკრაინელმა თავდამსხმელმა ანდრეი შევჩენკომ კლუბის მწვრთნელ კარლო ანჩელოტისთან კონფლიქტის გამო, შესაძლოა, გუნდი დატოვოსო. Sky Sports-ის ცნობით, ანჩელოტი უკრაინელის გამოსაჯანმრთელებელი პერიოდის ხანგრძლივობით ყოფილა უკმაყოფილო (იგულისხმება ცოტა ხნის წინათ სახეზე გაკეთებული ოპერაცია.-რედ.). საქმე ისაა, რომ ახლახან შევჩენკოს სახიდან ნაკერები ამოაცალეს, რომლის გამოც უკრაინელმა, შესაძლოა, კლუბის ამერიკულ ტურნეში ვერ მიიღოს მონაწილეობა, რაც ანჩელოტის აღიზიანებს და პირდაპირაც მიახალა თავისი სათქმელი. მწვრთნელის უკმაყოფილებას შევჩენკოს გაგულისება მოჰყოლია და საკმაო ხანს ხმამაღლაც უჩხუბიათ.

## იტალიელმა ექიმებმა მუხლის ტრავმებს ბოლო მოუღეს

ჰიპოკრატეს იტალიელმა მსახურებმა მუხლის ტრავმის მკურნალობის რევოლუციურ მეთოდს მიმართეს. მოგეხსენებათ, მუხლის ტრავმა საკმაოდ ხშირია სპორტსმენებში, განსაკუთრებით ფეხბურთელებში. იტალიური სააგენტო ANSA იტყობინება, რომ ახლახან ბოლონიის კლინიკურ საავადმყოფოში, რომელშიც იტალიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი რობერტო ბაჯო მკურნალობს, მას მუხლის სახსრის სრული გადანერგვის ოპერაცია გაუკეთდა. ოპერაციის ხელმძღვანელის სანდრო ჯანინის განცხადებით, ამ ოპერაციის ტექნიკა უნიკალურია, რადგან რისკის დონე პრაქტიკულად ნულის ტოლია. ექიმებმა საგანგებოდ ამ ოპერაციისთვის დამზადებული ქირურგიული ინსტრუმენტები გამოიყენეს. მკურნალობის ახალი ტექნიკის წყალობით პაციენტის მუხლმა იდეალურად მიიღო დონორული ორგანოები.

## პრომოუტერთა ტრიო ჩხუბს ჩარხავს

პრომოუტერები ბობ არუმი, გერი შოუ და დონ კინგი რონალდ "ვინკი" რაიტისა (პირველი საშუალო წონის ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი) და ფლოიდ მეივეზერ-უმცროსს შორის (რომელიც ცოტა ხნის წინათ WBC (საბჭოს) პირველი ნახევრად საშუალო წონის (63,5 კილოგრამამდე) უმთავრეს ქამარს დაეპატრონა) ჩხუბის ორგანიზებით დაკავებულან. რაიტისა და მეივეზერის შერკინება წლეულს ოქტომბერში ან ნოემბერში გაიმართება. წონითი კატეგორია კი პირველი საშუალოა (69,9კგ.).

ფეხბურთი

# შემდეგი გაჩერება - კოპენჰაგენი

### "დინამო" ლიგას მიუახლოვდა

მიხეილ აბაიშვილი

*ზუსტად ერთი კვირის თავზე, 26 ივლისს, ევროპის ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში თბილისის "დინამო" დანიის ჩემპიონ "ბრონდბიუს" უმასპინძლებს. ახალი ფორმაციის "დინამომ" გუშინ წარმატებით გაართვა თავი ერთი შეხედვით არცთუ რთულ ამოცანას: სტუმრად, ანგარიშით 0:1 წაგების შემდეგ, საკუთარ მოედანზე 2:0 დაამარცხა ტალინის "ლევადია" და ესტონური ბარიერი გადალახა.*

**დინამო (თბილისი) - ლევადია (ტალინი) 2:0 (1:0)**

**პირველი მატჩი: 0:1; საერთო ანგარიში:2:1**

**დინამო: სტურუა, ალადაშვილი, ქემოკლიძე, ორბელაძე, კანდელაკი, ოდიკაძე, ნოზაძე, ბაბუნაშვილი (მახარაძე, 72`), ჭელიძე (გიგაური, 69`), ბობოხიძე (აკობია, 79`), მელქაძე. მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე**

**ლევადია: კოტენკო, კალიმულინი, ჩეპაუსკასი, შიშოვი, ხოხლოვ-სიმსონი, ვასილიევი, ნაკი, დმიტრიევი (პური, 60`), კაზიმირი, დოვდენასი (დურჯა, 69`), ზელინსკი (ლეიტანი, 46`). მთავარი მწვრთნელი ტერმო რუუტლი**

**გოლები : 1:0 მელქაძე 45`, 2:0 ორბელაძე 50`**

**გაფრთხილება: ქემოკლიძე, ოდიკაძე, ვასილიევი.**

**გაძევება: ოდიკაძე 75`**

**მთავარი მსაჯი: ალოიზიო სუპრანა (ხორვატია)**

მართლაც, ერთი შეხედვით არ ჰგავდა "ლევადიას" საჭირო ანგარიშით დამარცხება რთულ ამოცანას, თორემ ესტონელების ბეჭებზე გაკვრა არც ისე იოლი აღმოჩნდა. "ლევადია" საკმაოდ პრიმიტიულად და სწორხაზოვნად თამაშობდა, მაგრამ ამას უაღრესად დისციპლინირებულად აკეთებდა და თუ ერთ-ორ ეპიზოდს არ ჩავთვლით, როცა ბობოხიძეს ხელსაყრელი პოზიცია შეექმნა, მაგრამ დარტყმა ვერ მოახერხა, პირველ ტაიმში კოტენკოს კართან სრული სიმშვიდე იყო. საერთოდაც, "დინამომ" ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული, ერთგვარად ქრესტომათიული ტაიმები ითამაშა. პირველი ტაიმი იყო იმის ნათელი დემონსტრირება, თუ როგორ არ უნდა ითამაშო, ხოლო მეორე, პირიქით - თუ როგორ უნდა ითამაშო. როგორც ჩანს, ასეთ დონეზე თამაშის გამოუცდელობა სერიოზული ფსიქოლოგიური ტვირთია ახალი ფორმაციის "დინამოსთვის" და მისი ახალბედა ფეხბურთელებისთვის. ნათლად იგრძნობოდა, რომ ერთი კვირის წინ ნაგემი მარცხი დინამოელებს სერიოზულ ტვირთად აწევდათ მხრებზე. ფეხბურთელებს სამი, ხანდახან ორი ზუსტი გადაცემის ზედიზედ გაკეთება უჭირდათ. ამ კომპონენტით ვერც "ლევადია" დაიტრაბახებდა, მაგრამ საერთო ჯამში ასეთი ქაოტური თამაში სწორედ ესტონელების წისქვილზე ასხამდა წყალს, რომლებსაც საყაიმო ანგარიში სავსებით აძლევდათ ხელს. ღმერთმა თუ იცის, რა მოხდებოდა, ზედ ტაიმის მიწურულს ამ თამაშის ორ საუკეთესო მოთამაშეს - ალადაშვილს და მელქაძეს რომ ბრწყინვალე საგოლე კომბინაცია არ გაეთამაშებინათ და მელქაძისავე ულამაზესი გოლით არ დაეგვირგვინებინათ. მთავარი კი ის არის, რომ გატანილმა გოლმა საქართველოს ჩემპიონს მოუხსნა ყოველგვარი დაძაბულობა და უკვე მატჩის მეორე ნახევარში გუნდი ზუსტად ისე ათამაშდა, როგორც ამას გულშემატკივრები მოელოდნენ. სწრაფი, მრავალსვლიანი კომბინაციები, დრიბლინგი, ფინტები, საგოლე მომენტები - ამ ყველაფრის დემონსტრირება ჩვენმა გუნდმა უხვად მოახდინა. თუმცა, გოლი სტანდარტული მდგომარეობიდან გავიდა: 50-ე წუთზე ჭელიძის მიერ კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს "დინამოს" კაპიტანი, ორბელაძე მაღალ ნახტომში თავით შეწვდა და "ლევადიას" კარში მიუჩინა ადგილი. ამის მერეც "ლევადიას" კართან არაერთი საგოლე მომენტი შეიქმნა, მაგრამ ბედი არ გვწყალობდა. "დინამო", უფრო ზუსტად კი, მიხეილ ბობოხიძე არაერთხელ აღმოჩნდა ისეთ სიტუაციაში, ასპროცენტიან საგოლეს რომ ეძახიან, მაგრამ გოლის გატანა ვერც ერთხელ ვერ მოახერხა. ეს იმადაც არის დასანანი, რომ ეს თავდამსხმელი ძალიან ბევრს მუშაობდა მოედანზე, დაცვას და ნახევარდაცვას ეხმარებოდა, სულ მოძრაობაში იყო და მართლაც იმსახურებდა ერთი გოლის გატანას მაინც. მით უმეტეს, რომ ბობოხიძე საკმაოდ მაღალი კლასის თავდამსხმელია. კიდევ კარგი, რომ ბოლო წუთებზე, თანაც მას შემდეგ, რაც ოდიკაძე მოედნიდან გაგვიძევეს, "ლევადიას" ძალიან არ გაუმართლა - შეცვლაზე შემოსული ლეიტანის დარტყმული ძელმა მოიგერია. უკვე ვახსენე მელქაძე და ალადაშვილი, რომლებმაც ლომის წილი შეიტანეს გუშინდელ გამარჯვებაში. არ უნდა გამოვტოვო კანდელაკის, რომელიც ასევე შეუდარებელი იყო. ილიას დაცვის საკუთარი ზონაც საიმედოდ ჰქონდა გადაკეტილი და ერთობ სახიფათოდ ერთვებოდა "დინამოს" იერიშებში.

ერთი სიტყვით, "დინამომ" გაიმარჯვა და ერთი კვირის თავზე გაცილებით მაღალი კლასის გუნდს უმასპინძლებს.

კახა ცხადაძე: "უზომოდ ბედნიერი ვარ ამ გამარჯვებით. ყველაზე უფრო ის გამიხარდა, რომ თითოეულმა ფეხბურთელმა მაქსიმუმი გაიღო ამ წარმატებისათვის. ეს განსაკუთრებით ოდიკაძის გაძევების შემდეგ გამოჩნდა. 10 კაცის შემადგენლობით დარჩენილი "დინამო" ერთ მუშტად შეიკრა და საქმე საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანა. ეს მატჩი კარგი გაკვეთილიცაა და ოფიციალური საერთაშორისო თამაშის გარკვეული გამოცდილებაც შეგვძინა."



*ალადაშვილის ჩაწოდებას პირველი გოლი მოჰყვა.*

## ინფორმაცია, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, მიმდინარე წლის 18 ივნისიდან 18 ივლისამდე განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

1) გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" 2005 წლის 2 აპრილს N76-ში გამოცხადებულ ღია ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ოთხ ლოტად დაყოფილ საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოების შესყიდვას:

ლოტი-N1 თბილისი-სენაკი-ლესელიძის(რუსეთის საზღვარი) საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ28(0.5)-კმ319 მონაკვეთის ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოები.

ლოტი-N2 თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის(აზერბაიჯანის საზღვარი) კმ21-კმ102 მონაკვეთის ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოები.

ლოტი-N3 ხაშური-ვალეს(თურქეთის საზღვარი) კმ1-კმ30 მონაკვეთის ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოები.

ლოტი-N4 მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის(რუსეთის საზღვარი) კმ5+500-კმ93+290 მონაკვეთის ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოები.

გამარჯვებულად გამოცხადდა მეორე, მესამე და მეოთხე ლოტებზე, შ.პ.ს. "შუქნიშანი".

2) გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" 2005 წლის 7 მაისს N106-107-ში გამოცხადებულ ღია ტენდერში, რომელიც შეეხებოდა სამ ლოტად დაყოფილი საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესყიდვას:

ლოტი-N1 თბილისი-სენაკი-ლესელიძის კმ39-კმ46 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოები.

ლოტი-N2 თბილისი-სენაკი-ლესელიძის კმ134-კმ136 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოები.

ლოტი-N3 თბილისი-მარნეული-გუგუთის კმ19-კმ20(0.65) მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესყიდვას:

გამარჯვებულად გამოცხადდა: პირველ და მეორე ლოტზე - შ.პ.ს. "გზა-2005", მესამე ლოტზე - შ.პ.ს. "ქცია"

3) გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" 2005 წლის 7 მაისს N106-107-ში გამოცხადებულ ღია ტენდერში, რომელიც შეეხებოდა სამ ლოტად დაყოფილი საავტომობილო გზებზე არსებული ხიდების და საყრდენი კედლების აღდგენითი სამუშაოების შესყიდვას:

ლოტი-N1 თბილისი-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზის 92-ე კმ-ზე მშრალ ხევზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ლოტი-N2 თბილისი-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზის 72-ე კმ-ზე მშრალ ხევზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ლოტი-N3 თბილისი-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზის 86-ე კმ-ზე დაზიანებული საყრდენი კედლის სამუშაოები.

გამარჯვებულად სამივე ლოტზე გამოცხადდა შ.პ.ს. " არილი"

4) გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" 2005 წლის 7 მაისს N106-107-ში გამოცხადებულ ღია ტენდერში, რომელიც შეეხებოდა სამ ლოტად დაყოფილ საავტომობილო გზებზე არსებული ხიდების აღდგენითი სამუშაოების შესყიდვას:

ლოტი-N1 თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის 277-ე კმ-ზე მდ. ნოსირელაზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ლოტი-N2 თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის 310-ე კმ-ზე მდ. ხობისწყალზე არსებული სახიდე გადასასვლელის მარცხენა სანაპირო ბურჯის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ლოტი-N3 წყალტუბო-ხონის საავტომობილო გზის მე-10 კმ-ზე, მდ. გუბისწყალზე არსებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

გამარჯვებულად გამოცხადდა: პირველ ლოტზე - შ.პ.ს. "არილი".,მეორე ლოტზე - შ.პ.ს. "გზამშენი-1".

5) გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" 2005 წლის 27 აპრილს N98-ში გამოცხადებულ ღია ტენდერში, რომელიც შეეხებოდა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 143-ე კმ-ზე (არსებული) მდებარე რიკოთის საუღელტეხილო გვირაბის პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესყიდვას:

გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "პირამიდა-99".

6) გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" 2005 წლის 27 აპრილის N27-ში გამოცხადებულ ღია ორეტაპიან ტენდერში, რომელიც შეეხებოდა დეპარტამენტის 2004 წლის მეორე ნახევრის ფინანსური ანგარიშებისა და 2005 წლის ფინანსური ოპერაციების აუდიტორული მომსახურების შესყიდვას:

გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "პროფესიონალი-საგადასახადო საკონსულტაციო ჯგუფი

7) გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" 2005 წლის 7 მაისს N106-107-ში გამოცხადებულ ღია ტენდერში, რომელიც შეეხებოდა სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის 112-ე კმ-ზე, მდ. ჭოროხზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას:

გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "ბესკო".

8) გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" 2005 წლის 20 მაისს N118-ში გამოცხადებულ ღია ორეტაპიანი ტენდერში, რომელიც შეეხებოდა სამ ლოტად დაყოფილი საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების მოვლა-შენახვაზე, პერიოდულ შეკეთებასა და სარეაბილიტაციო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების (ინტელექტუალური მომსახურება) შესყიდვას:

ლოტი-N1 საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონის საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების პერიოდული შეკეთებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურება.

ლოტი-N2 საქართველოს დასავლეთ რეგიონის საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების პერიოდული შეკეთებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურება.(აჭარის რეგიონის გარეშე).

ლოტი-N3 აჭარის რეგიონის საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების მოვლა-შენახვაზე,პერიოდულ შეკეთებასა და სარეაბილიტაციო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურება.

გამარჯვებულად გამოცხადდა, პირველ და მეორე ლოტზე - შ.პ.ს. "საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის ზედამხედველობის დირექცია", მესამე ლოტზე შ.პ.ს. "გზამშენპროექტი"(ბათუმი)

9) გაზეთ "24 საათში" 2005 წლის 9 ივნისს N128-ში გამოცხადებულ ღია ტენდერში, რომელიც შეეხება ბორჯომი-ბაღი-ცემის ადგილობრივი მნიშვნელობის ს/გზის კმ2(0.5)-კმ7 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას:

გამარჯვებულად გამოცხადდა, ინდივიდუალური საწარმო "ვერელი"

10) გაზეთ "24 საათში" 2005 წლის 31 მაისს N120-ში ხელმეორედ გამოცხადებულ ღია ტენდერში, რომელიც შეეხება თბილისი-სენაკი-ლესელიძის(რუსეთის საზღვარი) საერთაშორისო მნიშვნელობის ს/გზის კმ28(0.5)-კმ300 მონაკვეთის ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოების შესყიდვას:

გამარჯვებულად გამოცხადდა, შ.პ.ს. "საქართველოს გზების სამშენებლო კომპანია"

11) გაზეთ "24 საათში" 2005 წლის 11 ივნისს ხელმეორედ გამოცხადებულ ღია ტენდერში, რომელიც შეეხება სამ ლოტად დაყოფილი, ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკის ს/გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას:

ლოტი-N1 ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკის ს/გზის კმ1-კმ10 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ლოტი-N2 ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკის ს/გზის კმ11-კმ20 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ლოტი-N3 ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკის ს/გზის კმ21-კმ30 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

გამარჯვებულად გამოცხადდა, მეორე ლოტზე - შ.პ.ს. "ზუგდიდის საგზაო სამმართველო", მესამე ლოტზე - შ.პ.ს. "წალენჯიხის საგზაო სამმართველო"

საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 22-ე მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით განხორციელებული შესყიდვებისას, ხელშეკრულებები გაფორმდა შემდეგ ორგანიზაციებთან:

1) ქუთაისი-ალპანა-მამისონის ს/გზის სტიქიის შედეგად დაზიანებული კმ121, კმ125, კმ126, კმ127 მონაკვეთების ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებაზე, შ.პ.ს. "ბასკოსთან".

2) ამბროლაურის რაიონში სტიქიის შედეგად დაზიანებული ადგილობრივი მნიშვნელობის ს/გზების აღდგენითი სამუშაოების განხორციელებაზე, შ.პ.ს. "ამბროლაურგზა-7-თან".

3) ჩოხატაურის რაიონში სტიქიის შედეგად დაზიანებული ბუკისციხე-იანეული-ერკეთის ს/გზასთან მდებარე ხიდების აღდგენითი სამუშაოების განხორციელებაზე, შ.პ.ს. "ჩოხატაურის საგზაო სამმართველოსთან".

4) თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის 85-ე კმ-ში მდ. ლიახვზე სტიქიის შედეგად დაზიანებულ არსებულ ხიდზე შუალედური ბურჯების გამაგრების სამუშაოების განხორციელებაზე, შ.პ.ს. "იბოლიასთან".

5) ცაგერის რაიონში ადგილობრივი მნიშვნელობის ს/გზების აღდგენითი სამუშაოების განხორციელებაზე, შ.პ.ს. "ცაგერის საგზაო სამმართველოსთან".

6) მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის ს/გზის 128-ე კმ-ზე მდებარე სტიქიის შედეგად დაზიანებული აივნის აღდგენითი სამუშაოების განხორციელებაზე, შ.პ.ს. "ხიდთან"

7) ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-უშგული-ლასდილის, სტიქიის შედეგად დაზიანებული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ს/გზის კმ28-კმ198 მონაკვეთის აღდგენითი სამუშაოების განხორციელებაზე, შ.პ.ს. "მესტიის საგზაო სამმართველოსთან".

8) მესტიის რაიონში, სტიქიის შედეგად დაზიანებული ადგილობრივი მნიშვნელობის ს/გზის იფარი-ოდიშის მონაკვეთის აღდგენითი სამუშაოების განხორციელებაზე, შ.პ.ს. "მესტიის საგზაო სამმართველოსთან".

9) ქუთაისი-წყალტუბო-ლენტეხი-ლასდილის, სტიქიის შედეგად დაზიანებული ს/გზის კმ84-კმ91 მონაკვეთებზე ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებაზე, შ.პ.ს. "ალმაშენებელთან".

10) საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის სტიქიის შედეგად დაზიანებული ს/გზის 26-ე, 42-ე კმ-ში ხიდის რეგულაციის მოწყობის და 53-ე კმ-ში რკინა-ბეტონის მილის აღდგენითი სამუშაოების განხორციელებაზე, შ.პ.ს. "ოზურგეთის საგზაო-საექსპლოტაციო სამმართველოსთან".

11) ლენტეხის რაიონში, სტიქიის შედეგად დაზიანებული ადგილობრივი მნიშვნელობის ს/გზების მიწის ვაკისის და ხელოვნური ნაგებობების აღდგენითი სამუშოების განხორციელებაზე, შ.პ.ს. "ავტოგზალენტეხი-99-თან".

12) ცაგერის რაიონში ორბელი-ლაშიჭალას ს/გზის აღდგენითი სამუშაოების განხორციელებაზე, შ.პ.ს. "ცაგერის ს.ს.-თან".

13) ონის რაიონში, საგლოლო-ჭიორა-ღების ს/გზის მე-6 კმ-ზე, მდ. რიონზე სოფ. ჭოლასთან სტიქიის შედეგად დაზიანებული სახიდე გადასასვლელის და სარეგულაციო ნაგებობების აღდგენითი სამუშაოების განხორციელებაზე, შ.პ.ს. "ხიდმშენი-99-თან".

14) ონის რაიონში, საგლოლო-ჭიორა-ღების ს/გზის კმ1-კმ2 სტიქიის შედეგად დაზიანებული ცალკეული მონაკვეთების აღდგენითი სამუშაოების განხორციელებაზე, შ.პ.ს. "ხიდმშენი-99-თან".

15) ქუთაისი-ალპანა-მამისონის ს/გზის 39-ე კმ-ზე ს/გზის სტიქიის შედეგად დაზიანებული მდ. ჭანჭახაზე სახიდე გადასასვლელის სარეგულაციო ნაგებობებისა და მისასვლელი გზის ცალკეული მონაკვეთების აღდგენითი სამუშაოების განხორციელებაზე, შ.პ.ს. "ხიდმშენი-99-თან".

16) ბათუმი-გოდერძის უღელტეხილი-ახალციხის ს/გზის 139-ე კმ-ზე სტიქიის შედეგად დაზიანებული მონაკვეთის აღდგენითი სამუშაოების განხორციელებაზე, შ.პ.ს. "ზადენთან".

17) ცაგერის რაიონში, სოფ. ოყურეშში მისასვლელ გზაზე, მდ. ცხენისწყალზე, დანგრეული ხიდის ნაცვლად ახალი ხიდის მშენებლობის განხორციელებაზე, შ.პ.ს. "ზიმოსთან".

18) ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის ს/გზის 104კმ-ზე დანგრეული ხიდის ნაცვლად ახალი ხიდის მშენებლობის განხორციელებაზე, შ.პ.ს "ზიმოსთან".

*სატენდერო კომისია.*

# "ჩემთვის მუსიკა მხოლოდ ორ კატეგორიად იყოფა"

## იური გილბო - ბორჯომის ფესტივალის პირველი მერცხალი

ვერა ნეფარიძე

*გუშინ საქართველოში "ხელოვნების ზეიმის" პირველი სტუმარი იური გილბო ჩამოვიდა. გერმანიაში მოღვაწე მევიოლინე, დირიჟორი და კომპოზიტორი ბორჯომის მეოთხე საერთაშორისო ფესტივალზე პირველად მონაწილეობს. იური გილბო წელს, ლიანა ისაკაძის თაოსნობით ჩამოყალიბებული გერმანულ-ქართული კამერული ორკესტრის დირიჟორი და დირექტორია.*

წლევანდელ ფესტივალს გერმანულ-ქართული კამერული ორკესტრი გახსნის. ახლად შექმნილი ორკესტრისთვის 27 ივლისის საღამო ერთგვარი პრეზენტაცია იქნება. ევროპული და ქართული სავიოლინო სკოლის საუკეთესო წარმომადგენლებს კონცერტზე ევროპაში კარგად ცნობილი მუსიკოსი - მევიოლინე, დირიჟორი და კომპოზიტორი, იური გილბო უდირიჟორებს. თავად გილბო მოუთმენლად ელოდება ფესტივალის დაწყებას და ქართველ მსმენელთან შეხვედრას.

გილბო პირველად მონაწილეობს "ხელოვნების ზეიმში", მაგრამ საკმაოდ მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებს ლიანა ისაკაძესთან, რომელსაც ახალგაზრდა მუსიკოსი თავის მასწავლებლად, უბრალოდ გენიალურ მევიოლინედ მიიჩნევს. "12 წლის რომ ვიყავი მოსკოვში ლიანა ისაკაძის კონცერტს დავესწარი. კონცერტის შემდეგ ვერ დავიძინე; მაშინ ჩემზე, პატარ ბიჭუნაზე ლიანა ისაკაძემ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა იმ ენერგიით, რომელიც მისგან მოდის; აღარაფერს ვამბობ რომ ქალბატონი ლიანა ერთ-ერთი გენიალური მევიოლინეა; არის ბევრი კარგი მევიოლინე, მაგრამ ისეთი, როგორიც ლიანა ისაკაძეა - ასეთივე ენერგიითა და ხასიათით, ჩემი აზრით, არავინაა", - ამბობს ახალგაზრდა მუსიკოსი.

შთამბეჭდავი კონცერტიდან ისაკაძისა და გილბოს თანამშრომლობამდე ოცდაორი წელიწადი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში იური გილბო სწავლობდა რიმსკი-კორსაკოვის სახელობის პეტერბურგის სახელმწიფო კონსერვატორიაში, შემდეგ - ფრანკფურტში. პროფესია კი გაცილებით ადრე, ბავშვობაში შეარჩია. "ყველაფერი მარტივად მოხდა. პროფესია ჩემმა მშობლებმა ამირჩიეს ოთხწლინახევრის რომ ვიყავი, რადგან, როდესაც რადიოში ორკესტრი უკრავდა, ვიწყებდი დირიჟორობას. თავიდან როიალთან დავჯექი, მაგრამ საამისოდ საკმაოდ მოკლე თითები მაქვს; ხუთი წლისამ ვისწავლე ვიოლინოზე დაკვრა. თავიდან უბრალოდ მომწონდა, ვინაიდან პატარაობისას ავტომობილების შემკეთებლობაზე ვოცნებობდი. შემდეგ, როდესაც 11-12 წლის ვიყავი, დავდიოდი კონცერტებზე და ვხდებოდი, რომ მუსიკოსობა იყო ჩემი მომავალი", - იხსენებს სტუმარი. იური გილბოს სადირიჟორო დებიუტს 1997 წელს დუისბურგის თეატრმა უმასპინძლა.

სწავლის დამთავრებისთანავე გილბომ წარმატებული საქმიანობა დაიწყო - მან ჩამოაყალიბა ორკესტრი, რომელიც მისივე თქმით, დღემდე ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი რუსული ორკესტრია ევროპაში. წარმატებული აღმოჩნდა შემდეგი პროექტიც - 1991 წელს მაიკლ გერშვინთან ერთად გილბომ შექმნა "გერშვინის კვარტეტი", რომელიც დღესაც აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა. 1998 წელს გილბო სანკტ-პეტერბურგის ფილარმონიის კამერული ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელად მიიწვიეს გერმანიაში.



იური გილბომ ქართველი მაესტრო სამი წლის წინათ გაიცნო; ერთობლივი კონცერტებიც ჰქონდათ გერმანიაში და როგორც გილბო ამბობს, მას შემდეგ, საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობები ჩამოყალიბდა მუსიკოსებს შორის. თანამშრომლობა კიდევ უფრო მჭიდრო მაშინ გახდა, როდესაც ლიანა ისაკაძემ გილბოს გერმანულ-ქართული კამერული ორკესტრის დირიჟორობა და დირექტორობა შესთავაზა.

"გერმანულ-ქართული ორკესტრის შექმნის იდეამ თავიდანვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე; აქამდე არ არსებობდა ასეთი ორკესტრი, რომელიც ევროპული და ქართული სავიოლინო სკოლების წარმომადგენლებს გააერთიანებდა. საკმაოდ ფრთხილად ვარჩევდით მუსიკოსებს ამ ორკესტრისთვის. განვიხილავდით თითოეულ კანდიდატს და შევჩერდით გერმანიის საუკეთესო ორკესტრების მუსიკოსებზე. ამ ორკესტრებს მთელ მსოფლიოში იცნობენ და მუსიკოსებიც უმაღლესი კლასიდან არიან", - აქ იური გილბო საუბრობს დასავლეთ გერმანიის რადიოს, ბერლინის ფილარმონიის, მიუნჰენისა და რეინის სახელმწიფო ფილარმონიების სიმფონიური, ასევე ბავარიის რადიოს ორკესტრების შესახებ. გერმანულ-ქართული კამერული ორკესტრის კონცერტმეისტერად კი მიწვეულია გილბოს ახლო მეგობარი პეტერ შულმაისტერი, რომელიც 2004 წლიდან ლონდონის სამეფო ფილარმონიის კონცერტმაისტერია. იური გილბოს არ უყვარს საუბარი სამომავლო გეგმებზე. აქედან გამომდინარე, გერმანულ-ქართული ორკესტრის სამომავლო საქმიანობის კონტურებიც საკმაოდ მშრალად მოხაზა. "ჩემი აზრით გეგმებზე საუბარი ნაკლებად საინტერესოა, ვიდრე უკვე გაკეთებულზე. ცხოვრებაში ძალიან ბევრი გეგმა მაქვს, მაგრამ ყველა არ გამოდის. ბავშვს ვაჩენთ იმისათვის, რომ გავზარდოთ, აღვზარდოთ, ვასწავლოთ და ამის შემდეგ ცხოვრებაში გავუშვათ. ასეთივე მიზანი გვქონდა ამ ორკესტრთან დაკავშირებით", - გვითხრა ორკესტრის დირექტორმა. თუმცა კი, ყველაფრის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ ახლად ჩამოყალიბებულ ორკესტრს საინტერესო გეგმები აქვს. წელს ორკესტრი კონცერტების სერიას გამართავს საფრანგეთსა და ესპანეთში; ახლახანს პროექტით იაპონელი იმპრესარიოც დაინტერესდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი 2006 წლის დეკემბერში დაგეგმილი, ლიანა ისაკაძის იუბილესადმი მიძღვნილი საღამოა. ამ კონცერტში, რომელიც მიუნჰენის ფილარმონიაში გაიმართება, ორკესტრთან ითანამშრომლებენ: პაატა ბურჭულაძე, მაქსიმ ვენგეროვი (ვიოლინო) და ივან მონიგეტი (ჩელო).

სამომავლო გეგმებისგან განსხვავებით, გილბო სიამოვნებით საუბრობს ახლახანს განხორციელებული მეტად საინტერესო პროექტის შესახებ. თბილისში ჩამოსვლამდე იური გილბოს კონცერტები ჰქონდა ჩიკ კორეასთან და ბობი მაკფერინთან ერთად. როგორც სტუმარმა გაგვიმხილა, როსტოკში (ჩრდილოეთ გერმანია) გამართულმა კონცერტებმა დაუვიწყარი შთაბეჭდილებები დატოვეს. "კონცერტზე მაკფერინი მღეროდა ვივალდის კონცერტს ვიოლონჩელოსთვის, ჩიკ კორეა კი ასრულებდა ჩემბეილის პარტიას ორკესტრში ჯაზური იმპროვიზაციებით. პრინციპში ამაში ჩვენთვის უჩვეულო არაფერი ყოფილა, რადგან ჩემი აზრით, არ არსებობს მუსიკის დაყოფა კლასიკურად, თანამედროვედ, ჯაზად, პოპ-მუსიკად. ჩემი პროფესია მუსიკოსობაა. მანქანაში ვუსმენ ჯაზს, ხშირად დავდივარ დისკოთეკაზე; სახლში ვუსმენ კლასიკას - ვზრდი ბავშვებს, მინდა, რომ ისინიც უსმენდნენ კლასიკას. ჩემთვის მუსიკა მხოლოდ ორ კატეგორიად იყოფა: კარგ და ცუდ მუსიკად. ბევრს უკვირს, რომ მე, როგორც კლასიკური მუსიკის დირიჟორი, ტექნოს ან ჰიპ-ჰოპსაც ვუსმენ. არადა, მიმაჩნია, რომ სწორედ ამის წყალობით არის შესაძლებელი რიტმის, კლასიკის, საერთოდ, მუსიკის შეგრძნება".

იური გილბო თბილისში ფესტივალის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ჩამოვიდა. მუსიკოსს დიდი იმედი აქვს, რომ ამ ხნის განმავლობაში საქართველოში სასიამოვნო დროს გაატარებს. თუმცა კი, რაც უნდა მოხდეს, იცის, რომ მისი პირადი გუნება-განწყობა სცენაზე გასვლამდე უნდა დაძლიოს: "რასაკვირველია, განწყობაზე დამოკიდებულია თუ როგორ შეასრულებ მოვალეობას სცენაზე. მაგრამ მიმაჩნია, რომ მუსიკოსს ამის უფლება არ აქვს; ანუ, პუბლიკა, რომელიც კონცერტზეა მოსული, არ უნდა იყოს დამოკიდებული მუსიკოსის პირად განწყობაზე. თუკი ცუდ ხასიათზე ხარ, ეს არავინ უნდა იგრძნოს. შემოქმედებითი კრიზისიც კი შეუმჩნეველი უნდა დარჩეს მსმენელისთვის".



# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, ისან-სამგორის რაიონში ქეთევან წამებული ქ. N2ა (მეტრო "ავლაბრის" უკან) მდებარე 9-სართულიანი შენობის ფასადის მოპირკეთებაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: შენობის ფასადის მოპირკეთება უნდა მოხდეს მსუბუქი კონსტრუქციის საშუალებით. კერძოდ, ალუმინის პროფილებითა და მასში ჩასმული 16 მმ-იანი პოლიკარბონატით. შენობა არის 7-სადარბაზოიანი და შეიცავს 160 აივანს. მათ შორის, 10-მეტრიანი აივანი - 64 ცალი; 7-მეტრიანი აივანი - 48 ცალი და 4-მეტრიანი აივანი - 48 ცალი. აივნები ერთმანეთის მიმართ გამოყოფილი უნდა იყოს ალუმინის ორი კოლონით, რომლებიც ვერტიკალურად იქნება მიმართული შენობის მე-2 სართულიდან მე-9 სართულის ჩათვლით.

**2**. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2005 წლის 20 სექტემბერი.

**3**. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 4 აგვისტოს 12 საათიდან 5 აგვისტოს 17საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4**. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

■ ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

■ ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

■ ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

5.2 **ფიზიკური პირისათვის:**

■ ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

■ ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

■ ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

4.2 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

■ ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

■ ინფორმაციას სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ;

■ ინფორმაციას ტენდერში მონაწილის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

■ ლიცენზიას სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ.

***5***. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

***6.*** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 8 აგვისტოს 12 საათიდან 9 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

***7.*** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გიგა ნემსიწვერიძე -სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39 და ნუგზარ კალაძე-სატენდერო კომისის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია





სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ქ. წყალტუბოს წყალსადენის რეაბილიტაცია**.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

**წყალტუბოს სათემო კავშირთან "წყალტუბო"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"წყალტუბო"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ქ. წყალტუბო,**
**საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი ავთანდილ კუტივაძე, სათემო კავშირი "წყალტუბო"-ს თავმჯდომარე**

2005 წლის 21 ივლისიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **5 000** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ქ. წყალტუბო,**
**საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი ავთანდილ კუტივაძე, სათემო კავშირი "წყალტუბო"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 20 აგვისტო 16 საათამდე**.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **16:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03





სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ლენტეხის რაიონის სოფ. ცანას თემის ცენტრის შენობის რემონტი.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

**სოფელ ცანას სათემო კავშირთან "ცანა"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **სათემო კავშირი "ცანა"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ლენტეხის რაიონი,**
**სოფელი ცანა, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი მალხაზ ჩარკვიანი, სათემო კავშირი "ცანა"-ს თავმჯდომარე**

2005 წლის **22 ივლისიდან** 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 800** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ლენტეხის რაიონი,**
**სოფელი ცანა, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი მალხაზ ჩარკვიანი, სათემო კავშირი "ცანა"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 22 აგვისტო 17 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **17:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03





სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ლენტეხის რაიონის სოფელ ხელედის გზის რემონტი,**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

**სოფელ ხელედის სათემო კავშირთან "ხელედი"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ხელედი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ლენტეხის რაიონი,**
**სოფელი ხელედი, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი რობერტ ჩანქსელიანი, სათემო კავშირი "ხელედის"-ს თავმჯდომარე**

2005 წლის **22 ივლისი** 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 200** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ლენტეხის რაიონი,**
**სოფელი ხელედი, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი რობერტ ჩანქსელიანი, სათემო კავშირი "ხელედი"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 21 აგვისტო 17 საათამდე**.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **17:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

გაზეთი "24 საათი" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ის სარეკლამო სამსახურის უფროსი

**ლევან ჩერქეზიშვილი**



გაზეთი უთანაგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს და სამაუწყებლო კომპანიას.

## ნათელი ხსოვნა



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავური ენების კათედრა, რუსული ენის, რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრები და ეროვნულ ლიტერატურათა ლიტერატურული ურთიერთობებისა და თარგმანის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 78 წლის ასაკში გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ქართველი რუსისტი, ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლიდია ხატიაშვილი**.

ლიდია ხატიაშვილმა განვლო საინტერესო და ნაყოფიერი ცხოვრების გზა. 1945 წელს, მას შემდეგ, რაც ის გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მისი ცხოვრება და მოღვაწეობა დაკავშირებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. უკვე სტუდენტობიდანვე გამოიჩინა მან თავი, როგორც დამოუკიდებელმა მკვლევარმა და მოაზროვნემ. ასპირანტურაში სწავლისას მას განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა და დიდ შეფასებას აძლევდა გიორგი ახვლედიანი. ლ. ხატიაშვილმა ასპირანტურაში სწავლების პერიოდშივე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "ჩართული წინადადებები თანამედროვე რუსულ ლიტერატურულ ენაში". უკვე აქ წარმოაჩინა მან თავი როგორც სერიოზულმა და გამორჩეულმა სინტაქსისტმა. შემდგომ მისი სამეცნიერო ინტერესის სფერო ღრმავდება და მის ყურადღებას იპყრობს ისეთი ნაკლებად შესწავლილი საკითხი, როგორიც არის მიერთებითი კავშირები. ამ საკითხს ლ. ხატიაშვილმა მიუძღვნა სოლიდური მონოგრაფია, რომელიც გამოქვეყნდა 1963 წელს და რაც მისი სადოქტორო დისერტაციის თემაც იყო. 1980 წელს გამოქვეყნდა ლ. ხატიაშვილის მორიგი მონოგრაფია "განმარტებითი კავშირი წინადადების წევრთა შორის თანამედროვე რუსულ ენაში". ლ. ხატიაშვილი არის აგრეთვე ავტორი მთელი რიგი სალექციო კურსებისა და სპეცკურსებისა ტექსტის ლინგვისტიკის სფეროში. მისი კვლევის განსაკუთრებულ ინტერესს ამ მიმართულებით წარმოადგენდა დიალოგური მეტყველება.

ლ. ხატიაშვილი არის ასამდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. 51 წლოვანი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე მან აღზარდა ქართველი რუსისტების არაერთი თაობა. ლ. ხატიაშვილი შესანიშნავად ფლობდა არა მარტო რუსულ, არამედ უკრაინულ ენასაც, რადგან თავისი ბიოგრაფიით იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამ ქვეყანასთან, მის კულტურასთან, ენასა და ლიტერატურასთან. ლ. ხატიაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა ორი ძირითადი მიმართულებისაგან შედგებოდა: ერთის მხრივ მას მიჰყავდა სემინარები რუსულ და უკრაინულ ენებში, ხოლო მეორე მხრივ ის კითხულობდა ლინგვისტურ სალექციო კურსებს, მაგალითად ისეთს როგორიც არის თანამედროვე რუსული ენის სინტაქსის თეორია და ძველი სლავური ენების შედარებითი გრამატიკა. ლ. ხატიაშვილი არაერთხელ ხელმძღვანელობდა ქართველი რუსისტების დელეგაციებს საერთაშორისო ლინგვისტურ სიმპოზიუმებზე ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში და იგი არაერთხელ იყო რედაქტორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო კრებულებისა.

ლიდია ხატიაშვილმა განვლო ნათელი და პატიოსანი ცხოვრების და მოღვაწეობის გზა, მას არასოდეს უღალატია თავისი პრინციპებისათვის, იგი ერთგულად ემსახურებოდა სამეცნიერო და კულტურულ ურთიერთობებს ქართველ, რუს და უკრაინელ ხალხებს შორის და მისი ნათელი სახე მარად დარჩება მისი კოლეგების, ასპირანტებისა და სტუდენტების ხსოვნაში.

# სულ სხვანაირი მადონა



მადონა ის აღარ არის, რაც ადრე იყო - ეს უკვე ვიცით. უბრალოდ, თვითონ სურს, რომ კიდევ უკეთ გაგვაგებინოს, ბოლო ხანებში უფრო მეტ დროს ატარებს თავის ორ შვილთან, ვიდრე - სცენაზე; და საყვარლების ნაცვლად ხელოვნების ნიმუშებს აგროვებს.

ამ ფაქტის მორიგი კონსტატირებაა ჟურნალ "ვოგის" აგვისტოს ნომერიც, რომელიც მადონასთან ვრცელ ინტერვიუს და უამრავ ფოტოს გვთავაზობს. ერთ-ერთ სურათზე კლასიკური ინგლისური რეზიდენციის ფონზე მადონა თავის მეუღლესთან გაი რიჩისთან და ორ შვილთან - 8 წლის ლურდესთან და 4 წლის როკოსთან ერთად არის გადაღებული - სახეზეა ინგლისური ოჯახის ნამდვილი იდილია. თუმცა, ეს ფოტო მხოლოდ "ჟურნალია". მერე და მერე დიასახლისური განწყობა კიდევ უფრო მძაფრდება და ერთ-ერთ ფოტოზე ასეთ რამესაც ვხედავთ: ხასხასა ბალახზე მიმოფანტულ ქათმებს მადონა საკუთარი ხელით კვებავს. გრეის კელის შთაგონებით შექმნილი შიფონის კრემისფერი კაბა და ქაშმირის ნაქსოვი ჟაკეტი აცვია. მეორე ფოტოზე ის უკვე ლოჯიაში ზის, ქაშმირის ყვითელი ჟაკეტსა და აბრეშუმის კოპლებიანი კაბა და ბავშვებს უვლის.

ამ ფოტოების გარდა, მადონა "ვოგის" მწერალ ჰემიშ ბოულსს თავის საქორწინო ალბომსაც ათვალიერებინებს. ანუ, მოკვდავთა პუბლიკას პირველად ეძლევა შანსი, მადონა საქორწინო კაბაში ნახოს (მადონამ და რიჩიმ 2000 წლის დეკემბერში იქორწინეს, მაგრამ ფოტოები არ გაუვრცელებიათ).

ცხადია, განწყობა, რომელიც ვიზუალური მასალიდან მოდის, ტექსტში კიდევ უფრო მძაფრდება. 46 წლის მომღერალი ამბობს, რომ 1991 წლის შემდეგ ძალიან შეიცვალა. 1991 წელს მისი ფილმი Madonna: Truth or Dare გამოვიდა და საზოგადოებას ახალი სექს-ვარსკვლავი წარუდგინა. დღეს მადონა ამბობს, რომ ამ ფილმის თავიდან ყურება ძალიან უჭირს. "ვოგთან" ინტერვიუში ის დასძენს:

"ეგოისტი ვიყავი. არის პერიოდები ცხოვრებაში, როცა მთელი მსოფლიო შენს ორბიტაზე ტრიალებს, მაგრამ ეს მარადიულად არ გრძელდება. მე შევიცვალე. თუმცა, მეორე მხრივ, გარკვეულწილად მე თვითონვე ვარ აღტაცებული საკუთარი პირდაპირობით, გაბედულებით და ვნებიანობით".

რაც შეეხება სიახლეებს კარიერიდან. წლის ბოლომდე გაიმართება მადონას დოკუმენტური ფილმის "ვაპირებ, საიდუმლო გაგიმხილოთ" პრემიერა. ფილმი ღარიბი მოცეკვავის ისტორიით იხსნება, რომელიც შოუში მოხვედრას ცდილობს. ფინალი კი უკვე ყველამ იცის - მადონას ისრაელში ვიზიტით სრულდება - ის ხომ ახლა სულ სხვანაირია.

# სიმართლე მხოლოდ ქალებმა იციან



ეს უცნაური გამოკითხვა კომპანია "ჩერჩილ ინშურენსმა" ჩაატარა და დაადგინა, რომ ქალები სიცოცხლის დაახლოებით სამ წელიწადს საყიდლებზე სიარულს ანდომებენ. თითოეული დაახლოებით 31.680 ევროს ფეხსაცმლის ყიდვას ახარჯავს, 15.840 ევრომდე კი ქამრებზე, ხელჩანთებზე, ქუდებსა და სამკაულზე მიდის.

"ჩერჩილ ინშურენსის" დასკვნითვე, 10 ქალიდან დაახლოებით 9 ახალ წყვილ ფეხსაცმელს ყოველ თვეში ერთხელ ყიდულობს, შესაბამისად, თითოეულის კოლექციაში 30-ზე მეტი წყვილი ფეხსაცმელი იყრის თავს. ცხადია, ქალურ სტატისტიკაზე მომუშავე მკვლევარები გამოკითხული მანდილოსნებისგან მიღებულ ინფორმაციას დაეყრდნენ. სწორედ "ჩერჩილ ინშურენსის" სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, ეს ციფრები არც იყოს მართალი - ქალები ხომ ხშირად უფრო მეტს ტრაბახობენ, ვიდრე ყიდულობენ. ასე რომ, არ არის გამორიცხული, კითხვებზე არასწორი, გაზვიადებული პასუხები გაეცათ. მით უფრო, რომ იქვე ჩატარებულმა ცალკე კვლევამ ცხადყო: ქალების სოლიდური ნაწილი ხშირად ტყუის, როცა საყიდლებზე დახარჯულ თანხას ასახელებს - თავმოწონების მიზნით, ზრდის ფასს, ყოველი ხუთი ქალიდან ერთი კი ახალ შენაძენს მეუღლეს უმალავს.









შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამორჩეული სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ---------------------------------------------

მისამართი ---------------------------------------------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ---------------------------------------------

დაბადების თარიღი ---------------------------------------------

სკოლა ---------------------------------------------

კლასი ---------------------------------------------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ---------------------------------------------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ---------------------------------------------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ---------------------------------------------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 380077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი   უ ფ ა ს ო ა

სახელი ______ მისამართი ______
გვარი ______
ასაკი ______ საკონტაქტო ტელეფონის ნომერი ______
სქესი ______

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაოჯახებული
დაუოჯახებელი
განქორწინებული
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სასწავლო ადგილი (ბოლოს დამთავრებული თქვენი სასწავლებელი)

5 ახლა სად მუშაობთ? (ბოლოს დამთავრებული თქვენი სასწავლებელი)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ ინტელექტუალურ კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დახარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გგონიათ თავს შეძლებდით კონკურსის ... ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ხელმოწერა ______ თარიღი ______

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

თქვენი ფოტოსურათი